ცესკო ბიულეტენების გადათვლას და საკუთარი ღირსების დაცვას დაგვიანებით იწყებს A2

„უნდა ნახოთ ასეთი ბავშვების თვალები" A6

ნატახტარსა და ზუგდიდში დაკავებული იარაღის საქმეები გაერთიანდება A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 30 ივლისი, 2002 წელი. №58

ფასი 50 თეთრი

## ტერორიზმთან ბრძოლა ანაპოლისში დაიწყო და პანკისში გაგრძელდა

რუსიკო ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

გასულ შაბათს რუსეთის ავიაციამ საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ახლოს საერთაშორისო ტერორისტთა ბაზების დაბომბვა დაიწყო.

რუსეთის ფედერალური ავიაციის შტურმს და საქართველოს სახელმწიფო საზღვართან ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყებას წინ უძღოდა ანნაპოლისში რუსეთ-ამერიკის სამუშაო ჯგუფის რიგით მე-8 სხდომა, რომელიც ცენტრალურ აზიაში ორი ქვეყნის ანტიტერორისტულ კოალიციაში თანამშრომლობასა და ოპერაცია "დაუმარცხებელ თავისუფლებას" მიეძღვნა. სხდომაზე რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ვლადიმირ რუშაილომ და ეროვნული უშიროების საკითხებში აშშ პრეზიდენტის თანაშემწემ კონდოლიზა რაისმა გლობალური და რეგიონული უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანები განიხილეს. სხდომის მონაწილეებმა ცენტრალურ აზიასა და ამიერკავკასიის

გაგრძელება A3 გვერდზე

## რუსულ ბომბს მხოლოდ რვა ცხვარი ემსხვერპლა

### ბრძოლები საქართველოს საზღვართან



რუსი მესაზღვრე არღუნის ხეობას აკონტროლებს

ИТАР ТАСС

ზაზა წულაძე

*გუშინ რუსეთის ავიაციამ საქართველოს ტერიტორია კიდევ ერთხელ დაბომბა. ჩეჩნეთის ტერიტორიიდან შემოფრენილი სამხედრო ვერტმფრენი ქართულ სოფელ ჭონთიოდან, დაახლოებით, შვიდი კილომეტრით მოშორებული საზაფხულო საძოვრების თავზე გამოჩნდა და ერთი რაკეტა ისროლა, რის შემდეგადაც ადგილობრივი მეცხვარე სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.* ***"დაბომბვის შესახებ სწორედ ამ მეცხვარემ გვაცნობა, რომელმაც მხოლოდ დილისკენ მოახერხა, ჩამოსულიყო გირევის სასაზღვრო საგუშაგომდე. მას რვა სული ცხვარი დაეღუპა. სავარაუდოდ, ეს ვერტმფრენი რუსეთის ტერიტორიიდან შემოფრინდა,"*** *– განაცხადა სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურის უფროსმა, ვალერი ჩხეიძემ.*

საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ სიტუაცია მას შემდეგ აფეთქდა, როცა რუსმა მესაზღვრეებმა 27 ივლისს, გამთენიისას, ითუმ-ყალეს რაიონის ტერიტორიაზე ჩეჩენთა 60-კაციანი რაზმი აღმოაჩინეს. რუსებმა დამატებითი ძალების დახმარების შემდეგ მდინარე არღუნის შენაკადის - კერილოს ხეობაში რაზმის ალყაში მოქცევა შეძლეს. ბრძოლაში, რომელიც გუშინ გვიან ღამემდე გრძელდებოდა, უკვე შვიდი რუსი მესაზღვრე დაიღუპა და ოცამდე

გაგრძელება A3 გვერდზე

"ნაციონალები" - "პურის რეფორმის" წინააღმდეგ A2

"სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული" A3

ვინ არის დამნაშავე - ბუში თუ კლინტონი? A4

"მეტრომედიამ" "მაგთი GSM"-ის გაყიდვა გადაიფიქრა A4

გერმანიაში ყალბი ევროები აღმოაჩინეს A4

გაერო ჩეჩნეთში ყველა პროგრამას წყვეტს A5

ერაყში აშშ-ს შეჭრა კვლავ დღის წესრიგში დგას A5

"თბილგაზი": უკრაინულ მრიცხველს უკეთესი დამცავი საშუალებები აქვს A6

პროვინციის ქალები და ჟურნალისტები A6

ნარჩემაშვილის მორიგი რაუნდი A7

სასამართლო პროცესი შეურაცხადი განსასჯელის გარეშე A7

"ბოევიკი" ბაგებში A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | ☼ |
| ქუთაისი | 32 | წვიმა |
| ბათუმი | 29 | წვიმა |
| სოხუმი | 31 | წვიმა |
| ფოთი | 31 | წვიმა |
| თელავი | 31 | ☼ |
| ზუგდიდი | 32 | წვიმა |
| გორი | 28 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1950 |
| ევრო | 2.1673 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4422 |
| რუბლი | 0.0697 |

## ჟორჟენაძის პოლიტეკონომიკური თამაშები

### სახელმწიფო საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოებში სახელმწიფო მინისტრს არასამთავრობოები შეჰყავს

მაია ურუშაძე

*ბრძანება ჯერ კიდევ სახელმწიფოს განკარგულებაში დარჩენილი 1500-მდე სახელმწიფო საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოებში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეყვანის შესახებ, ქონების მართვის მინისტრმა, სოლომონ პავლიაშვილმა ავთანდილ ჟორჟენაძისგან ოფიციალურად ამ ორიოდე დღის წინ მიიღო.*

ქონების მართვის მინისტრის მოადგილე ომარ კიზივაძე განმარტავს, რომ **"ამ ნაბიჯში კარგის მეტი არაფერია. მთავარია, მოვძებნოთ გამოცდილი ხალხი – ჩვენ მათ პროფესიის მიხედვით შევარჩევთ."** როგორც ჩანს, გამოცდილი ხალხის მოძებნა არ უნდა გაჭირდეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სამეთვალყურეო საბჭოებში მოღვაწეობის პრაქტიკა არასამთავრობოებს უკვე გააჩნიათ. **"გამჭვირვალობის მომატების აუცილებლობა აქამდეც არ არსებობდა: შეიძლება ამ არასამთავრობო ორგანიზაციათაგან ბევრის წარმომადგენელი უკვე არის კიდეც რიგ საწარმოთა მეთვალყურე, რადგან ეს კანონით არ არის აკრძალული. ასე რომ, ახალი და დიდი ამჯერად არაფერი ხდება. ამ ნაბიჯის გაოფიციალურება კი არასამთავრობოთა სურვილი იყო,"** – ამბობს კიზივაძე.

არასამთავრობოებთან გაფორმებული "ურთიერთგაგების მემორანდუმი" ერთობლივი საზოგადოებრივი ურთიერთობის საბჭოს შექმნას ითვალისწინებს.

საქართველოს არასამთავრობო სექტორის და მთავრობის ურთიერთობათა ეროვნული ცენტრის თავმჯდომარე ნიკა გელაშვილი მიიჩნევს, რომ **"ეს მხოლოდ ანტიკორუფციული ხასიათის ქმედებაა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას და საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას ისახავს მიზნად. არასამთავრობოები სექტორში ჯანსაღ კლიმატს ჩამოაყალიბებენ. ჩვენი ფუნქცია სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისთვის სტრატეგიის ჩამოყალიბებაა და ჩვენი ჩართვა ამ სექტორში ჩვენს გასამთავრობოებას**

გაგრძელება A3 გვერდზე

## რუსთავი თბილისისგან დამოუკიდებლობას ითხოვს

### ექსპერიმენტატორი მერი და შორს მიმავალი პოლიტიკური გეგმები

მაია ურუშაძე
სოფო კვინტრაძე

*რეფორმების "მეცხრე ტალღამ" მალე რუსთავს უნდა გადაუაროს. საქართველოს ეკონომიკური კანონმდებლობით უკმაყოფილო რუსთავის მერი ექსპერიმენტებზე ფიქრობს და ამ მიზნის მისაღწევად ეკონომიკურ ექსპერტთა ერთ ჯგუფს რუსთავის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციას აწერინებს. მერაბ ტყეშელაშვილს მხარს სახელმწიფო მინისტრიც უჭერს. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად იქნება საკმარისი ავთანდილ ჟორჟენაძის პოლიტიკური ზურგი ისეთი ბარიერების გადასალახად, როგორებიცაა საქართველოს კონსტიტუცია და სხვა "ნაკლებად გასათვალისწინებელი" კანონები. კონცეფციის მიხედვით, ექსპერიმენტის ჩატარების მიზნით, რუსთავში ოთხი წლით შემოღებულ იქნება საგანგებო ეკონომიკური მდგომარეობა. აგრეთვე, განხორციელდება შესაბამისი ნორმატიული აქტების გამოცემა, საგადასახადო, სატარიფო შეღავათები და სხვა განსაკუთრებული პირობები.*

გაგრძელება A4 გვერდზე

## ვისია ფუნიკულიორის პლატო

### "თბილისი სიტი" მთაწმინდაზე კაზინოს აშენებას აპირებს



ბესო გულაშვილის ფოტო

მაია ჩიკვაიძე

თბილისიდან სულ რაღაც ათიოდე წუთის სავალზე, ზაფხულის ხვატით გულშეწუხებულ ადამიანს სიგრილის ოაზისი და ულამაზესი ხედი ეგულება. ეს ადგილი მთაწმინდის პლატო გახლავთ. თბილისის ერთადერთი ტყე-პარკი - წარსულში სახალხო სეირნობის, ბავშვების გართობის, შეყვარებულთა განმარტოების, სტუდენტთა და მოსწავლეთა "შატალოზე" გაპარვის, უცხოელი სტუმრებისთვის სავალდებულო ტურ-დათვალიერებების ადგილი - დღეს თითქმის გაუდაბურებულია.

საბაგირო და ფუნიკულიორი, რომელსაც სუფთა ჰაერისა და ლამაზი ხედის დამფასებლები ასე იოლად აჰყავდა ქალაქის ცენტრალური უბნებიდან, გაჩერებულია. საბაგირო ათზე მეტი წლის წინ, დღემდე დაუზუსტებელი მიზეზით მომხდარი ავარიის შედეგად გაჩერდა. ბელგიელების მიერ აშენებული ფუნიკულიორი კი, რომელსაც თითქმის საუკუნის მანძილზე კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია - 2000 წელს, როცა დაძრული ტრამვაი რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან დაგორდა. ფუნიკულიორის უკანასკნელი რეისის მგზავრები ტურიზმის "ჩემპიონი" იაპონელები იყვნენ. საბედნიეროდ, ფუნიკულიორის ავარიას, საბაგიროსგან განსხვავებით, მსხვერპლი არ მოჰყოლია.

გაგრძელება A8 გვერდზე

## რას გვპირდება ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი?

ოთარ ზოიძე
ირაკლი შავიშვილი
გია ჟანდიერი

საქართველოს ეკონომიკა უმძიმეს კრიზისს განიცდის. სხვა ბევრი სუბიექტური და ობიექტური მიზეზის გარდა, კრიზისის მიზეზია მოქმედი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც ბოლოდროინდელი ცვლილებების შედეგად "ანტიადამიანური" სახე მიიღო. ესაა სამართლებრივ-პოლიტიკური აქტი, რომელიც კლავს თავისუფალ შრომას და, საერთოდ, თავისუფლებას.

ბიზნესი მზარდი ტემპებით კვდება, გადადის ჩრდილში, ტოვებს ქვეყნის ფარგლებს, ხოლო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მოცულობა, ასეთივე ტემპებით, დღითიდღე კლებულობს. ხელისუფლება გამოსავალს მხოლოდ იმაში ხედავს, რომ გაამკაცროს გადასახადების ადმინისტრირება და გაზარდოს წესიერი გადამხდელისთვის ისედაც აუტანელი საგადასახადო ტვირთი. ამ დროს კი სხვა ქვეყნებში (მათ შორის, მეზობელ რუსეთში) დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს საგადასახადო სისტემის **პრაქტიკული** ლიბერალიზაცია, რის გამოც უმჯობესდება საინვესტიციო გარემო. სწორედ ამიტომ საქართველოში ბიზნესი რომ დაფუძნდეს, საგადასახადო პირობები აქ ბევრად უკეთესი უნდა იყოს.

ყოველივე ეს წარმოშობს საგადასახადო სისტემის ძირეულად და რადიკალურად შეცვლის აუცილებლობას. სწორედ ამ მიზნით სპეციალისტთა ჯგუფმა შეიმუშავა ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი. იგი აგებულია თვისობრივად სხვა მსოფლმხედველობრივ საწყისებზე.

შევეცდებით, მოკლედ შევადაროთ მოქმედი და ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის ძირითადი პრინციპები.

*მოქმედი კოდექსით გადასახადი ხარკია, გადამხდელს წარმოდგენაც არ აქვს, რაში იხარჯება მის მიერ გადახდილი თანხა (გადასახადი).*

*პროექტის შესაბამისად, გადასახადს აქვს კონკრეტული დანიშნულება - იგი არსებობს იმისთვის, რომ ხელისუფლებამ შეასრულოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულებები. პროექტით გათვალისწინებულია ხელისუფლებისთვის მთავარი, კონსტიტუციიდანვე გამომდინარე ბარიერი - გადასახადის დაწესება, მისი ოდენობა და გადახდის წესი არ უნდა ხელყოფდეს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შეუვალ უფლებებს, მათ თავისუფლებას.*

*მოქმედი კოდექსი აკანონებს საგადასახადო ადმინისტრაციის უსაზღვრო ბატონობას და შესაძლებლობებს უქმნის მას, რომ ნებისმიერი ხერხით დაჩაგროს გადასახადის გადამხდელი, დაუკარგოს საქმიანობის ყოველგვარი სურვილი. პროექტის შესაბამისად, საგადასახადო ადმინისტრაციისა და გადასახადის გადამხდელის ურთიერთობა ეფუძნება პარტნიორობისა და თანაზომიერი ურთიერთპასუხისმგებლობის პრინციპს.*

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პრობლემა

B2 სტილი B3 რეკლამა B4 კულტურა B5 კულტურა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

**თბილისი.** ქართული სამრეწველო საწარმოები გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებელს თითქმის ორჯერ ამცირებენ.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, 2002 წლის პირველ 6 თვეში გამოშვებულია 551,9 მილიონი ლარის ოფიციალურად დეკლარირებული პროდუქცია, რეალურად კი მაჩვენებელი 1 მილიარდ ლარს უტოლდება.

მიმდინარე წელს 2001 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ქართული საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის მაჩვენებელი ლეგალური წარმოებით 0,2 პროცენტით, არალეგალურით კი 0,1 პროცენტით გაიზარდა. 6 თვეში წარმოებული პროდუქციიდან სახელმწიფო სექტორზე 42,5 პროცენტი, ხოლო არასახელმწიფოზე 57,5 პროცენტი მოდის. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზურმა მხარემ გაეროს საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების მოლაპარაკებათა გასაახლებლად თავისი პირობა წამოაყენა, რაც ქართული მხარის მიერ კონტროლირებად კოდორის ხეობის ზემო ნაწილის სრულ დემილიტარიზაციას ითვალისწინებს.

აფხაზთა მხარის ხელთ არსებული ინფორმაციით, გაეროს უშიშროების საბჭო 31 ივლისის სხდომაზე, კოდორის ზემო ხეობაში შეიარაღებული ქვედანაყოფების ყოფნას 1994 წლის მოსკოვის შეთანხმების დარღვევად შეაფასებს.

მათი ინფორმაციით, ხეობაში დღეისათვის 900-ზე მეტი შეიარაღებული ქართველია, რაც საომარი მოქმედებების განახლების პერმანენტულ საფრთხეს ქმნის, ამდენად ასეთ პირობებში მოლაპარაკებები აზრს კარგავს.

თბილისი აცხადებს, რომ კოდორის ხეობაში მხოლოდ მესაზღვრეები და ეროვნული გვარდიის რეზერვისტები იმყოფებიან, რაც მოსკოვის 1994 წლის შეთანხმებას არ ეწინააღმდეგება. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** მიმდინარე წლის 26 ივლისის მონაცემებით, "ფეროს" მიერ გამოშვებული პროდუქციის მთლიანმა ღირებულებამ 1,2 მილიონი ლარი შეადგინა, რაც გასული თვის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს თითქმის 2,5 –ჯერ ჩამორჩება.

წარმოების შემცირების ერთ-ერთ მიზეზად "ფეროსთვის" ელექტროენერგიის არასაკმარისი რაოდენობით მიწოდება დაასახელეს. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი..** სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ვადა აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდა.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის ვადა 31 ივლისს იწურებოდა. როგორც გუშინ თათბირზე ვანო ზოდელავამ განაცხადა, დღევანდელი სურათიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი გაგრძელება.

აღნიშნულ თემაზე მერიაში პრემიერთან გია შერაძესთან გაიმართა რამდნიმე შეხვედრა.

მერია რაიონების გამგებლებსა და სამხედრო კომისრებს დახმარებას პირდება.

წინასწარი მონაცემებით, სამხედრო სავალდებულო სამსახურში ახალწვეულთა მხოლოდ 50 პროცენტია გაწვეული. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი..** გერმანიის ქალაქების საარბრიუკენის, ფრანკფურტისა და ნანტის მერებმა თბილისის დახმარების სურვილი გამოთქვეს და უახლოეს დღეებში სასწრაფო სამედიცინო და დასუფთავების მანქანებს საჩუქრად გამოგზავნიან. მათი რაოდენობა ჯერ დაზუსტებული არ არის. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი..** მიწის პრივატიზების წინააღმდეგ გამოდის თბილისის მთავრობის ვიცე-პრემიერი დავით ღვინიაშვილი.

ღვინიაშვილი აცხადებს, რომ მოსახლეობა მიწას მხოლოდ ჯიხურების ჩასადგმელად ყიდულობს, რის გამოც მახინჯდება დედაქალაქის იერსახე. გაყიდული მიწის ნაკვეთებიდან კი ბიუჯეტში მიზერული თანხა შედის, რის გამოც კვლავ ქალაქის ხელმძღვანელობა ილანძღება.

არქიტექტურის სამსახურს დაევალა, იზრუნოს ქალაქში თავისუფალი ადგილების კეთილმოწყობისათვის. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მეტროპოლიტენის ხელმძღვანელი გურამ გაბუნია სადგურებში მათხოვართა მომრავლების აღმოსაფხვრელად ქალაქის მთავრობის დახმარებას ითხოვს.

გაბუნიას ინფორმაციით, მეტროპოლიტენის სამგზავრო ვაგონებში მომრავლებული მოვაჭრეები და მათხოვრები მგზავრებში უარყოფით ემოციებს იწვევენ, მაგრამ მათი მეტროპოლიტენიდან მოშორება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

მეტროპოლიტენის ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ თუ ქალაქის ხელმძღვანელობა მათ გარკვეულ დახმარებას არ გაუწევს, მოვაჭრეების და მათხოვრების რაოდენობა კიდევ გაიზრდება. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი..** "60 წუთის" კვალდაკვალ, თბილისის პროკურატურამ ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციაში ადამიანის უკანონოდ დაკავების, ცემისა და სამსახურეობრივი მოვალეობების გადაჭარბების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

საქმე 30 ივნისს დაკავებულ გიგა ბიწაძეს ეხება, რომელიც ჯერ პოლიციის თანამშრომლებმა ვაკე-საბურთალოს შს განყოფილებაში აღიარებითი ჩვენების გამოძალვის მიზნით სცემეს, რის შემდეგაც ის უგონო მდგომარეობაში მოათავსეს ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტრომ სიგარეტის კონტრაბანდის მოცულობის შესამცირებელი გზა გამოძებნა.

უაქციზო თამბაქოს ნაწარმის გამოყენებისთვის მომხმარებლები გარკვეული თანხით დაჯარიმდებიან.

ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლევან ჩრდილელმა განაცხადა, რომ მართალია, სიგარეტის მწეველების მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენების საკითხი ჯერჯერობით იდეის დონეზე განიხილება, მაგრამ თავად ასეთი სანქციების პრინციპული მომხრეა და შესაბამისი კანონპროექტის შემუშავებასაც აპირებს.

საჯარიმო სანქცია "შესაძლოა 1 000 ლარითაც განისაზღვროს".(პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი** დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში და რაჭაში საერთაშორისო პროტოკოლით აკრძალული სამეურნეო კულტურების გენშეცვლილი თესლები ითესება.

მცენარეთა გენშეცვლილი თესლები კერძო, გარეშე პირებმა შეიძინეს და საქართველოში ჩამოიტანეს. საერთაშორისო პროტოკოლით ამ თესლების დაცვის ზონის გარეთ ღიად დათესვა აკრძალულია. თუმცა, საქართველოში ამის შესახებ არანაირი კანონი არ არსებობს.

საერთაშორისო პროტოკოლის რატიფიცირება პარლამენტმა უნდა მოახდინოს, ხოლო პარლამენტს შესაბამისი კანონპროექტი გარემოს დაცვის სამინისტრომ უნდა მიაწოდოს. თუმცა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ამ კანონის შეტანას აჭიანურებს, რაც თესლის შემოტანას და დათესვას უწყობს ხელს. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი..** ქვეყანაში 46,8 ათასი ტონა ხორბლისა და 11,5 ათასი ტონა ფქვილის ნაშთია.

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ინფორმაციით, 25 ივლისის ჩათვლით საქართველოში 22,5 მლნ კბმ ბუნებრივი გაზია მოწოდებული. აქედან სომხეთის რესპუბლიკას მიეწოდა 14,9 მლნ კბმ, რუსთავის ქიმიურ კომბინატს 3,6 მლნ კბმ, რუსთავის ცემენტის ქარხანას 0,9 მლნ კბმ, დანარჩენ მომხმარებლებს 1,2 მლნ კბმ გაზი. საკუთარმა მოსახლეობამ და ტექნოლოგიურმა დანაკარგებმა შეადგინა 1,9 მლნ კბმ. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი..** სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის წინააღმდეგ სახელმწიფო კანცელარიის წინ უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა ასოციაცია საპროტესტო აქციას გამართავს.

ყრუ-მუნჯთა ასოციაცია ჯორბენაძეს მათ წინააღმდეგ ქმედებებში ადანაშაულებს. კერძოდ, მათი პრეტენზიები შეეხება ინვალიდებისათვის საგადასახადო კოდექსში არსებული შეღავათების მოხსნას. საპროტესტო აქცია კანცელარიის წინ მთავრობის სხდომის პარალელურად გაიმართება. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** დეპუტატ ელენე თევდორაძის განცხადებით, პარლამენტის საშემოდგომო სესიის განსახილველ საკითხთა ნუსხაში მისი ინიციატივით „პრესისა და თავისუფალი სიტყვის შესახებ“ კანონპროექტიც შევიდა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა თითქმის ერთი წელია, მოამზადა.

აღნიშნულ კანონპროექტს პარლამენტში პრობლემები ჯერ კიდევ შარშან შეექმნა; „მაშინ მიზეზად ჟურნალისტთა ნაწილის წინააღმდეგობაც დასახელდა," — აცხადებს თევდორაძე და დასძენს: ამის შემდეგ კანონპროექტი საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს გადაეცა, რომელმაც ექსპერტიზის გასავლელად იგი ევროსაბჭოში გადააგზავნა. ექსპერტებმა მასში რამდენიმე წინადადება შეიტანეს და 11-მუხლიანი პროექტი 17-მდე გაიზარდა, რის შემდეგაც იგი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში დაბრუნდა და ჟურნალისტებთან ერთად მისი განხილვაც მოეწყო.

თევდორაძის განცხადებით, სტრასბურგში კანონპროექტი დადებითად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ ამგვარი დონის კანონი პოსტსაბჭოთა სივრცეში არ არსებობს. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** ყოველდღიური რეიდებისა და ბაზრობების შემოწმებების მიუხედავად, რომლებსაც თბილისში სხვადასხვა სამსახურები ანხორციელებენ, უკანონო გარევაჭრობის აღკვეთა ვერ მოხერხდა. გაუქმებულია გარე ვაჭრობის მხოლოდ რამდენიმე მცირე წერტილი, სადაც 2-3 ადამიანი ვაჭრობდა.

რაც შეეხება ძირითად ბაზრობებს და ბაზრების მიმდებარე ტერიტორიებს, იქ ყოველდღიურად უამრავი დარღვევის ფაქტი ფიქსირდება.

პროდუქტი წესების უხეში დარღვევით, ქუჩებში, მაცივრების გარეშე იყიდება. გარემოვაჭრეებს ჯერ არავინ აჯარიმებს. მიუხედავად იმისა, რომ გარემოვაჭრეების დაჯარიმების შესახებ ბრძანებას ხელი უკვე მოეწერა, იგი ჯერ არ გამოქვეყნებულა და ძალაში არ შესულა. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი..** 400 გამოკითხული თბილისელის 65,8 პროცენტი არ ენდობა საქართველოს კომერციულ ბანკებს. ამაზე სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების ცენტრის - "ნეა ინტერმედია" - მიერ ჩატარებული გამოკითხვა მეტყველებს.

ბანკებისადმი ნდობა გამოხატა გამოკითხულთა 18,4 პროცენტმა. 10,8 პროცენტი ბანკებს "გარკვეულწილად" ენდობა. 5 პროცენტს არავითარი შეხება არ ჰქონია მათთან.

ამასთან, ეროვნული ბანკის მონაცემებით, წელს სადეპოზიტო შენატანები 50 პროცენტით გაიზარდა. მოსახლეობის განსაკუთრებულ ნდობას იმსახურებს აშშ დოლარი. სწორედ ეს ვალუტა შედის ბანკებში.(კავკას-პრესი)

■ ■ ■

**ბათუმი**. თანამშრომლობის შესახებ ოქმის ხელმოწერით დასრულდა მოსკოვის დელეგაციის ვიზიტი ბათუმში.

ხელი მოეწერა შეთანხმებას ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის სფეროებში თანამშრომლობის და აჭარის დედაქალაქის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ.

მოსკოვის მერიის კომუნალური სამსახურის დელეგაციის ვიზიტისას რუსი სპეციალისტები გაეცნენ ბათუმის ენერგეტიკულ და საკანალიზაციო მეურნეობებს. გადაწყდა, შეიქმნას ამ სფეროების განვითარების გეგმა 2015 წლამდე. მხარეები შეთანხმდნენ კადრების გაცვლაზე. კერძოდ, რუსული მხარე მოსკოვში ქართველი სპეციალისტებისათვის სტაჟირებას ჩაატარებს.(კავკას-პრესი)

# ცესკო ბიულეტენების გადათვლას და საკუთარი ღირსების დაცვას დაგვიანებით იწყებს

თამარ მჭედლიშვილი

*დღეიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საკმაოდ მძიმე დღეები ეწყება. ცესკო თბილისის ბიულეტენების გადათვლას იწყებს. ფინანსთა სამინისტრომ და სახელმწიფო ხაზინამ ამ პროცესს, ფაქტობრივად, მწვანე შუქი აუნთეს და ცესკო-ს მიერ მოთხოვნილი თანხის უმეტესი ნაწილი კომისიის ანგარიშზე გადარიცხეს.*

ერთი სიტყვით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვერ აიცილა თავიდან ეს უმძიმესი ტვირთი და კვლავ პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში მოექცა. გუშინ კომისიის წევრები უკვე ღიად აცხადებდნენ: **"არავინ იცის, როდის დამთავრდება ეს პროცედურა და, რაც მთავარია, რა დაგვხვდება დალუქულ ტომრებში."**

**"შესაბამისად, სულაც არ არის გამორიცხული, იმელის შენობის სარდაფში შენახული თბილისელთა არჩევანი სულ სხვაგვარი აღმოჩნდეს და დედაქალაქს, საკრებულოს ხელახალი არჩევნების გარდა, სხვა ალტერნატივა აღარ ჰქონდეს,"** - განუცხადა "24 საათს" შალვა ბებოშვილმა.

სამაგიეროდ, უკვე გარკვეულია პარლამენტისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ურთიერთობები. ცესკო-ში დეპუტატების მიმართ აგრესია სულ უფრო იზრდება და პოლიტიკური განცხადებების სიმძაფრეც მატულობს. გუშინ კი დაპირისპირებამ პიკს მიაღწია.

კონფლიქტის საბაბი ქობულეთში გამართული ბიურო გახდა, სადაც პარლამენტარებმა ცესკო-ს არაერთი მწვავე გამოსვლა "მიუძღვნეს". თუმცა, გუშინ კომისიის წევრებმა თავისი აღშფოთება და რისხვა თავს დაატეხეს მხოლოდ ერთ პარლამენტარს – დემურ გიორხელიძეს (იგი ქუთაისის მერობის ერთ-ერთი კანდიდატი იყო). თავდაპირველად იაქტიურეს ცესკო-ს აკადემიკოსმა წევრებმა – მინდია სალუქვაძემ და ნიკოლოზ ვახანიამ. მათ მოიხმეს ციტატები გიორხელიძის გამოსვლიდან, რომლის თანახმად, ცესკო-ს წევრები მექრთამეები არიან და პარლამენტმა კომისიის ხელმძღვანელობას სასწრაფო რეაგირება უნდა მოსთხოვოს.

კომისიის რეაქციამაც არ დააყოვნა.



შეურაცხყოფილი აკადემიკოსი

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

პარლამენტის მისამართით ბრალდებების მთელი ტალღა აგორდა, რომლის მოკლე შინაარსიც ასეთია – საკანონმდებლო ორგანომ საკუთარი ცოდვების მისაჩქმალად მთელი აქცენტი ცესკოზე გადაიტანა და მის წინააღმდეგ შავი პიარკამპანია გააჩაღა. გუშინ განსაკუთრებით იაქტიურა ილია გეგენავამ, რომელსაც, თავის მხრივ, რამდენიმე პარლამენტარმა საკმაოდ მძიმე ბრალდებები წაუყენა: პირველ რიგში "ახალი მემარჯვენეების" ინტერესების ღია ლობირება და ანგარება. გუშინ ცესკოში ვახტანგ რჩეულიშვილისა და გოგი თოფაძის ბრალდებებიც გაიხსენეს (პირველი ცესკო-ს საზოტაჟში ადანაშაულებდა, მეორემ კი კომისიას "კრიმინალთა ბანდა" უწოდა).

რაღა თქმა უნდა, საკუთარი ღირსების დაცვა (თუნდაც, დაგვიანებით) საკმაოდ კეთილშობილური საქმეა. საინტერესოა, რატომ გამწვავდა ასე ძლიერ ურთიერთობები პარლამენტსა და ცესკო-ს შორის სწორედ თბილისის ბიულეტენების გადათვლის წინ? ცესკო-ს ასეთი გააქტიურება ხომ არ ნიშნავს ძალის დემონსტრირებას მაშინ, როცა პარლამენტი ღიად იწყებს გამოსვლას ცესკო-ს რეორგანიზაციის მოთხოვნით.

ცესკო-ს აკადემიკოსი წევრების პროტესტი კი აშკარად სამართლიანია, რადგან არც ნიკოლოზ ვახანიას და არც მინდია სალუქვაძეს (თავად ცესკო-ს წევრების "შინაურული" აღიარებით) არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა საეჭვო ვაჭრობებსა თუ გარიგებებში. მეტიც – ეს პროცესები ისე ვითარდებოდა, რომ მათ საქმის კურსშიც კი არავინ აყენებდა. შესაბამისად, მინდია სალუქვაძის მიერ შედგენილი საპროტესტო განცხადება საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერს:

**"ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, დემურ გიორხელიძემ კონკრეტულად დაასახელოს გვარები, ცესკო-ს 19 წევრიდან ვის მიიჩნევს მექრთამედ. მას არა აქვს უფლება, ყველას ერთად მოგვაყენოს შეურაცხყოფა და ხელაღებით ყველაზე ერთნაირად ილაპარაკოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებულნი ვიქნებით, მივმართოთ სასამართლოს."**

გუშინდელი სკანდალის მთავარი გმირი, დემურ გიორხელიძე, საკმაოდ მშვიდად შეხვდა ცესკო-ს აგრესიას.

**"ჩემი გამოსვლა ბიუროს სხდომაზე სიტყვა-სიტყვითაა დაფიქსირებული, ამიტომ მის გამეორებას არ შევუდგები. მე განვაცხადე, რომ დღეს არსებული პრინციპით ცესკო-ს დაკომპლექტება უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ჩვენ მივიღეთ ლეგალური კრიმინალური დაწესებულება. მე ორჯერ დავესწარი მათ სხდომებს. გაოგნებული დავრჩი. კომისიის წევრები ერთმანეთს მიმართავდნენ, რომ შეეწყვიტათ ბინძური გარიგებები და ა.შ. ამის მომსწრე ვარ არა მხოლოდ მე, არამედ პარლამენტარები, პრესის წარმომადგენლები, რომლებსაც ცესკო იგნორირებას უკეთებდა. მე ბიუროზე მხოლოდ ეს განვაცხადე. ახლა კი შემიძლია დავამატო, რომ ცესკო-ს თავმჯდომარე და მისი მოადგილე არც პირველ და არც მეორე დღეს თავის მოწოდების სიმაღლეზე არ იდგნენ. ჩემი გამოსვლაც ცესკო-ს სხდომაზე იყო ნიმუში არამხოლოდ კორექტულობისა, არამედ ნიმუში პასუხისმგებლობისა. მე ამ პასუხისმგებლობისკენ მოვუწოდე ცესკო-ს. არც ერთ ჩემს სიტყვაზე არ ვამბობ უარს. მეტიც: მივესალმები, თუკი ისეთი ორგანიზაცია, როგორიც ცესკო-ა, ჩემს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს. მე მზად ვარ ყველა სიტყვაზე პასუხი ვაგო; არავისთვის პიროვნული შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. ვთქვი ის, რაც თვითონ ცესკო-ში დამანახეს. მე პოპულისტური განცხადებები არათუ ქობულეთში, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არ გამიკეთებია,"** - განუცხადა "24 საათს" პარლამენტარმა დემურ გიორხელიძემ.

სავარაუდოდ, პარლამენტსა და ცესკო-ს შორის ურთიერთობების გარკვევა კარგა ხანს არ დასრულდება და ფონად გაჰყვება ბიულეტენების გადათვლის რთულ და არაპროგნოზირებად პროცედურას.

# „ნაციონალები" - „პურის რეფორმის" წინააღმდეგ

გიორგი ასანიშვილი

გუშინდელი დღიდან ძალაში შევიდა საგადასახადო კოდექსში პარლამენტის მიერ შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმადაც, ამიერიდან მეწარმე პურის წარმოებისთვის ფიქსირებულ გადასახადს გადაიხდის. მისი განაკვეთი თვეში შეადგენს 320 ლარს მოქმედი ღუმელის საცხობი ფართის ყოველ კვადრატულ მეტრზე და 400 ლარს - ყოველ თონეზე. ვინაიდან დაბეგვრის რეჟიმის შეცვლის საბოლოო მიზანს ფქვილის კონტრაბანდასთან ბრძოლა წარმოადგენს, ამიტომ მეწარმეების "წახალისების" ასეთი ფორმა მოიძებნა: თუ ისინი თავის ბიზნესს "გაათეთრებენ" და ლეგალურად შემოტანილი ფქვილით იმუშავებენ, ფიქსირებული გადასახადი, შესაბამისად, 90 და 200 ლარამდე შეუმცირდებათ.

"ნაციონალური მოძრაობა" და მისი საპარლამენტო ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისთვის" აცხადებს, რომ ახალი კანონი დისკრიმინაციულია, ის მსხვილი მეწარმეების ინტერესებს, მეტნაკლებად, კიდევ შეესაბამება, მცირე ბიზნესით დაკავებულ მეწარმეებს კი საერთოდ, გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს.

გუშინ გამართულ ფრაქციის სხდომაზე, რომელსაც, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, პურის ზოგიერთი მცირე საწარმოს მფლობელიც ესწრებოდა, გამოითქვა შიში, რომ საგადასახადო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა, შესაძლოა, ქვეყანაში პურის დეფიციტი გამოიწვიოს.

**"ეს საკითხი ბოლომდე არ იყო გააზრებული, ხოლო მოსალოდნელი შედეგები - ბოლომდე გათვლილი. შეიძლებოდა, ექსპერიმენტი ერთი კვარტლით შემოგვეღო და თუ გაამართლებდა, მისი მოქმედების ვადა გაგვეგრძელებინა. პარლამენტმა კი "საცდელი პერიოდი" 2004 წლის 1 იანვრამდე დააწესა, რასაც, სულაც არ არის გამორიცხული, სავალალო**



"მეწარმეები აღშფოთდნენ და ჩვენთან მობრძანდნენ"

იური ლობოდინის ფოტოები

**შედეგები მოჰყვეს,"** - კოლეგებს წინდაუხედაობაში სდებს ბრალს ფრაქციის თავმჯდომარე კოტე კემულარია.

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ 25 ივნისის სხდომაზე საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტარებმა ერთსულოვნად მიიღეს და 122 მხარდამჭერთა შორის თავად "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმების" ზოგიერთი წევრის გვარიც ფიგურირებდა. ამასთან დაკავშირებით ვანო მერაბიშვილი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ კენჭისყრის დროს არც ერთი მისი თანაფრაქციელი სხდომათა დარბაზში არ ყოფილა და მათი პულტები სხვებმა გამოიყენეს.

"ნაციონალების" პოლიტიკური მხარდაჭერით გამხნევებულმა, ფრაქციის სხდომაზე დამსწრე ბიზნესმენებმა ერთხმად გაილაშქრეს ფიქსირებული გადასახადის წინააღმდეგ და მოითხოვეს, რომ დაბეგვრა პურის ღუმელის წარმადობის მიხედვით კი არა, პროდუქციის რეალიზაციის გათვალისწინებით მოხდეს.

მეწარმეთა აღშფოთებას ცეცხლზე ნავთს ასხამს დეპუტატი პეტრე ცისკარიშვილი, რომელიც აცხადებს, რომ საგადასახადო კოდექსი მხოლოდ თბილისის რამდენიმე ცენტრალური რაიონისთვის იწერება და ეს იმის გათვალისწინებით კეთდება, თუ როგორ გაურიგდებიან იქაური "ბობოლები" ცენტრალურ ხელისუფლებას. რაც შეეხება რეგიონებს (განსაკუთრებით, შორეულ სოფლებს), პარლამენტარის თქმით, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები იქ სასაცილოდ არ ჰყოფნით და გიჟად მიაჩნიათ, ვინც პურის ცხობისთვის გადასახადის გადახდას ითხოვს.

ბრალდებებში კიდევ უფრო შორს მიდის ვანო მერაბიშვილი. **"საინტერესოა, რატომ მოინდომეს ჯერ ფქვილის ბიზნესის ლეგალიზაცია - დაეწყოთ ბენზინით, სიგარეტით, ტელეკომუნიკაციებით... ამ სფეროებში წესრიგის დამყარება კი იმიტომ არ უნდათ, რომ პრეზიდენტის ოჯახის ინტერესები იკვეთება. ამ ოჯახში, ეტყობა, არ არის ისეთი ხალხი, რომელიც პურის საცხობ პატარა თონეებს ფლობენ და მცირე ბიზნესს ეწევიან. ჰოდა, "გამოსავალიც" მოინახა,"** - ვარაუდობს ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე.

თუ რატომ მოახდინეს "ნაციონალებმა" ასე დაგვიანებით რეაქცია ერთ თვეზე მეტი ხნის წინათ მიღებულ კანონზე, ვანო მერაბიშვილი შემდეგნაირად ხსნის: **"გუშინ საგადასახადო ინსპექტორებმა დაიბარეს მეწარმეები და მოსთხოვეს, რასაც აქამდე ქრთამად გვაძლევდით, ხვალიდან ხუთჯერ მეტი უნდა გადაგვიხადოთო. მეწარმეები აღშფოთდნენ და ჩვენთან პარტიაში მობრძანდნენ, ჩვენ კი მათ პარლამენტის ტრიბუნა შევთავაზეთ."**

ფრაქციის სხდომაზე გამოთქმულ მოსაზრებებს კატეგორიულად არ ეთანხმება ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი. მისი თქმით, კანონი მხოლოდ ერთი დღეა, რაც ამოქმედდა და ლაპარაკი იმაზე, რომ მას მძიმე შედეგები მოჰყვება, ჯერ ნაადრევია.

**"პურის დეფიციტი არ იქნება. უბრალოდ, თუ აქამდე დიდი მოთხოვნა იყო კონტრაბანდულ ფქვილზე, ამიერიდან მოთხოვნა ლეგალურ ფქვილზე გაჩნდება. ასევე არარეალურია საფრთხე, თითქოს, იქნებიან აღურიცხავი მეწარმეები და ჩრდილოვანი საწარმოები, რომლებსაც საქმე მხოლოდ საგადასახადო ინსპექტორთან ექნებათ და მათ შორის მოხდება გარიგება,"** - ირწმუნება ფინანსთა მინისტრის მოადგილე...

თუმცა, მინისტრის მოადგილის არგუმენტები " ნაციონალებს" არადამაჯერებლად მიაჩნიათ. ისინი აპირებენ, საგადასახადო კოდექსის ხელახლა შეცვლის თაობაზე ფინანსთა სამინისტრო როგორმე დაიყოლიონ (რაც ნაკლებად სავარაუდოა), წინააღმდეგ შემთხვევაში კი, პარლამენტში ახალი ალტერნატიული კანონპროექტის შეტანას გეგმავენ.

# პირველი გამოფენა ჯარისკაცების დასახმარებლად

თეა ბილიბაშვილი

დღეს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში დაიწყო საქველმოქმედო აქცია, სურათების გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიებას ხელმძღვანელობს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი. ოცზე მეტმა მხატვარმა საკუთარი ნამუშევრები საჩუქრად (ან ძალიან დაბალ ფასად) გადასცა ორგანიზატორებს. გაყიდული სურათების თანხას განკარგავს საგანგებო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ როგორც სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლები, ისე სამხედრო პირები.

ნოდარ ეფრემიძე, სახალხო დამცველის თანაშემწე სამხედრო პირებთან ურთიერთობის საკითხებში: **მიუხედავად იმისა, რომ თითქოს რაღაც გამოცოცხლება იგრძნობა ჩვენს ჯარში, ეს მხოლოდ წვრთნისა და აღჭურვის პროგრამასა და "კომანდოს" ბატალიონს შეეხება. დანარჩენ სამხედრო ნაწილებში მდგომარეობა უცვლელია. იქ ისევ დგას საკვების, ჩაცმის, დეზერტირობისა და წვრთნის პრობლემა. ამ ღონისძიებას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს, შევეცადოთ, როგორმე მაინც გამოვასწოროთ დღეს არსებული მდგომარეობა.**

ღონისძიების ორგანიზატორთა აზრით, დღეს ქართული ჯარი მიტოვებულია როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების მიერ; ჯარისკაცებს პატივს არ სცემენ და არც სათანადოდ აფასებენ და ეს ხდება მაშინ, როცა სწორედ ჯარისკაცები იცავენ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას; გამოფენის სახელწოდებაც, **"ჯარისკაცი ჩვენი შვილია",** საზოგადოების განწყობის შეცვლას ემსახურება.

გამოფენის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ შემოსული თანხა 2000 დოლარს მიაღწევს. ნოდარ ეფრემიძის განცხადებით, გადაწყვეტილია ამ თანხით სამხედრო ნაწილებისათვის ტელევიზორების შეძენა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული"

თამარ ხორბალაძე

ამ კედლებს "მოქალაქეთა კავშირი"-ს სათათბიროს თავყრილობები არაერთხელ უნახავს.

ამ კედლებს "მოქალაქეთა კავშირის" აღზევების ხანაც უხილავს და ისიც, როგორ ასხეს ლანძღვის ნიაღვარი ერთმანეთს მაშინ ჯერ კიდევ თანაპარტიელებმა.

ამ კედლებს უნახავს პრეზიდენტის პარტიისგან განდგომაც.

გუშინდელის წინა შეხვედრაზე ამ კედლებში შეეჯახნენ ერთმანეთს "მოქალაქეთა კავშირის" ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები.

ამ დარბაზიდან გავიდა ემოციური გამოსვლის შემდეგ ზურაბ ჟვანია, თითქოსდა პარლამენტში გადაუდებელი საქმის გამო. თან საქართველოს პრეზიდენტს გასვლის მიზეზი "ყურში ჩასჩურჩულა".

ამ დარბაზში შეაქცია იმ დღეს ზურგი შევარდნაძემ მამალაძეს, თითქოსდა იმის დასტურად, რომ ჟვანიას გუნდს არ თმობდა.

მას შემდეგ სულ რამდენიმე თვემ გაიარა.

გუშინ კანცელარიის დიდ დარბაზში "მოქალაქურ" "წამყვან პარტიას" უკვე სხვა ხალხი ასრულებდა. ისინი, ვისი ყოფნაც "მოქალაქეთა კავშირში" წლის დასაწყისისთვის ჯერ კიდევ დავიწყებული ჰქონდათ და ისინიც, ვინც "მოქალაქეთა კავშირის" კარს იმ შეხვედრის დროს ჯერ არ ამტვრევდა.

თუმცა, გუშინდელი შეხვედრის უცვლელი მონაწილეები გახლდნენ საქართველოს პრეზიდენტი, ასევე ქალბატონი მანანა გიგინეიშვილი, ტრადიციულად ემოციური და პათეტიური გამოსვლით, და "ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები".

შეხვედრაზე ალაგ-ალაგ გამოჩნდე-



*"ძალიან ფრთხილი უნდა ვიყოთ იმ ადამიანებთან დაკავშირებით საუბრისას, რომლებიც აქედან წავიდნენ."*

ბესო გულაშვილის ფოტო

ბოდა ხოლმე ყოფილ თანაპარტიელთა "მბორგავი აჩრდილი".

მაგალითად:

ომარ გოგიაშვილის გამოსვლაში, რომელიც ხაზს უსვამდა, რომ ახალი სათათბირო არ უნდა დაემსგავსოს იმ ძველს, რომლის შეკრებაც სამი წლის მანძილზე ვერა და ვერ მოხერხდა;

ქალბატონი მანანას სიტყვაში, რომელმაც გაიხსენა, როგორ უნამუსოდ ებრძოდნენ თავის დროზე განახლებული "მოქკავშირის" "ახალ" სახეს დავით იაკობიძეს ძველპარტიელი "მოქალაქეები";

ვალერი კვარაცხელიას მოხსენებაში, რომელმაც აღნიშნა, რომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პარტიაში სპეციალურად იყო შექმნილი ისეთი სტრუქტურა, რომ ვერავის გაეგო, ვის რა ფუნქცია ეკისრებოდა;

სმაკ-ის ახალი ლიდერის, ლადო ბოჟაძის გამოსვლაში, რომელმაც განაცხადა, რომ ახალგაზრდების ახალგაზრდული ტემპერამენტის გამოყენება ბევრმა სცადა სათავისოდ და სმაკელებს ძალიან დიდი ზეწოლის ატანა მოუხდათ;

"მოქალაქეთა" ოფისზე ჩამოგდებულ სიტყვაშიც, სადაც სასამართლოც ახსენეს...

სამაგიეროდ, მეტისმეტად კონსტრუქციული გახლდათ და საყოველთაო შერიგებას ქადაგებდა პარტიის ახალი თავმჯდომარე და ლიდერი, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე:

**"ძალიან ფრთხილი უნდა ვიყოთ იმ ადამიანებთან დაკავშირებით საუბრისას, რომლებიც აქედან წავიდნენ. არ არის საჭირო დავის სასამართლომდე მიყვანა. უნდა წავიდეთ მოლაპარაკების გზით და არა - პრობლემების შექმნის, და მერე ამ პრობლემებზე საზოგადოების ყურადღების კონცენტრირების გზით"**, - განაცხადა ჯორბენაძემ ვაშლიჯვარის ოფისის თემის კომენტირებისას.

თუმცა, საქართველოს პრეზიდენტს მოწინააღმდეგეები მაინც არ დავიწყებია. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მისი სამიზნე უფრო პარტიიდან ადრიანად წასული ჯგუფი გახლდათ.

საქართველოს პრეზიდენტი გუშინ ალაპარაკდა "შემოდგომისთვის მოსალოდნელ არეულობაზე".

**"არ მოხდება ეს, არ იქნება... ვინც მტერია, ის შეეცდება ააგოროს ეს მოვლენები... ვისაც სძინავს და თანამდებობები ესიზმრება..."** - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა და ხაზი გაუსვა, რომ განახლებული "მოქალაქეთა კავშირის" ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხალხთან მისვლა და მათთვის იმ წარმატებების ახსნაა, რომელსაც ქვეყანამ ბოლო ათი წლის განმავლობაში საშინაო და, განსაკუთრებით, საგარეო პოლიტიკაში მიაღწია.

და კიდევ - "მოქალაქეთა კავშირის" გუშინდელი თავყრილობა ყველა თუ არა, უმეტესი წინამორბედისაგან ერთი ძირითადი ნიშნით გამოირჩეოდა - შესაშური ერთსულოვნებით.

აკი აღნიშნა კიდეც პარტიის ახალმა თავმჯდომარემ ავთანდილ ჯორბენაძემ თავის გამოსვლაში: **"ჩვენ განსხვავებულები არა ვართ. ჩვენ დისპუტებს, განხილვებს გავმართავთ გადაწყვეტილების მიღებამდე, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მისი აღსრულება ყველას ვალი იქნება..."**

# ჯორბენაძის პოლიტეკონომიკური თამაშები

პირველი გვერდიდან

**ან პოლიტიზირებას არ გამოიწვევს. კანონმდებლობა არ ზღუდავს, რომ სამეთვალყურეო საბჭოებში არასამთავრობოების წარმომადგენლებმა ხელფასი მიიღონ და მთავრობასთან ითანამშრომლონ. თანაც, მარტო იმ ობიექტებზეა საუბარი, სადაც, ჯერჯერობით, სამეთვალყურეო საბჭოები არ ყოფილა ჩამოყალიბებული."**

საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოების შემადგენლობა გარკვეული კანონებით რეგულირდება და, ძირითადად, იმ პიროვნებათაგან კომპლექტდება, ვისაც დარგობრივი "ნათესაობა" აკავშირებს ამა თუ იმ საწარმოსთან. კანონით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეუძლებელია, იურიდიული პირი იყოს. შედეგად, სამეთვალყურეო საბჭოებში, რომელთა შემადგენლობაც აუცილებლად სამის ჯერადი უნდა იყოს, მხოლოდ არასამთავრობოთა მიერ ლობირებული კონკრეტული პირები შევლენ, რომელთა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრობაც ოფიციალურად არაფრის მთქმელი არ იქნება.

**"არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობა სახელმწიფო ქონების განკარგვაში – ეს არასერიოზული გადაწყვეტილება და, არასამთავრობოების "მოშინაურების" მცდელობით, პოლიტიკური კონიუნქტურისთვის ხარკის მოხდაა. სამეთვალყურეო საბჭოები უნდა შეიქმნას მხოლოდ პროფესიონალ მენეჯერთა ჯგუფებისგან. არასამთავრობო სექტორი იმიტომ კი არ არსებობს, რომ მისმა წარმომადგენლებმა თბილი ადგილები იშოვონ, არამედ იმიტომ, რომ მათ თავიანთი საქმე აკეთონ და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისთვის პროექტები დაამუშაონ,"** – მიიჩნევს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე.

მოახერხებს თუ არა ამ ნაბიჯით სახელმწიფო მინისტრი არასამთავრობოების "მოშინაურებას", იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ფართო იქნება მის მიერ სახელმწიფო საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოებში შეყვანილ არასამთავრობოთა წარმომადგენლების ნუსხა. ქონების მართვის სამინისტროსთან ალიანსში შესულ არასამთავრობო ორგანიზაციათა სპექტრი კი უკვე დღეს ნამდვილად ფართო და, შეიძლება ითქვას, ერთობ ჭრელია: აქ წარმოდგენილნი არიან "საქართველოს არასამთავრობო სექტორის და მთავრობის ურთიერთობათა ეროვნული ცენტრი", "საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი", "საოჯახო განვითარების საბჭო", "ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდი", "ვაკის გონივრული განვითარება", "დედაქალაქის განვითარება", არასამთავრობო ორგანიზაცია "ავლაბარი", ასოციაცია "ქალი და ბიზნესი", "ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება", "ფერმერთა უფლებათა დაცვის ასოციაცია", "საქართველოს სრულიად ქალთა კონგრესი", არასამთავრობო მაღალი მოდის აკადემია "ბაზელი" და სამთავრობო მსუბუქი მრეწველობის კოლეჯი "ბაზელის სტილი", სათემო საზოგადოება "დიდი დიღომი", "მასწავლებელთა განვითარების ფონდი", "საქართველოს პროგრამისტთა ასოციაცია", "გაერთიანებული ენერგეტიკული საბჭო", "საქმიანი კონსორციუმი", აგროეკოლოგიური საზოგადოება "ეკობელი" და მრავალი სხვა... მიუხედავად იმისა, რომ ამ არასამთავრობო ორგანიზაციათაგან ბევრის სახელმა პირველად მხოლოდ სახელმწიფო ქონების "მართვაში ჩართვასთან" დაკავშირებით გაიჟღერა, ჯორბენაძე მიიჩნევს, რომ ისინი დღემდე პრივატიზების გარეშე დარჩენილ არამომგებიან საწარმოთა გაჯანსაღებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ.

ფრაქცია "დემოკრატების" წევრი მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ **"ამ ეტაპზე ეს არასამთავრობოთათვის გადაგდებული ლუკმაა. ეს პოლიტიკური ნაბიჯია, რომლითაც არასამთავრობო ორგანიზაციების "გასამთავრობოება," შემდგომ კი მათი დისკრედიტაცია მოხდება."**

სავარაუდოდ, პირველ ეტაპზე, არასამთავრობოები იმ ვაკანსიებზე დაინიშნებიან, რომელიც პავლიაშვილმა, შპს-ების ხელმძღვანელთა დახსნით, ამ ორიოდე კვირის წინ გაათავისუფლა. როგორც ამას წინათ ქონების მართვის მინისტრმა განაცხადა, ამ "წმენდის" მიზეზი ის იყო, რომ 2001 წელს სახელმწიფო წილების მქონე საწარმოებმა საფინანსო წელი 180 მილიონი ლარის ზარალით დაასრულეს. არასამთავრობოები სერიოზული რისკის წინაშე დგანან, რადგან, როგორც ჩანს, სახელმწიფო მინისტრი "ცივსისხლიან" ეკონომიკას "ემოციური" პოლიტიკით ტვირთავს. კონსულტანტის ფუნქციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციათა აღმასრულებელი ხელისუფლების ეკონომიკურ სექტორში გადაბარგება – საკუთარი კომპეტენციის გადაჭარბებას უფრო წააგავს და ამ არასამთავრობოთა ბინძურ თამაშებში ჩათრევის მცდელობად აღიქმება. თანაც, სახელმწიფო მინისტრის ეს გადაწყვეტილება მომავალში, შეიძლება, ამავე არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის სერიოზული დაპირისპირების საბაბად იქცეს – რაც არ უნდა იყოს, სახელმწიფო განკარგულებაში დარჩენილ საწარმოთა რაოდენობა მაინც შეზღუდულია...

# რუსულ ბომბს მხოლოდ რვა ცხვარი ემსხვერპლა

პირველი გვერდიდან

დაიჭრა. ჩეჩნებმა ცამეტი კაცი დაკარგეს, ორი ტყვე კი რუსებმა გროზნოში, ხანკალის აეროპორტის ტერიტორიზე გადაიყვანეს.

**"ჩვენ პანკისიდან გადმოვედით, ბოლო თვეების მანძილზე სამხედრო მომზადებას იქ გავდიოდით. ჯგუფს საველე მეთაური ჰასანი ხელმძღვანელობს. როცა საზღვარი გადმოვლახეთ, რაზმში 60 კაცი იყო, მათ შორის არის ერთი 25 წლის იაპონელი, რომელმაც პანკისში ისლამი მიიღო და ახლა ხავაჯს ვეძახით. რაზმის მიზანი ითუმ-ყალეს რაიონიდან შატოის რაიონში გადასვლაა. საზღვარი უპრობლემოდ გადმოვლახეთ, ქართველ მესაზღვრეებს არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, პირიქით, ისინიც და საქართველოს უშიშროების სამსახურიც სულ გვერდში გვიდგანან და გვეხმარებიან. სანაცვლოდ მესაზღვრეებს ფული გადავუხადეთ,"** – ეს აღსარება ვინმე ასან ახიმოვს ეკუთვნის, რომელიც რუსებს ხელში ჩაუვარდა და გუშინ ხანკალის აეროპორტში დამუშავების შემდეგ, რუსულ მედიას წარუდგინეს.

ახიმოვმა ასევე განაცხადა, რომ ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურები - რუსლან გილაევი და აბდულმაევი ნამდვილად პანკისში იმყოფებიან და მათი მებრძოლების რაოდენობა 2000-ს აღწევს. **"გილაევი მართლაც აპირებს ჩეჩნეთში დაბრუნებას, სავარაუდოდ, ეს აგვისტოს დასაწყისისთვის მოხდება,"** – გამოტყდა იგი. ცნობისათვის: 6 აგვისტოს ხუთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც 1997 წელს ჩეჩნებმა საკუთარი დედაქალაქი გროზნო ცნობილი იერიშის შემდეგ დაიბრუნეს, რასაც რამდენიმე ათასი რუსი ჯარისკაცი შეეწირა.

ჩეჩენი ტყვეების აღსარებას ოფიციალური მოსკოვის მკაცრი განცხადებების მთელი კასკადი მოჰყვა. **"საქართველოს ხელისუფლებამ იცოდა ჩეჩენ ბოევიკთა გეგმების შესახებ. ჩვენ გაოგნებულები და დათრგუნულები ვართ ქართველების არაგულწრფელი და არათანმიმდევრული დამოკიდებულებით. დავიღალეთ თბილისის ტყუილებით,"** – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ, სერგეი იასტრჟემბსკიმ.

უფრო მკაცრი იყო რუსეთის თავდაცვის მინისტრის, სერგეი ივანოვის კომენტარი, რომელიც მან კალინინგრადში გააკეთა. **"რუსეთმა აუცილებლად უნდა გადაჭრას პანკისის პრობლემა, სადაც ტერორისტების ბუდეა. ყველანი კარგად ვხედავთ, რომ საქართველოს ამის გაკეთება არ შეუძლია. პანკისში ჩვენი სპეცრაზმი უნდა შევიდეს,"** – თქვა ივანოვმა. რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორმა, კონსტანტინ ტოცკიმ კი რუს მესაზღვრეებს ორმაგი სიფრთხილისკენ მოუწოდა: **"საქართველოდან ბოევიკთა ახალი რაზმები წამოვლენ, ამის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია დღეს მივიღე".**

რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის, გენადი ტროშევის ბრძანებით, ითუმ-ყალეს რაიონში 56-ე პოლკის მედესანტეები და 487-ე რაზმის სპეცრაზმი გადაისროლეს **"ყოველ ხუთ კილომეტრში ბოევიკებს ჩვენი ავიაცია ბომბავს, მათ მიწაში ჩავმარხავ,"** – დაიქადნა ვოლგოგრადში გამოსვლისას ტროშევმა. გაზეთი "იზვესტია" წერს, რომ სპეცრაზმი, რომელიც კუდში მიჰყვება პატარა ჯგუფებად დაშლილ ბოევიკებს, ძლიერმოქმედ ნარკოტიკულ საშუალებებს პოულობს. **"ამ პრეპარატების მიღების შემდეგ ჩეჩნები საოცრად იბრძვიან,"** – აცხადებს ერთ-ერთი სპეცრაზმელი.

თბილისში კავკასიონის ქედის იქით მიმდინარე ომს კვლავაც მშვიდად უყურებენ. **"რუსები ეგეთ ტყვეებს, როცა მოუნდებათ, მაშინ გამოიყვანენ, გინდა - ორს, გინდა - ორასს და რასაც უნდათ, იმას ალაპარაკებენ. ყველაფერი ეს სისულელეა, პანკისიდან საზღვარზე ჩეჩენთა არავითარი მასობრივი გადასვლა არ მომხდარა,"** – გვითხრა უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა, ნიკოლოზ ლალიაშვილმა.

**"მე არ ვიცი, კონკრეტულად რა მასალები გააჩნიათ რუსებს ჩვენი ბრალის დასადასტურებლად, სანამ არ გავეცნობი ამ მასალებს, ვერავითარ ბრალდებას კომენტარს ვერ გავუკეთებ. თვითონ ვერ აკონტროლებენ საზღვარს და ამას ჩვენ გვაბრალებენ,"** – აღნიშნა ვალერი ჩხეიძემ. რომელიც გუშინ მთელი დღის მანძილზე უშედეგოდ ცდილობდა კონსტანტინ ტოცკისთან დაკავშირებას.

ერთადერთი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი ბათიაშვილმა მოითხოვა, რომ **"შატილთან, საზღვარზე აუცილებლად მოხდეს სამხედრო ძალების მობილიზება, რათა რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლებმა საქართველოს ტერიტორიაზე არ გადმოინაცვლოს".**

# ტერორიზმთან ბრძოლა ანაპოლისში დაიწყო და პანკისში გაგრძელდა

პირველი გვერდიდან

ქვეყნებში სტაბილურობის, უშიშროებისა და ეკონომიკური განვითარების მხარდამჭერი ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებაზე მოილაპარაკეს.

**"აშშ-რუსეთის ორმხრივი ურთიერთობების ხარისხობრივად ახალი დონე იმის უფლებას იძლევა, გლობალური და რეგიონული უშიშროების უზრუნველყოფაში ერთობლივი ძალისხმევის ნამდვილ გარღვევაზე ვილაპარაკოთ,"**- დაასკვნეს მხარეებმა. რუშაილომ რაისს საქართველოსა და ჩინეთში საკუთარი მოგზაურობის შთაბეჭდილებები გააცნო. რუსეთის წყაროებზე დაყრდნობით, რუშაილო-რაისის საუბარში ხაზი გაესვა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში აშშ-რუსეთის კონსოლიდაციას არა მხოლოდ პანკისის ხეობაში, არამედ ყველგან, სადაც "ალ-ყაიდას" ტერორისტული ორგანიზაციებია. რუსეთ-აშშ-ჩინეთის თანამშრომლობაზე საუბრისას რუშაილომ და რაისმა აღნიშნეს, რომ "გლობალური და რეგიონული უშიშროების მიზნით მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაცია დადებითად იმოქმედებს ახლო აღმოსავლეთისა და ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტზეც."

ამ ფაქტთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და ბეჭდვის დეპარტამენტმა, უქმეების მიუხედავად, იმ დღესვე გაავრცელა ოპერატიული ინფორმაცია პრესისათვის, სადაც ვკითხულობთ: **"ამერიკულმა მხარემ დაადასტურა, რომ აშშ არ აპირებს ცენტრალურ აზიაში სამხედრო ბაზების მუდმივად დატოვებას, მაგრამ რეგიონის სახელმწიფოებმა უშიშროების სფეროში ხანგრძლივად უნდა ითანამშრომლონ. დელეგაციებმა მოილაპარაკეს, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, ადამიანების უფლებების დაცვა ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან ბრძოლაში აუცილებელი პირობა უნდა იყოს."** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე იუწყება, რომ **"აშშ დელეგაციამ ამ სხდომაზე ანგარიში ჩააბარა რუსეთს საქართველოში "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის მიმდინარეობაზე და აღნიშნა, რომ ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველოს დღეს პრაქტიკული დახმარება სჭირდება".**

ასე დაიწყო რუსეთში მეზობელი სახელმწიფოს ფარგლებში ანტიტერორისტული ოპერაციის პროპაგანდისტული მხარდაჭერა, რაც რუსეთის მას-მედიაში ფართო ასახვას პოულობს, - ამჯერად ზედმეტი ანალიტიკის გარეშე, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვართან ორი დღის სისხლისმღვრელი ბრძოლების მასალების ობიექტური ქრონოლოგიით.

მოკლედ შეგახსენებთ - გასულ შაბათს, მოსკოვის დროით 11 სთ და 49 წთ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებოდნენ, რომ რუსეთის ფედერალურ-სასაზღვრო სამსახურის ითუმ-ყალეს სასაზღვრო რაზმის ქვედანაყოფები ქერიგის ხეობაში საქართველოდან, პანკისის ხეობიდან გადმოსულ ტერორისტთა 60 კაციან რაზმს გადაეყარა, რომლის დროსაც ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. 9 რუსი მესაზღვრე დაიღუპა, 3 დაიჭრა. დაღუპულთა შორის არიან სამანევრო ჯგუფის მეთაური პოდპოლკოვნიკი ედუარდ ლადიგინი და სასაზღვრო რაზმის უფროსი მაიორი სერგეი პოპოვი. პასუხად რუსეთის ფედერალურმა ავიაციამ ხეობებისა და ბილიკების მასირებული დაბომბვა დაიწყო. რუსეთის ფედერალური –სასაზღვრო სამსახურის პრესამსახურის ცნობით, ბოევიკებს საველე მეთაური რუსლან გელაევი ხელმძღვანელობს და მათი მიზანია ჩეჩნეთში შეღწევა. რუსი მესაზღვრეები ამტკიცებენ, რომ ტერორისტებმა დიდი ზარალი ნახეს. გაანადგურეს მათი ორი ბაზა და საზენიტე კომპლექსები. რუსი მესაზღვრეების ცნობით, გელაეველებმა ალყის რამდენჯერმე გარღვევა ამაოდ სცადეს.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო იტყობინება, რომ საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე სპეციალური დანიშნულების რაზმები გადაისროლა-ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული განყოფილების მე-14 სასაზღვრო რაზმი და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების 56-ე პოლკი .

ჩეჩნეთში ბოევიკთა მოსალოდნელ გარღვევასა და საზღვრის გაძლიერების აუცილებლობაზე მოსკოვში ორი თვის წინათ დაიწყო საუბარი. რუსეთის სპეცსამსახურების ასევე გაძლიერებული რაზმი "გრანიცა" საერთაშორისო ტერორისტებთან ბრძოლის პროგრამითაა მომზადებული. გასულ კვირა დილით "გრანიცა" ქერიგის ხეობაში გადაისროლეს. ტოცკის უწყება კვლავ დამატებითი რაზმების გადასასროლად ემზადება, რადგანაც, არაოფიციალური მონაცემებით, რუსეთის სასაზღვრო რაზმებში დიდი მსხვერპლია, თუმცა პრესა 9 დაღუპულს ასახელებს.

რუსი სამხედროები ჩეჩენი ტერორისტების გააქტიურებას ფედერალთა მიერ გროზნოს აღების მეხუთე წლისთავს უკავშირებენ და საზღვრის გარღვევას გილაევის რევანშს არქმევენ. მოვლენების ასეთი განვითარების წინაპირობად რუსეთის სამხედრო წრეები ასლან მასხადოვისა და რუსლან გილაევის რამდენიმე დღის წინ შემდგარ პრესკონფერენციას ასახელებენ. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვართან გამავალ ტერორისტთა მარშრუტებს და მათ საწვრთნელ ბაზებს რუსეთის გამანადგურებლები "მი-24" ბომბავენ. სამინისტრო არ მალავს, რომ ეს დაბომბვები უახლოეს დღეებშიც გაგრძელდება და მას კვლავ მასირებული ხასიათი ექნება, უკანასკნელი ტერორისტის განადგურებამდე.

მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის პოდპოლკოვნიკმა სერგეი ლივანცოვმა მონაჩმახი უწოდა ბოევიკების მტკიცებას, რომ ისინი პანკისიდან არ გადმოსულან. გილაევი მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს აფარებდა თავს და შტურმისთვის ემზადებოდაო,- ამტკიცებს ლივანცოვი. რუსეთის სამხედროები ამ ფაქტამდე ორი თვით ადრე მიანიშნებდნენ ჩეჩნეთში საქართველოდან ბოევიკთა გადასვლის 178 პოტენციურ მარშრუტზე. რუსულ პრესაში სამხედროების ვარაუდს შესაბამისი პროპაგანდისტული მხარდაჭერაც ჰქონდა. პრესა აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო საზღვრის რთული რელიეფი ტექნიკურ სირთულეებს ქმნიდა, რითიც მესაზღვრეებმა საზღვრის მონაკვეთების დროზე გამაგრება ვერ შესძლეს.

6 აგვისტოს გროზნოს დაცემიდან ხუთი წელი სრულდება, ბოევიკები მასშტაბური ომისათვის ემზადებიან,- ამტკიცებენ რუსული წყაროები. ექნება თუ არა ადგილი რუსეთის მიმართულებით საერთაშორისო ტერორისტთა გარღვევას, დამოკიდებულია რუსი სამხედროების მოქმედებების ეფექტურობაზე, რაშიაც მოსკოვში დღეს ყველას ეჭვი ეპარება.

ჩეჩნეთში უშედეგოდ წარმოებული ანტიტერორისტული ოპერაციის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, დამატებითი ოპტიმიზმი მოსკოვის სამხედრო წრეებს აღარ დარჩათ-სამწლიანმა ჩეჩნურმა კამპანიამ ოფიციალური მონაცემებით 5 ათასამდე ჯარისკაცის სიცოცხლე წაიღო, 12 285 სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. ბოევიკთა შორის, იგივე წყაროების ცნობით, 13 ათასამდე დაღუპულია.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
საფოსტო ინდექსი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი

## „მეტრომედიამ" „მაგთი GSM"-ის გაყიდვა გადაიფიქრა

სოფო კვინტრაძე

ცნობილი ამერიკული სატელეკომუნიკაციო კომპანია "მეტრომედია ინტერნეშენელ გრუპი" ფინანსურ კრიზისს განიცდის. კომპანიის ზარალი სამ მილიარდ დოლარს აღწევს. გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით "მეტრომედიის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კომპანიის აქტივების გაყიდვა.

"მეტრომედია" სატელეკომუნიკციო კომპანიებს ფლობს აშშ-ში, აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. საქართველოში "მეტრომედიის" წილები წარმოდგენილია შემდეგ კომპანიებში: "საქართველოს ტელეკომი", "აიეტი TV", რადიოები "ფორტუნა" და "ფორტუნა პლუსი", "მაგთი GSM".

"24 საათი" უკვე წერდა ვრცლად იმის თაობაზე, რომ "მეტრომედია" ქართულ და რუსულ კომპანიებში თავისი კუთვნილი წილების გაყიდვას აპირებს. ქართული კომპანიებიდან გასაყიდთა სიაში "მაგთი GSM" მოხვდა, სადაც "მეტრომედია" აქციათა 35 პროცენტს ფლობს. თუმცა, ბოლო ინფორმაციით, ჯერჯერობით, "მაგთიში" მეტრომედიის წილების გაყიდვის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. საქართველოში "მეტრომედია ინტერნეშენელ გრუპის" წარმომადგენელმა ზურაბ ჩიგოგიძემ, რომელსაც "24 საათი" მოსკოვში დაუკავშირდა, ამის შესახებ განაცხადა:

**"ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "მეტრომედია" ყიდის თავის აქციებს კომპანია "მაგთი GSM-ში", არის მცდარი. არც "მაგთიში" და არც სხვა ქართულ კომპანიებში "მეტრომედია" წილებს არ ყიდის. ამჟამად კომპანიის ხელმძღვანელობა მუშაობს რუსეთის კომპანიებში არსებული აქტივების გაყიდვაზე,"** – აცხადებს ზურაბ ჩიგოგიძე.

## კომპანია Bertelsmann-ის პრეზიდენტი გადადგა

გუშინ მედია-კორპორაცია Bertelsmann-ის ხელმძღვანელი თომას მიდელჰოფი იძულებული გახდა, პოსტი დაეტოვებინა. კომპანიის განვითარების მის მიერ შემუშავებულ სტრატეგიას Bertelsmann-ის აქციონერებმა მხარი არ დაუჭირეს. კორპორაციას, რომლის შემადგენლობაშიც შედის მუსიკალური კონცერნი BMG და საგამომცემლო სახლი Random House, ამიერიდან 59 წლის გიუნტერ ტილენი ჩაუდგება სათავეში. მანამდე იგი კომპანიის საინფორმაციო სამსახურს ხელმძღვანელობდა.

მიდელჰოფის გადადგომამ აალაპარაკა ხალხი მის შესაძლო გადასვლაზე "დოიჩე ტელეკომში". თუმცა, გერმანულ სატელეკომუნიკაციო კომპანიასთან დაახლოებული წყაროები ამ ცნობას, ჯერჯერობით, არ ადასტურებენ.

თომას მიდელჰოფი მსოფლიოში სიდიდით მესამე მედია-იმპერიას (ამერიკული AOL Time Warner-ისა და ფრანგული Vivendi Universal-ის შემდეგ) 1998 წელს ჩაუდგა სათავეში. 2002 წლის ივნისში Bertelsmann-ის მუსიკალურმა ქვედანაყოფმა, კომპანია BMG-მ შეიძინა სავაჭრო მარკა Zomba, რომელთანაც თანამშრომლობენ ცნობილი პოპ-მომღერალი ბრიტნი სპირსი და ჯგუფი Backstreet Boys.

მიმდინარე წლის დასაწყისში კი Bertelsmann-მა ინტერნეტ-სამსახურის Napster-ის აქტივები შეიძინა. იგი ამით საკუთარ მომხმარებლებს მუსიკალური ფაილების ერთმანეთთან გაცვლის საშუალებას აძლევს.

## Qwest-ის მილიარდიანი აფიორა

ამერიკაში კორპორაციული სკანდალები გრძელდება. საკუთარი საბუღალტრო დოკუმენტაციის ერთი მილიარდი დოლარით გაყალბების შესახებ სატელეკომუნიკაციო კორპორაცია Qwest Communications-ის ხელმძღვანელებმაც განაცხადეს. მიმდინარე წლის ივნისში კომპანიის მიმართ ფედერალური გამოძიება დაიწყო. საბუღალტრო დარღვევები 1999-2001 წლებს მოიცავს. 2002 წლის 31 მარტს კორპორაციის დავალიანებამ 26,5 მილიარდი დოლარი შეადგინა. ამის მიუხედავად, კორპორაციის ხელმძღვანელობა Qwest-ს გადახდისუნარიან კომპანიად მიიჩნევს.

## გერმანიაში ყალბი ევროები აღმოაჩინეს

გერმანიაში ევროს მიმოქცევაში გაშვებიდან შვიდი თვის შემდეგ ადგილობრივმა ექსპერტებმა აღმოაჩინეს ევროპული ვალუტის ორიგინალს მიმსგავსებული ბანკნოტები. ეს ინფორმაცია გამოაქვეყნა გერმანულმა გაზეთმა "ბილდმა" გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცენტრალური ბანკის ყალბი ფულის განყოფილების ხელმძღვანელის, როლანდ მიულერის, განცხადებაზე დაყრდნობით. გერმანელმა ექსპერტმა მაგალითისთვის მოიყვანა საფრანგეთში დამზადებული 50-ევროიანი ბანკნოტები. მისი თქმით, ყალბი ფულის დამამზადებლებს საკუთარი წარმოების "ევროებისთვის" არ დავიწყებიათ კუპიურებზე დამცავი ნიშნის, ვერცხლის ზოლის გაკეთება. თუმცა, როგორც როლანდ მიულერი აცხადებს, ყალბი ფულის დამამზადებლებს მეტი ყურადღების მიქცევა მართებთ ისეთ "რიგით" დამცავზე, როგორიცაა წყლის ნიშანი.

## კრიზისი საკომუნიკაციო ბიზნესში

მსოფლიოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის მთავარი მოთამაშეები სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. გასული კვირის ბოლოს "შავი დღე" გაუთენდა შვედურ კომპანია Ericsson-ს. მოგვიანებით მისი ბედი გაიზიარა ამერიკულმა Motorola-მაც. ორივე კომპანიის აქციების ფასი მნიშვნელოვნად დაეცა. Ericsson-ის აქციები 25 პროცენტით გაუფასურდა, Motorola-სი კი – 14 პროცენტით. შედეგების მიხედვით ორივე კომპანია ცხრა წლის წინანდელ მაჩვენებლებს დაუბრუნდა.

პრობლემები მხოლოდ ამ ორ კომპანიას არა აქვს. ცოტა ხნის წინათ ესპანურმა სატელეკომუნიკაციო კომპანიამ Telefonica-მ და ფინურმა Sonera-მ ოფიციალურად განაცხადეს ერთობლივი საწარმოს, Group 3G-ს, საქმიანობის შეწყვეტის შესახებ, რომელიც უნდა მომსახურებოდა მესამე თაობის კავშირგაბმულობის სისტემებს გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში.

## Daimler-Chrysler-ის ახალი მანქანა

გერმანულ-ამერიკული ავტოკონცერნი Daimler-Chrysler-ი 900 მილიონი დოლარის ჩადებას აპირებს Mercedes-Benz-ის ახალი თაობის A-კლასის ავტომობილების წარმოებაში.

კომპანიის განცხადებაში ნათქვამია, რომ განხორციელებული ინვესტიციით მოხდება ქალაქ რაშტატში მდებარე ქარხნის გაფართოება და რეკონსტრუქცია. დღეისათვის A-კლასის ავტომობილები ყველაზე მცირე ზომისაა იმ მოდელთა შორის, რომელსაც Mercedes-Benz-ი უშვებს.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 24–30 ივლისის მდგომარეობით




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6386 | 0.6294 | 0.0054 |
| US$ | 1.5659 | | 0.9855 | 0.0084 |
| €uro | 1.5889 | 1.0148 | | 0.0085 |
| ¥en | 186.78 | 119.31 | 117.56 | |

# რუსთავი თბილისისგან დამოუკიდებლობას ითხოვს

### ექსპერიმენტატორი მერი და შორს მიმავალი პოლიტიკური გეგმები


მერაბ ტყეშელაშვილი


გიორგი ისაკაძე


რომან გოცირიძე


მიხეილ მაჭავარიანი

პირველი გვერდიდან

**"საუბარია არა მარტო საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციაზე, არამედ იმაზეც, რომ რუსთავს, "თბილისის თანამგზავრი ქალაქის" ნაცვლად, დამოუკიდებელი ქალაქის სტატუსი მივანიჭოთ. ამის განხორციელება, ჩვენი აზრით, შესაძლებელია სატრანსპორტო სისტემის, დასაქმების, სოფლის მეურნეობისა და სხვა სფეროებში რეფორმების გატარებით: შეიქმნება თავისუფალი სავაჭრო ზონა, რომელიც თბილისს განტვირთავს ბაზრობებისგან. ასევე, საჭიროა მიწის გადასახადისგან გლეხის გათავისუფლება. ყოველივე ამის წინაპირობად საგადასახადო სისტემის შეღავათები უნდა იქცეს. ვაცხადებთ ტენდერს, რათა ჩვენ მიერ მომზადებული რუსთავის რეფორმების საბაზისო დოკუმენტი საერთო ფისკალურ პოლიტიკასთან მიმართებაში დარეგულირდეს. ვამუშავებთ საწარმოთა ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხსაც. ჩვენ ვიცით, რა არის მეტალურგიული კომბინატის განვითარებისთვის საჭირო. რაღაც პერიოდით გარკვეული გადასახადებისგან უნდა გათავისუფლდნენ საწარმოები. ეს ინვესტორებსაც წაახალისებს კაპიტალდაბანდებების განსახორციელებლად. დღეს კი ინვესტორისთვის საქართველოში სწორედ გადასახადების გამო არ არის მიმზიდველი გარემო,"** – აცხადებს მერაბ ტყეშელაშვილი.

რუსთავის მერის ინფორმაციით, ქალაქში საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციის პროექტით მსოფლიო ბანკი დაინტერესდა.

**"ამ ექსპერიმენტზე დღემდე არაფერი გვსმენია,"** – განუცხადა "24 საათის" კორესპონდენტს მსოფლიო ბანკის ეკონომისტმა სერგო ვაშაყმაძემ.

თუმცა, მსოფლიო ბანკი გამონაკლისი ნამდვილად არ არის, ტყეშელაშვილის რეფორმების შესახებ ინფორმაციას არც პარლამენტამდე მიუღწევია.

**"ჯერჯერობით, არ ვიცნობ მასალას, გავეცნობი და გეტყვით. თუმცა, მეჩვენება, რომ საგადასახადო პოლიტიკის რეგიონული ნიშნით ლიბერალიზაცია ცოტა უცნაურია,"** – ამბობს ფრაქცია "დემოკრატების" წევრი მიხეილ მაჭავარიანი.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე კი მიიჩნევს, რომ ეს ყოველივე არასერიოზულია და კუთხურ-პროვინციული ელფერი დაჰკრავს. **"თუ საჭიროა ლიბერალიზაცია, რაღა რეგიონალურად? წარმოუდგენელია, ლიბერალიზაციამ შედეგი მოიტანოს დღევანდელი კორუფციისა და არასწორი ადმინისტრირების პირობებში. საბოლოოდ რუსთავი რაღაც ოფშორული კუნძულის მსგავს წარმონაქმნს დაემსგავსება,"** – აცხადებს ის.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, გიორგი ისაკაძის პოზიციაც უარყოფითი აღმოჩნდა: **"მე საგადასახადო პოლიტიკაში ლიბერალური მომენტების მომხრე ვარ, მაგრამ, როგორც ეკონომისტი, ამ შემთხვევაში ზოგადად ლიბერალიზაციას მხარს ვერ დავუჭერ. ქვეყანაში არსებულ გადასახადებთან დაკავშირებით ნებისმიერი ქმედება, მათ შორის, რეგიონალური პოლიტიკა, შეთანხმებული უნდა იყოს ფინანსთა სამინისტროსთან. ცალკეული შეღავათების დაწესება კონკრეტულ საწარმოებთან მიმართებაში, უპირველეს ყოვლისა, დასაბუთებული უნდა იყოს. უმეტეს შემთხვევაში, სახელმწიფო ამას მხარს ვერ დაუჭერს იმ გარკვეული ვალდებულებებისა და პრინციპების გამო, რაზეც ჩვენი ფინანსური სისტემაა აგებული. თუ გარკვეული საწარმო შეღავათები წესდება, საგადასახადო კოდექსში ცვლილებებთან დაკავშირებით პარლამენტის გადაწყვეტილებაც აუცილებელია - ეს თავისთავად შეღავათს ნიშნავს - ნებისმიერი შეღავათი კი სერიოზულად უნდა იყოს დასაბუთებული. მაგრამ, როცა შეღავათზე მივდივართ, იგი მხოლოდ სწრაფ ეკონომიკურ ეფექტს უნდა მოემსახუროს, რაც მოსახლეობამ ასევე სწრაფად უნდა იგრძნოს. თუ არასწორი ადმინისტრირების გამო, ბიუჯეტში უკუგება იმავე დონეზე დარჩება, ამას მხარი არ უნდა დავუჭიროთ,"** – დააკონკრეტა ისაკაძემ.

ტყეშელაშვილი იმ საგადასახადო კოდექსის დახვეწას აპირებს, რომლის ყბადაღებულ სიმკაცრესაც დღეს მეწარმეები ეკონომიკის განვითარების ძირითად მუხრუჭად მიიჩნევენ. სახელმწიფო მინისტრის მოადგილე კი ფიქრობს, რომ საგადასახადო სისტემას ბევრი ისეთი რეზერვი აქვს, რომელთა ამოქმედებითაც, სწორი ადმინისტრირების პირობებში, არც მეწარმეს შეეშლება ხელი და არც სახელმწიფო ბიუჯეტში შეფერხდება თანხების შედინება.

**"მე არ მიმაჩნია, რომ ეს კოდექსი მკაცრია – ჩვენს საგადასახადო სისტემას ბევრი რეზერვი აქვს, მაგრამ დღევანდელ პირობებში, როცა საქმე გვაქვს სუსტ ადმინისტრირებასთან, სუსტ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და კორუფციულ გარემოსთან, ამ შეღავათებს ეკონომიკური ეფექტი არ ექნება. როცა ადმინისტრირება მაღალ დონეზე ავა და მოიმატებს ბიუჯეტში გადასახადების შედინება, მაშინ ლიბერალიზაცია მხოლოდ გააუმჯობესებს ვითარებას და, შესაბამისად, ამ თემაზე საუბარიც შესაძლებელი გახდება,"** – აცხადებს ისაკაძე.

ტყეშელაშვილი რუსთავის საგადასახადო რეფორმების პროექტის პარლამენტისთვის შეთავაზებას უახლოეს მომავალში აპირებს – როგორც კი ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია პროექტს არსებულ ფისკალურ პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოიყვანს. თუმცა, თუ თავად ფისკალური პოლიტიკა არ შეიცვალა "სარუსთავოდ", ძნელი სავარაუდოა, ეს ვინმემ მოახერხოს.

რაც შეეხება უშუალოდ რუსთავის ექსპერიმენტს, ექსპერტთა ერთი ნაწილი ანალოგს მეოცე საუკუნის 70-იან წლებში აბაშისა და ფოთის მოვლენებთან პოულობს, რომელიც ედუარდ შევარდნაძის მმართველობის საბჭოთა პერიოდს უკავშირდება. მერაბ ტყეშელაშვილისა და ავთანდილ ჯორბენაძის ექსპერიმენტი ოთხწლიანია და მის შედეგებს რუსთაველები პოსტშევარდნაძისეულ ეპოქაში ნახავენ. ექსპერიმენტის იდეოლოგის, საბჭოთა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლის, ნოდარ ჭითანავას განცხადებით, **"ეს იქნება ამჟამინდელი ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატივა. სწორედ ასეთია ამ იდეის პოლიტიკური დატვირთვა. მიმაჩნია, რომ იმ ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ახორციელებს, ეკონომიკური კრიზისის გახანგრძლივების მომენტებია ჩადებული."**

პროექტის წინასწარ დაგეგმილი ხანგრძლივობა - ოთხი წელი - მეტყველებს, რომ ჯორბენაძისა და ტყეშელაშვილის პოლიტიკური გუნდის ეკონომიკური პლატფორმა, სამომავლოდ, არა რუსთავის ექსპერიმენტის საბოლოო შედეგებს, არამედ თავად ექსპერიმენტის მიმდინარეობას დაეფუძნება. საქმე ისაა, რომ უახლოესი საპარლამენტო არჩევნები 2003 წელსაა დაგეგმილი, საპრეზიდენტო კი – 2005 წელს. შესაბამისად, რუსთავის ექსპერიმენტი რუსთავსა და თბილისს შორის პოლიტიკურ მანძილსაც გაარკვევს.

# ვინ არის დამნაშავე - ბუში თუ კლინტონი?

თორნიკე შარაშენიძე

ამერიკულ ბიზნეს-სამყაროში განვითარებულმა სკანდალებმა ქვეყნის ყოფილ და ახლანდელ პრეზიდენტებს შორის შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ბილ კლინტონმა ერთ-ერთი სატელევიზიო არხისათვის მიცემულ ინტერვიუში კორპორაციული თაღლითობების ხელშეწყობაში დაადანაშაულა თავისი მემკვიდრე. ყოფილი პრეზიდენტის ეს გამოსვლა ბუშის მიერ გაკეთებულ საკმაოდ არაორაზროვან განცხადებას მოჰყვა იმის თაობაზე, რომ საქმიან სამყაროში კანონდარღვევები ჯერ კიდევ 90-იან წლებიდან ხდებოდა და ამაზე პასუხისმგებლობა მისმა წინამორბედებმაც უნდა იკისრონ.

ჟურნალისტთა შეკითხვაზე, ადანაშაულებს თუ არა იგი კორპორაციულ სკანდალებში კლინტონს, მოქმედმა პრეზიდენტმა უარყოფითად უპასუხა. მაგრამ კლინტონისათვის ამას, ალბათ, აღარ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. მან "ჩანელ 7"-სთვის მიცემულ ინტერვიუში, მოქმედი ადმინისტრაციის წინააღმდეგ საკმაოდ სერიოზული ბრალდებები წამოაყენა.

**"კორპორაციულ თაღლითობებს ბუშის გაპრეზიდენტებამდეც ჰქონდა ადგილი და გაპრეზიდენტების შემდეგაც, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ მე ნამდვილად ვცდილობდი, რაღაც მეღონა და ვიღონებდი კიდეც, რომ არა წინააღმდეგობა რესპუბლიკური პარტიის მხრიდან,"** - განაცხადა კლინტონმა.

კლინტონის თქმით, მისი გუნდი კარგა ხნის წინათ დააეჭვა "ენრონის" მოღვაწეობამ, მას ამ საქმის გამოძიებაც სურდა, მაგრამ ამას სწორედ ის პიროვნება აღუდგა წინ, რომელიც ბუშმა ახლა ფასიანი ქაღალდების ფედერალური კომისიის (ფქფკ) თავმჯდომარედ დანიშნა; იმ ორგანოსი, რომელსაც კორპორაციული თაღლითობების წინააღმდეგ ბრძოლა ევალება.

თეთრი სახლი კლინტონის ბრალდებებს ერთობ დიპლომატიურად გამოეხმაურა. "ჩვენს ქვეყანას ოდითგანვე მოსდგამს ტრადიცია, რომ ყოფილი პრეზიდენტები მოქმედებენ არა პარტიული, არამედ ეროვნული ინტერესების შესაბამისად. ამ ტრადიციას სიკეთის მეტი არაფერი მოუტანია. პრეზიდენტი ბუში მომავლისკენ იყურება და არა წარსულისკენ," – ასეთი იყო პრეზიდენტის წარმომადგენლის განცხადება. უკომენტაროდ დარჩა ფქფკ-ის თავმჯდომარის, ჰარვი პიტის, წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდებებიც. ამ პიროვნებაზე საქმიანმა სამყარომ მხოლოდ ის თუ უწყის, რომ ბუშმა იგი "საქმეების მოსაგვარებლად" დანიშნა.

კლინტონმა კი ბუშს სხვა ცოდვებიც გაუხსენა. კერძოდ ის, რომ მოქმედმა პრეზიდენტმა 2000 წელს ისრაელსა და პალესტინას შორის ურთიერთობების გამწვავება კლინტონის გადამეტებულ მცდელობებს გადააბრალა. **"მე მამამისისთვის არ გადამიბრალებია სომალის პრობლემები,"** – აღშფოთებას ვერ მალავდა ყოფილი პრეზიდენტი.

ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტების ასეთი პაექრობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ამერიკელთათვის სამწუხარო რეალობას – შექმნილ სამარცხვინო სიტუაციაში თითქმის ყველაა გასვრილი. შეიძლება, ბუშს ვერავინ დაუმტკიცოს, რომ მას რაღაც კავშირი აქვს კორპორაცულ სკანდალებთან; შეიძლება, ვერც კლინტონს დაუმტკიცონ, რომ ამერიკის საქმიან სამყაროში თაღლითობები მისი ხელშეწყობით დაიწყო, მაგრამ საღად მოაზროვნე მოქალაქე ბოლომდე, ალბათ, არასოდეს ირწმუნებს, რომ მისი პრეზიდენტები ამ საქმეში უდანაშაულონი არიან.

ცხადია, ბუში ახლა ყველაფერს აკეთებს (გარეგნულად მაინც) კორპორაციული თაღლითობების აღმოსაფხვრელად. იქმნება გამკაცრებული კანონები, კომისიები (ყველაზე მნიშვნელოვანი კომისიის თავკაცს კლინტონი "ენრონის" მფარველობაში ადანაშაულებს). თუმცა, არავის დაავიწყდება ის ფაქტი, რომ "ენრონი" თავის დროზე ბუშის საარჩევნო კამპანიას აფინანსებდა. საღად მოაზროვნე ამერიკელი იმასაც უნდა აცნობიერებდეს, რომ კორპორაციული თაღლითობები ერთ-ორ წელიწადში ვერ გაიდგამდა ფესვს და ეს ჭირი ამერიკას კარგა ხნის წინათ შეეყარა; სავარაუდოდ, სწორედ ლიბერალი კლინტონის მმართველობისას.

პოლიტიკა და ბიზნესი რომ განუყოფელნი არიან, ეს ყველას კარგად მოეხსენება. ამერიკაში ეს ყველაზე ცხადად ორი-სამი წლის წინათ გააცნობიერეს, როცა "მაიკროსოფტის" წინააღმდეგ მიმდინარე პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მაშინ პროცესზე კომიკური ვითარება შეიქმნა. "მაიკროსოფტი" ცდილობდა აპელაციების გზით მაქსიმალურად გადაევადებინა საბოლოო განაჩენის გამოტანა და როგორმე არჩევნებამდე მიეღწია, რადგან – და ეს "მაიკროსოფტმა" კი არა, მთელმა სამყარომ იცოდა - არჩევნებზე რესპუბლიკელების გამარჯვების შემთხვევაში მართლმსაჯულება დაინდობდა კომპანიას და მას მსუბუქ სანქციებს აკმარებდა. დემოკრატების გამარჯვების შემთხვევაში კი დაშლა არ ასცდებოდა. რესპუბლიკელებმა გაიმარჯვეს და "მაიკროსოფტიც" გადარჩა.

დემოკრატებისა და რესპუბლიკელების ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის როგორც პოლიტიკაში, ასევე - ბიზნესში. მაგრამ ახლა, როცა თაღლითობაში მხილებულია ლამის ყოველი მეორე კომპანია, დემოკრატებს არ უნდა ახარებდეთ ის ფაქტი, რომ გაკოტრდა მენავთობე ბუშების ოჯახთან დაკავშირებული "ენრონი." არ უნდა ახარებდეთ, რადგან კანონდარღვევები არა მხოლოდ მენავთობეებთანაა აღმოჩენილი და რომელიმე მორიგი სკანდალი აუცილებლად ჩაითრევს რომელიმე დიდ დემოკრატს. არ შეიძლება, რომ დამნაშავეები მხოლოდ ერთ მხარეს იყვნენ.

# ერაყში აშშ-ს შეჭრა კვლავ დღის წესრიგში დგას

საერთაშორისო ანტიტერორისტული კამპანიის ფარგლებში, აშშ-ს და მისი მოკავშირეების მიერ ერაყზე დარტყმების განხორციელება სულ უფრო და უფრო რეალური ხდება. New York Times-ის ბოლო ინფორმაციით, თეთრ სახლში ინტენსიურად განიხილავენ ბაღდადის აღების და ერაყის ძირითადი საკომანდო ცენტრებისა და იარაღის საწყობების განადგურების გეგმას, რასაც შემდგომში პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა უნდა მოჰყვეს.

პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის მთავარ და საბოლოო მიზანს ჰუსეინის ფიზიკური ლიკვიდაცია ან იზოლაცია წარმოადგენს, რაც ავტომატურად ჩაშლის ერაყის მცდელობას, აამოქმედოს მასობრივი განადგურების იარაღი.

პენტაგონის მაღალჩინოსანთა განცხადებით, აშშ დასახული მიზნის მისაღწევად ერთობლივად გამოიყენებს როგორც შორი მანძილიდან სარაკეტო დარტყმებს, ისე სწრაფად მანევრირებად სახმელეთო ძალებს.

ამჟამად პენტაგონში განიხილება ბაღდადზე დარტყმების განხორციელებასთან დაკავშირებული უარყოფითი და დადებითი ფაქტორები. როგორც იუწყებიან, ჯერჯერობით პრეზიდენტ ბუშისთვის და მისი გუნდისათვის ერაყზე შეტევის ოფიციალური გეგმა არ წარუდგენიათ.

ვიდრე ერაყზე შეტევის გეგმა დაზუსტდება, სპარსეთის ყურის ქვეყნები (მათ შორის, აშშ-ს მოკავშირეებიც კი) ცდილობენ, დაარწმუნონ ვაშინგტონი, უარი თქვას ერაყში ფართომასშტაბიანი შეტევის დაწყებაზე.

მადრიდში ოფიციალური ვიზიტის დროს, ეგვიპტის პრეზიდენტმა მუბარაქმა შეშფოთება გამოთქვა ვაშინგტონის განზრახვასთან დაკავშირებით და განაცხადა: თეთრმა სახლმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ასეთი ფართო მასშტაბის შეტევა უამრავი უდანაშაულო ადამიანის დაღუპვას გამოიწვევს.

ვაშინგტონის ერაყში შეჭრის ინიციატივას გამოეხმაურა იორდანიის მეფე აბდულაც, რომელმაც განაცხადა, რომ არ ეთანხმება თეთრი სახლის ამ ჩანაფიქრს და ბუშის ადმინისტრაციას მოუწოდა, გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი და ერაყთან სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყოს.

მიუხედავად იმისა, რომ იორდანია ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს ერთ-ერთ საიმედო მოკავშირეს წარმოადგენს, ძნელი დასაჯერებელია, პრეზიდენტმა ბუშმა მიიღოს მეფე აბდულას რჩევა და ჰუსეინთან მოლაპარაკებები წამოიწყოს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბაღდადზე ფართომასშტაბიანი დარტყმების განხორციელებამდე, აშშ მართლაც აპირებს მის ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენებას. კერძოდ, პრეზიდენტმა ბუშმა ვაშინგტონში მიიწვია ჰუსენის რეჟიმისადმი ოპოზიციურად განწყობილი ოთხი დაჯგუფების წარმომადგენლები, რათა ერთად განიხილონ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის გეგმები.

ეს ოპოზიციური დაჯგუფებებია: ერაყის ეროვნული კონგრესი, ქურთთა მოძრაობა, ირანში დაფუძნებული შიიტური ოპოზიცია და ერაყის ეროვნული თანხმობის მოძრაობა. სხვათა შორის, ერაყის ეროვნული კონგრესი დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა, მოეპოვებინა აშშ-ს დახმარება ჰუსეინის მთავრობასთან ბრძოლაში, თუმცა, ვაშინგტონი ამ მცდელობას ყოველთვის უპასუხოდ ტოვებდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ, აშშ-ს ფავორიტობის მოსაპოვებლად, ამ დაჯგუფებებს შორის საკმაოდ მწვავე და დაძაბული კონკურენცია გაიმართება. როგორც ცნობილი გახდა, ვაშინგტონს ერაყის ზემოაღნიშნული ოპოზიციური დაჯგუფებები ერთი თვის შემდეგ ეწვევიან. მანამდე კი, სავარაუდოდ, პენტაგონი შეძლებს, პრეზიდენტ ბუშს წარუდგინოს ერაყში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის განხორციელების დეტალური გეგმა, სადაც ასევე განსაზღვრული იქნება ერაყის ოპოზიციური დაჯგუფებების როლი და მისია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, ავღანეთის ჩრდილოური ალიანსისგან განსხვავებით, ერაყის ოპოზიციის ძალები საკმაოდ მწირია და მათ გაძლიერებას გარკვეული დრო სჭირდება. სავარაუდოა, რომ მოსამზადებელ პერიოდში ვაშინგტონიდან ფინანსურად მოძლიერებული ერაყის ოპოზიციური დაჯგუფებები ძირითად აქცენტს ერაყის არმიიდან ჯარისკაცების და ოფიცრების გადაბირებაზე გააკეთებენ. ექსპერტების ვარაუდით, როდესაც აშშ განახორციელებს საჰაერო დარტყმებს ერაყის სტრატეგიულ პუნქტებზე და აშშ-ბრიტანეთის სატანკო ნაწილები "ღია ველზე" დაიწყებენ ჰუსეინის არმიის განადგურებას, ოპოზიციის გაერთიანებულ ძალებსა და მათ მხარეზე გადასულ სამხედროებს საშუალება ექნებათ, მინიმალური დანაკარგებით დაიკავონ დასახლებული პუნქტები.

უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდებია. ყველაფერი კი ცნობილი მაშინ გახდება, როდესაც პრეზიდენტი ბუში ხელს მოაწერს პენტაგონის მიერ წარდგენილ გეგმას ერაყში ჰუსეინის რეჟიმის განადგურების შესახებ.

თუმცა, ჯერ არავინ იცის, თუ რას აპირებს თავად ჰუსეინი ან რა საშუალებებს და რესურსებს გამოიყენებს აშშ-სა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. ერთი რამ ამთავითვე ცხადია: ჰუსეინის არსენალში ერთ-ერთ უმთავრეს რესურსს მასობრივი განადგურების იარაღი წარმოადგენს, რომელსაც ერაყის პრეზიდენტი საკუთარი რეჟიმის გადასარჩენად აუცილებლად აამოქმედებს.

# საჭიროა მეტი პროპაგანდა



*თავისუფლების ქანდაკება.*

ამერიკის იმიჯი უცხოელთა თვალში სწრაფად უარესდება – ასეთია შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციის, "საგარეო პოლიტიკის საბჭოს" დასკვნა. უცხოეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით, ისლამურ სახელმწიფოებში, სულ უფრო მეტი ხალხი მიიჩნევს აშშ-ს "ქედმაღალ, თვითკმაყოფილ, სხვათა მიმართ უყურადღებო სახელმწიფოდ, რომელიც თავს არ იწუხებს სხვა კულტურებთან დიალოგის დაწყებით".

შეერთებული შტატების იმიჯის გაუარესება საზღვარგარეთ ცივი ომის დასრულების შემდეგ დაიწყო. ბევრის აზრით, ბუნებრივია, რომ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი და ძლიერი სახელმწიფო, რომელიც აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს, უცხოეთში მაინცდამაინც არ უყვარდეთ. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც გაქრა კომუნისტური საფრთხე, რომლისგანაც "თავისუფალ მსოფლიოს" სწორედ ვაშინგტონი იცავდა. ამერიკელების მიმართ სიმპატია შედარებით გაიზარდა 11 სექტემბრის შემდეგ, მაგრამ, ანტიტერორისტული კამპანიის გავრცელებასთან ერთად, იგი ისევ დაეცა. არაბული ქვეყნების მოქალაქეების, დაახლოებით, 60 პროცენტს შეერთებულ შტატებზე უარყოფითი წარმოდგენა აქვს. სულ უფრო მეტი ადამიანი მიიჩნევს, რომ ავღანეთში წარმოებული ომი მორალურად გაუმართლებელია.

ისლამურ ქვეყნებში ამერიკის პოპულარობის დაცემის უპირველესი მიზეზი ამ უკანასკნელის ისრაელისადმი უპირობო მხარდაჭერაა. ბუში, ფაქტობრივად, სრულად უჭერს მხარს შარონის აგრესიულ პოლიტიკას. შარონს კი არაბულ ქვეყნებში ბევრი სამხედრო დამნაშავედ მიიჩნევს. თანაც, ამერიკა იშვიათად გამოხატავს მხარდაჭერას პალესტინელი ხალხის მიმართ. ისიც უნდა ითქვას, რომ ისლამური ქვეყნების რეჟიმების უმეტესობისათვის (ალბათ, ისევე როგორც ყველა რადიკალური და ულტრაკონსერვატიული საზოგადოებისათვის) მიუღებელია ცხოვრების ის შედარებით თავისუფალი სტილი, რომლის პროპაგანდასაც აშშ, როგორც საკუთარი მაგალითის, ისე ჰოლივუდის ფილმების მეშვეობით ეწევა. მათთვის ამერიკა ან გარყვნილების ვაცია, რომელსაც ყველა ადგილობრივი პრობლემა ბრალდება, ან "გრანდიოზული საერთაშორისო შეთქმულების" ბუდე. შორს რომ არ წავიდეთ, იმ უზარმაზარი (ბოლო ათი წლის მანძილზე, დაახლოებით, 1 მილიარდი დოლარი) და ჩვენთვის უპრეცედენტო დახმარების მიუხედავად, რომელსაც აშშ უწევს საქართველოს (ქართული არმიის მშენებლობიდან დაწყებული ზამთარში გათბობის ფულის გადახდით დამთავრებული), ჩვენს ქვეყანაშიც ამერიკელების მიმართ დამოკიდებულება ნელ-ნელა უარესდება. ზოგი მათ ახლანდელ კორუმპირებულ ხელისუფლების მხარდაჭერაში ხედავს ბრალს, ზოგი კი, პირიქით – მისი შეცვლის მცდელობაში.

მეორე მიზეზი, რის გამოც აშშ-ს იმიჯი მისი მოკავშირეების თვალშიც ილახება, საერთაშორისო რეჟიმების შექმნისადმი წინააღმდეგობა და "ყველაფრის საკუთარ თავზე აღების მცდელობაა". გავიხსენოთ, თუნდაც, რამხელა აჟიოტაჟი მოყვა აშშ-ს მცდელობას, გამხდარიყო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, რომლის მოქალაქეებიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსაგან იმუნიტეტს მიიღებენ. საერთო უკმაყოფილება გამოიწვია, აგრეთვე, აშშ-ს გამოსვლამ კიოტოს პროტოკოლიდან, რომელიც გლობალური დათბობის თავიდან აცილების მიზნით შექმნილ საერთაშორისო მექანიზმს წარმოადგენს. აშშ, აგრეთვე, არ შეურთდა ბირთვული გამოცდების საყოველთაო აკრძალვისა და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვის ხელშეკრულებებს.

ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის დაცემის წინააღმდეგ ვაშინგტონი სერიოზული ღონისძიებების გატარებას იწყებს. პირველი ნაბიჯი ჭეშმარიტად ამერიკული იყო - სახელმწიფო დეპარტამენტმა დაიქირავა სარეკლამო სააგენტოს ყოფილი უფროსი შარლოტა ბიერსი, რომელმაც ამერიკულ ფასეულობებსა და აშშ საგარეო პოლიტიკას არაბულ ქვეყნებში რეკლამა უნდა გაუწიოს.

"როგორ მოხდა, რომ ქვეყანამ, რომელმაც შექმნა ჰოლივუდი და წარმოუდგენლად განავითარა სარეკლამო ინდუსტრია, ვერ შეძლო საკუთარი თავისათვის პოზიტიური საერთაშორისო იმიჯის შექმნა?" - კითხულობს პროექტის ავტორი, წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე ჰენრი ჰაიდი.

ვითარების გამოსასწორებლად მთავრობა სახალხო დემოკრატიის დამოუკიდებელი კორპორაციისა და, მასთან ერთად, ერთიანი სამაუწყებლო უწყების შექმნას გეგმავს, რომელიც უცხოეთში ამერიკის ტელე- და რადიომაუწყებლობის ("რადიო თავისუფლება", "ამერიკის ხმა" და სხვ.) კოორდინაციას მოახდენს. დაგეგმილია მათი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი გაზრდაც. გარდა ამისა, გაიზრდება პროპაგანდა და პოლიტიკური კამპანიების მოცულობა უცხო ქვეყნებში, რასაც თეთრ სახლში სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი სამსახური უხელმძღვანელებს. გაფართოვდება გაცვლითი პროგრამები, რომელიც უცხოელებს აშშ-ში მოგზაურობის საშუალებას აძლევს. ერთი სიტყვით, სავაჭრო ნიშანი "ამერიკა" დიდ მარკეტინგულ კამპანიას იწყებს.

# ხავიერ სოლანას ვიზიტი ირანში



*ხავიერ სოლანა და მოჰამედ ხათამი.*

ორშაბათს ევროკავშირის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ხავიერ სოლანა ოფიციალური ვიზიტით ირანში ჩავიდა. ივნისში ევროკავშირმა განაცხადა, რომ ირანთან ვაჭრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებას გეგმავს. სოლანას ვიზიტი სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

სოლანას განცხადებით, ირანის დედაქალაქში მისი ყოფნის ფაქტი უკვე არის იმის მანიშნებელი, რომ ირანსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდა. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ მოლაპარაკებების წარმოება საკმაოდ რთული იქნება, რადგან ევროკავშირი ნებისმიერი შეთანხმების წინაპირობად ადამიანის უფლებების დაცვისა და მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების საკითხების მოგვარებას წამოაყენებს. ეს სოლანამაც აღნიშნა: "ევროკავშირ-ირანის ურთიერთობები სრულ პოტენციალს ვერასდროს გამოავლენს, სანამ ჩვენ იმ პრობლემებს არ მოვაგვარებთ, რომლებიც პოზიტიურ განვითარებას აბრკოლებს". ამგვარ პრობლემებს შორის სოლანამ ყურადღება გაამახვილა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება-შეძენისა და ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის მიმართ ირანის პოზიციის საკითხებზე.

ვიზიტის მსვლელობისას სოლანა შეხვდა ირანის პრეზიდენტ მოჰამედ ხათამის და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს. სოლანას განცხადებით, ევროკავშირი იმედოვნებს ირანთან თანამშრომლობის გაღრმავებას არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ისეთ სფეროებშიც, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ავღანეთის ახალი მთავრობის მხარდაჭერა.

აღსანიშნავია, რომ შეერთებული შტატები "ბოროტების ღერძის" თვალსაჩინო წარმომადგენელ ირანთან ნებისმიერი თანამშრომლობის წინააღმდეგია. აშშ ირწმუნება, რომ ირანი მასობრივი განადგურების იარაღს აწარმოებს და ბირთვული იარაღის შეძენას ცდილობს. ირანი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ იარაღს მხოლოდ თავდაცვის მიზნით აწარმოებს და შეიარაღებული პალესტინური ჯგუფებისთვის - "ჰამასისა" და "ისლამური ჯიჰადისთვის" იარაღის მიწოდების ბრალდებებს უარყოფს. **(BBC)**

## საერთაშორისო ამბები

### გაერო ჩეჩნეთში ყველა პროგრამას წყვეტს

გაერო-ს მისიის წარმომადგენელმა რუსეთში გააკეთა განცხადება, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია "დრუჟბის" ხელმძღვანელის, ნინა დავიდოვიჩის გატაცების ფაქტის საპასუხოდ, გაურკვეველი ვადით ჩეჩნეთში ჰუმანიტარულ ოპერაციებს წყვეტს. "დრუჟბა" გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) განათლებისა და სოციალური სფეროს რეაბილიტაციის პროექტებში მონაწილეობდა.

ნინა დავიდოვიჩი გამტაცებლებმა 23 ივლისს შეიპყრეს. გაერო-ს წარმომადგენლის განცხადებით, ადამიანების გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, ჩეჩნეთში ჩვეულებრივი ამბავია და მომგებიან ბიზნესად გადაიქცა. დავიდოვიჩის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით გროზნოში გაერო-ს დელეგაცია ჩავიდა.

გაერო-ს წარმომადგენელმა რეგიონში ჰუმანიტარული ოპერაციების შეწყვეტის ორი მიზეზი დაასახელა. უპირველეს ყოვლისა, გაერო ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ ვითარებას თავისი თანამშრომლების უსაფრთხოებისთვის საშიშად მიიჩნევს. მეორეს მხრივ, გაერო-ს სურს, სოლიდარობა გამოუცხადოს გატაცებულ ნინა დავიდოვიჩს, მის ოჯახსა და თანამშრომლებს.

ამგვარად, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გაერო-ს ყველა ჰუმანიტარული პროგრამა გაურკვეველი დროით, ხოლო ინგუშეთის ტერიტორიაზე, სადაც 150,000 ჩეჩენი ლტოლვილია თავმოყრილი, ორი დღით შეწყდება. ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გამონაკლისს წარმოადგენს გროზნოში სასმელი წყლის განაწილების პროგრამა, რომლის შეწყვეტა ადგილობრივი მოსახლეობისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

შარშან გაერო-მ და მისმა ყველა სააგენტომ ერთხელ უკვე შეწყვიტა მოღვაწეობა ჩეჩნეთში, მას შემდეგ, რაც გატაცებულ იქნა ორგანიზაციის - "ექიმები საზღვრებს გარეშე" თანამშრომელი, ამერიკელი კენი გლუკი. მან ტყვეობაში 25 დღე გაატარა, რის შემდეგაც გამოსასყიდის გარეშე გაათავისუფლეს. ბოლო პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჩეჩნეთში ხანგრძლივი ვიზიტებით ჩასვლა და ცხოვრება ეკრძალებათ. **(Reuters)**

### ჩრდილოეთ კორეა აშშ-სა და იაპონიასთან მოლაპარაკებებისთვის მზად არის

რუსეთის ახალი ამბების სააგენტო "იტარ-ტასმა" გაავრცელა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, იგორ ივანოვის განცხადება, რომლის თანახმად ჩრდილოეთ კორეა მზად არის, გაყოფილი კორეის ნახევარკუნძულის საკითხზე აშშ-სა და იაპონიასთან კონსტრუქციული დიალოგი უპირობოდ დაიწყოს. ეს განცხადება ივანოვმა ჩრდილოეთ კორეის დედაქალაქ ფხენიანში ვიზიტისას გააკეთა. მანამდე კი იგი ოფიციალური ვიზიტით სამხრეთ კორეაში იმყოფებოდა. ივანოვის აზრით, დიალოგი, შესაძლოა, სამშაბათს, ბრუნეიში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ასეანი) სამიტზეც კი დაიწყოს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის იანვარში აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ჩრდილოეთ კორეა "ბოროტების ღერძის" ქვეყნად გამოაცხადა, რის შემდეგაც ვაშინგტონის ტონი ამ კომუნისტური ქვეყნის მიმართ უფრო გამკაცრდა.

სეული და ფხენიანი, ფორმალურად, ერთმანეთთან ომის მდგომარეობაში არიან, რადგან 1950-53 წლის კონფლიქტის შემდეგ მათ სამშვიდობო შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერიათ. **(Reuters)**

### იაპონია-უზბეკეთის შეთანხმება

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა კოიძუმიმ და უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ კარიმოვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შესახებ. მხარეებმა მოილაპარაკეს პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში თანამშრომლობის აქტივიზაციასა და ინვესტირების გზით კერძო სექტორში ეკონომიკური კავშირების გაძლიერებაზე. იაპონიის ხელისუფლების ინფორმაციით, ბოლო რვა წლის განმავლობაში უზბეკეთში ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის იაპონური კაპიტალის ინვესტირება მოხდა. **(BBC)**

### რამალაში „ჰამასის" აქტივისტები დააპატიმრეს

მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე განხორციელებული ოპერაციის დროს ისრაელის ჯარმა ტერორიზმში ეჭვმიტანილი რამდენიმე პიროვნება დააკავა. რამალაში აიყვანეს ექსტრემისტული დაჯგუფება "ჰამასის" ორი წამყვანი წევრი – ჰუსეინ აბუ ქვეკი და ფურეიჯ რუმენია, რომლებზეც რამდენიმე თვის განმავლობაში ძებნა იყო გამოცხადებული.

გუშინწინ იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ქალაქ ჰებრონში ებრაელ და პალესტინელ მოსახლეობას შორის მასობრივი შეტაკებები მოხდა. არეულობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ებრაელებმა დაკრძალეს პარასკევს ქალაქის გარეუბანში მოკლული ისრაელის არმიის ახალგაზრდა სერჟანტი ლეიბოვიჩი. იგი პალესტინელებმა ავტომატური იარაღიდან საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს.

დაკრძალვიდან მობრუნებულმა ებრაელებმა პალესტინელების სახლების რბევა დაიწყეს. იარაღიდან გასროლას 14 წლის პალესტინელი გოგონას დაღუპვა მოჰყვა, რამაც ქუჩაში გამოიყვანა ქალაქის არაბი მოსახლეობა. ებრაული კვარტლის მაცხოვრებლებს მეზობელი ქალაქიდან ჩასული ებრაელები დაეხმარნენ.

ჰებრონში ვითარება თითქმის ყოველთვის დაძაბულია, რადგან ქალაქის ცენტრში მცხოვრებ რამდენიმე ასეულ ებრაელს გამუდმებით იცავს ისრაელის არმია. ქალაქის დანარჩენ უბნებში, დაახლოებით, 100 ათასი პალესტინელი ცხოვრობს.

### „ალ ქაიდას" უსამა ბინ ლადენის შვილი ხელმძღვანელობს

არაბულმა გაზეთმა "აშ-შარქ ალ-აუსათმა", საკუთარ წყაროზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაცია "ალ ქაიდას" ამჟამად ხელმძღვანელობს უსამა ბინ-ლადენის უფროსი ვაჟი – საად ბინ უსამა ბინ ლადენი. გაზეთმა ინფორმაცია მიიღო "ალ ქაიდასთან" დაახლოებული პირისაგან, რაც, შესაძლებელია, წარმოადგენდეს უსამა ბინ ლადენის სიკვდილის ან ავადმყოფობის დამადასტურებელ ფაქტს.

გაზეთის ინფორმაციით, საადს ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ, ფაქტობრივად, არავინ იცნობს. მან "ალ ქაიდას" ხელმძღვანელის თანამდებობაზე მამა ავღანეთში ანტიტერორისტული კამპანიის ძირითადი ეტაპის დასრულების შემდეგ შეცვალა. იმ მომენტისათვის "ალ ქაიდას" მებრძოლებს ავღანეთში პოზიციები უკვე დათმობილი ჰქონდათ, ხოლო თავად ბინ ლადენი ორი უახლოესი თანამებრძოლის გარეშე იყო დარჩენილი – მუჰამედ ატეფი მოკლეს, ხოლო აბუ ზუბეიდა დააპატიმრეს.

### ხანძარი თურქეთის უმსხვილეს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში

აფეთქების შედეგად ხანძარი გაჩნდა მარმარილოს ზღვის პირას მდებარე ქალაქ იზმითის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანა "თუფრასში". ქარხნის 9 რეზერვუარიდან 6 ცეცხლში გაეხვია. ხანძრის ჩასაქრობად სამხედრო ავიაციის გამოყენება გახდა საჭირო.

აფეთქების მიზეზები ჯერ არ დაუდგენიათ, ისევე, როგორც დაზარალებულთა რაოდენობა. ხელისუფლება შიშობდა, რომ ხანძარი, შეიძლებოდა, ქარხნის სხვა ნაწილებსაც გადასდებოდა.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბანში მდებარეობს, ამიტომ, დაახლოებით, 5000 ადამიანის ევაკუაცია გახდა საჭირო.

"თუფრასში" ეს ხანძრის პირველი შემთხვევა არ არის. უკანასკნელად ქარხანა სერიოზულად დააზიანა 1999 წლის მიწისძვრის შემდეგ გაჩენილმა ხანძარმა.

# "უნდა ნახოთ ასეთი ბავშვების თვალები"

ეკატერინე ბახუტაშვილი

გლდანის ბავშვთა სახლის №2 სკოლა-ინტერნატში სხვადასხვა ფორმით გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვები არიან. აქ მოთავსებული 180 მოზარდიდან ოცდათხუთმეტს ახლობელი საერთოდ არ ჰყავს. დაახლოებით, 70 ბავშვი, დედით ან მამით, ობოლია. ინტერნატში ისეთებიც არიან, მშობელს მათთვის არასდროს რომ მიუკითხავს.

უკვე 12-13 წელია, ეს კონტინგენტი ქალაქიდან დასასვენებლად ვერსად გადის. ამისათვის ინტერნატს თანხები არ აქვს. რომელიმე ორგანიზაციის ხელშეწყობით, ბავშვთა სახლის 15-20 მოზარდი იშვიათად თუ გაჰყავთ ქალაქგარეთ, ისიც, 14-20 დღით. დანარჩენი ბავშვების გართობას კი შეძლებისდაგვარად, თბილისში ახერხებენ - დაჰყავთ კულტურულ ღონისძიებებზე, ზოოპარკში და კონცერტებზე.

ბავშვთა სახლს წინა წლებში ძალიან უჭირდა. ფაქტობრივად, ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარებით გადარჩნენ. ამჟამად, მათზე დღეში თითოეულზე 1,8 ლარია გათვალისწინებული. გარდა ამისა, გრძელდება ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარებები. სახელმწიფო ინტერნატს ტანსაცმლითა და ფეხსაცმლითაც ამარაგებს. განათლების სამინისტრო მსგავს დაწესებულებებს 2002 წლამდე არსებული კომუნალური გადასახადების ვალების დაფარვასაც დაჰპირდა.

ინტერნატში ძირითადი საგანი შრომითი სწავლებაა. ვაჟები სადურგლო საქმეს ითვისებენ, გოგონები – კერვას, ქარგვას, ქსოვას. განსაკუთრებული უნარის მქონე მოზარდებს კი დამატებითი მუშაობის საშუალებაც აქვთ. არასამთავრობო ორგანიზაციამ "ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" ინტერნატი საჭირო ინვენტარით მოამარაგა. ბავშვთა სახლის კედლებს კანვაზე ნაქარგი ნამუშევრები ამშვენებს. მათ შემყურეს გავიწყდება, რომ ესენი გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების მიერაა შესრულებული. მოზარდებმა არაერთხელ მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა გამოფენებში. მნახველებს ნამუშევრები მოსწონთ, მაგრამ იშვიათად იყიდება. ესეც დიდი სტიმულია, მაგრამ ყველაზე მეტად, მათ სიყვარული სჭირდებათ.

"ჩვენთან ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი: პირველ კლასში დედამ მოიყვანა ძალიან პატარა, მძიმე გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვი. მაშინ ინბეცილების კლასი გახსნილი არ გვქონდა. მივხვდით, რომ ამ ბავშვს დედა ქუჩაში დააგდებდა და ამიტომ ჩავრიცხეთ დებილების კლასში. ბავშვმა შრომით საქმიანობას კარგად აუღო ალღო. 9 წლის განმავლობაში მისთვის არავის მოუკითხავს. როცა ინტერნატი დაამთავრა, დედამისის ძებნა დავიწყეთ. რუსთავში, კითხვა-კითხვით, მის ძმას და მამას მივაგენით. აღმოჩნდა, რომ მათ ჩვენთან გაზრდილი ბავშვის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ. მოკვდაო, უთქვამს მათთვის დედას. გოგონა 9 წლის შემდეგ ოჯახს დავუბრუნეთ.

პატარები დედას ელოდებიან. ზოგიერთის მშობელი წელიწადში ერთხელ გამოჩნდება და მერე ისევ იკარგება. უნდა ნახოთ ასეთი ბავშვების თვალები, როცა დედა სხვასთან მიდის. სანამ პატარები ინტერნატში არიან, მათ მშობლებს არ ვაწუხებთ, მაგრამ 9 კლასის დამთავრების შემდეგ მაინც აიღონ პასუხისმგებლობა. მათი მოტანილი არაფერი გვინდა. ახლა ბავშვებს, მშობლის სითბოს გარდა, მართლა არაფერი აკლიათ. ესენი 9 კლასის დამთავრების შემდეგ უკვე შრომისუნარიანნი არიან. თუ ეს ბავშვები მშობლებმა აღარ დაიბრუნეს, ინტერნატი კი არა, თავშესაფარი გახდება და ყველა მათგანს ვერ დაიტევს," – გვითხრა სკოლა-ინტერნატის დირექტორმა მარინა უჯმაჯურიძემ.

სექტემბრისთვის კონტინგენტის შევსებას ვარაუდობენ 190-200 ბავშვამდე. წელს ცხრა კლასი თოთხმეტმა ბავშვმა დაამთავრა და ყველა მათგანი პატრონს ჩაბარდა, ხუთი კი დირექციამ მშობელს თვითონ ჩაუყვანა. ერთი გოგონა, რომელსაც პატრონი არ აღმოაჩნდა, დაიტოვეს. ინტერნატში ასეთი კურსდამთავრებული ექვსი ჰყავთ, მათგან ყველაზე უფროსები 29 წლისანი არიან. ისინი ძიძებად, დამლაგებლებად, მეეზოვეებად და დარაჯებად მუშაობენ.

კურსდამთავრებულთა დასაქმება ინტერნატის ხელმძღვანელობისათვის სერიოზული პრობლემაა. ეს საკითხი უჯმაჯურიძემ არაერთხელ წამოჭრა ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წინაშე. ინტერნატის შემდეგ სახელმწიფო ამ მოზარდებზე არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს. დამოუკიდებლად გზის გაგრძელება კი ამ ბავშვებისათვის ძალიან ძნელია. ახლა თავის რჩენა მათ კი არა, უმაღლესდამთავრებულებსაც უჭირთ. არადა, მათ აქვთ პროფესია, რომელსაც ნორმალურ პირობებში თავიანთი თავის მისახედად გამოიყენებდნენ.


ინტერნატის კონტინგენტი


მარიკა ამურველაშვილი ფოტოები

## სწავლა 2 სექტემბერს დაიწყება

### გარანტი - ორი მინისტრი პლუს ქალაქის პრემიერი

დალი კუპრავა

მომავალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სამარშრუტო ტაქსებშიც კი გაიგებ სრულ ინფორმაციას: "კი, ამბობენ დავიწყებთო, მაგრამ ამათ როგორ ვენდობი", "ძლივს ბავშვები ქალაქიდან გავიყვანეთ, ახლა ჩამოვიყვანო და სწავლა არ დაიწყოს?". სწავლის დაწყება უმეტესობისთვის არ არის ბავშვების უსაფრთხოების გარანტია. "რამე რომ მოხდეს, განათლების მინისტრი საკუთარ თავზე იღებს პასუხისმგებლობას?"

როგორც თბილისის განათლების ხელმძღვანელმა, ედიშერ მაჩაიძემ გვითხრა,

უსაფრთხოების გარანტი სამი უწყების ხელმძღვანელი ყოფილა: მშენებლობის მინისტრი, ქალაქის პრემიერი და განათლების მინისტრი.

მშენებლობის მინისტრმა მერაბ ჩხენკელმა თქვა, რომ მერიაში უკვე დამტკიცებულია, განახლდეს სწავლა 27 აღდგენილ სკოლაში, უკვე დამუშავებულია 7 პროექტი და 7 სკოლაში დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები. ფინანსურად მას მეგობარი ქვეყნებისა და მსოფლიო ბანკის იმედი აქვს. მოწადინებულმა ჩხენკელმა კომპეტენციას გადაამეტა, როცა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომის წევრებს შეჰპირდა, რომ აღდგენილი სკოლები "უნდა პასუხობდეს 21-ე საუკუნის მოთხოვნებს, როგორც სეისმოლოგიური მდგრადობის, ასევე ტექნიკური აღჭურვილობის მიხედვით".

ედიშერ მაჩაიძე არ აკონკრეტებს ფინანსების წარმოშობას, მაგრამ ამბობს, რომ საბიუჯეტო თანხა "უზის" განათლების სამეურნეო სამსახურს და თუ ქალაქის მერია აგვისტოში რამეს დახარჯავს, მხოლოდ "ამ საქმისთვის". მისივე თქმით, შესაძლოა, სკოლების კედლები არ შეიღებოს, მაგრამ საიმედოდ გაუმაგრებელ სკოლის შენობაში მოსწავლეებს არავინ შეუშვებს. რამდენიმე დღეში, მშენებლობის სამინისტროსთან ერთად, გადამოწმდება დანარჩენი სკოლები.

განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ თბილისში სასწავლო წელი 2 სექტემბერს აუცილებლად დაიწყება და დაცული იქნება ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება. შესაძლოა, ზოგიერთი სკოლის კონტინგენტი გადანაწილდეს, უმეტესი ნაწილი, შენობის ნაწილის გაუქმების გამო, რამდენიმე ცვლიან სწავლებაზე გადავიდეს, მაგრამ საეჭვო შენობაში არც ერთი მოსწავლე და მასწავლებელი არ შევა. ამ საკითხში, განათლების მინისტრის მოადგილის, რუსუდან გორგილაძის განცხადებით, სამინისტრო ისევე პრინციპულია, როგორც სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. გორგილაძის თქმით, ასევე პრინციპული საკითხია, რომ მხოლოდ მიწისძვრის შედეგების მიხედვით, კონტინგენტის გადანაწილების გამო, არც ერთმა მასწავლებელმა სამსახური არ უნდა დაკარგოს. თუ ვინმეს მსგავსი საშიშროება დაემუქრება, მას შეუძლია პირდაპირ მიმართოს მინისტრის მოადგილეს.

ოთხი წლის განმავლობაში, საქართველოში არც ერთი სკოლა არ დახურულა. ამიტომ ეჭვი იმის შესახებ, რომ ეს მდგომარეობა გამოყენებული იქნება, როგორც "ოპტიმიზაციის" ინსპირატორი: "თუ გარდაუვალი იქნება, შენობა დაიხურება და არა სკოლა. აბა, რა უნდა სკოლის დირექტორს, დასვენებებზე ბავშვების მოძრაობისგან გამოწვეულმა ვიბრაციამ ერთი ბავშვიც რომ დააზარალოს, ამაზე ვინ აგებს პასუხს, ან რატომ უნდა მივიყვანოთ საქმე აქამდე?!"

სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი
ჩვენი ტელეფონები: 25-35-48; (899) 51-19-94

## „თბილგაზი„: უკრაინულ მრიცხველს უკეთესი დამცავი საშუალებები აქვს

ეთერ მამულაშვილი

*რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბუნებრივი აირის ჩინური წარმოების ინდივიდუალური მრიცხველების ჩანაცვლება უკრაინულით უნდა მომხდარიყო, რამაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სერიოზული აღელვება გამოიწვია. თავის დროზე მათ ამ მრიცხველებში სოლიდური თანხა გადაიხადეს. დამატებითი ხარჯების გაღება კი, ცხადია, არავის სურს. მომხმარებლის მღელვარება ფუჭი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდება, თუ ახალ მრიცხველებს სახელმწიფო იყიდის და უფასოდ დააყენებს. სხვა შემთხვევაში პრობლემას გამწვავება არ ასცდება.*

ამ საკითხთან დაკავშირებით, დეტალური ინფორმაციისთვის "თბილგაზს" დავუკავშირდით. "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ განაცხადა, რომ მოსახლეობა ნაადრევად აღელდა: "უკრაინული დელეგაციის ვიზიტის დროს, ჩამოსული იყო ივანო-ფრანკოვსკის ქარხნის გენერალური დირექტორი, რომელიც გაზის თანამედროვე ტიპის მრიცხველებს უშვებს. მათი მხრიდან იყო შემოთავაზება თანამშრომლობაზე. ჩვენთვის მისაღები პირობების შემთხვევაში მათ წინადადებას აუცილებლად დავეთანხმებით".

სამომავლოდ, უკრაინულ მხარესთან თანამშრომლობა "თბილგაზის" გენერალური დირექტორის მოადგილეს ტექნიკურ დარგში თენგიზ არშილავას ასე წარმოუდგენია: "უკრაინელები მოგვაწვდიან ნახევარფაბრიკატებს, ანუ მრიცხველების მხოლოდ ნაწილებს, რომლის აწყობა და ექსპლუატაცია ჩვენი პრეროგატივა იქნება. ასეთი გარიგება ვფიქრობ, ქართული მხარისთვის უფრო მომგებიანი და ნაკლებად ხარჯიანი იქნება."

მისივე თქმით, ბუნებრივი აირის დღევანდელი მრიცხველები არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და მათი 80 პროცენტი მწყობრიდან არის გამოსული. აგრეთვე, ჩინურ მრიცხველებს მოსახლეობის თვითნებურად ჩარევისგან დამცავი მექანიზმები ძალიან სუსტი აქვს. "ნებისმიერ მოქალაქეს კონტროლიორის გარეშეც შეუძლია მრიცხველზე აღნიშნული მაჩვენებლის ჩამოყრა და ბუნებრივი აირის მოპარვა. უკრაინული ქარხნის წარმოებულ მრიცხველს გაცილებით უკეთესი დამცავი საშუალებები აქვს და მასზე ამიტომაც შევაჩერეთ ყურადღება, თუმცა, მოსაფიქრებელი და გადასაწყვეტი ჯერ კიდევ ბევრია," – გვითხრა თენგიზ არშილავამ.

იმ შემთხვევაში, თუკი უკრაინა-საქართველოს შორის ამ ტიპის თანამშრომლობა იქნება და მრიცხველების ჩანაცვლების პროცესი მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით დაფინანსდება (ყოველ შემთხვევაშია "თბილგაზის" სურვილი ასეთია), ბუნებრივი აირის ინდივიდუალური მრიცხველები "თბილგაზის" საკუთრება გახდება.

"ყველა ქვეყანაში აღრიცხვის ხელსაწყო აირის მიმწოდებელი კომპანიის საკუთრებაა და ჩვენს შემთხვევაშიც, ვფიქრობ, ასე უნდა იყოს - რადგან ჩემს მრიცხველს ჩემზე უკეთესად ვერავინ მოუვლის, მხედველობაში მაქვს კომპანია. დღევანდელი სიტუაციით, მრიცხველი მოქალაქეების საკუთრებაა და მას უნდა დაამტვრევენ, უნდა ჩამოყრიან და ამაზე კომპანია, სამწუხაროდ, პასუხს ვერ მოსთხოვს", - აღნიშნა ვახტანგ ცაავამ.

დღეს მოქმედ კანონმდებლობაში არ არის შესაბამისი მუხლი, რომლის მიხედვითაც "თბილგაზი" უფლებამოსილი გახდება, მრიცხველის ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, დააჯარიმოს მისი მესაკუთრე. ამიტომაც "თბილგაზმა" საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას მიმართა წინადადებით, რათა დაწესებულიყო დროებითი ნორმატიული აქტი, რომლის მიხედვითაც "თბილგაზს" ექნება უფლება, ჯარიმის სახით დააწესოს გარკვეული თანხები.

## საქართველოში კატეგორიებსაც აყალბებენ

ქეთი ქადაგიშვილი

მიწისძვრით დაზარალებულთა სალიკვიდაციო ფონდმა, 3 თვის განმავლობაში, საცხოვრებელი ბინებით მხოლოდ 6-მდე დაზარალებული ოჯახი დააკმაყოფილა. ფონდი სახლებს, უპირველესად, მესამე კატეგორიის ავარიული ბინების მეპატრონეებს, ანუ, ფაქტობრივად, უბინაოდ დარჩენილთათვის ყიდულობს. მესამე კატეგორიის სახლის მფლობელთა ზუსტი რაოდენობა კი ჯერ კიდევ დაუდგენელია, რადგან მერია ხელახლა აღწერს მიწისძვრის შედეგად დაზიანებულ სახლებს. ფონდი ვარაუდობს, რომ ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ აღრიცხვა არასწორად ჩაატარა. "ჯერჯერობით მხოლოდ გლდანი-ნაძალადევის რაიონის ავარიული სახლების ხელახალი შემოწმება მოვახერხეთ და 1000-დან 432 შემთხვევაში სახლის ავარიულობის კატეგორია გაყალბებული იყო," – გვითხრეს ფონდში.

საბუთის გაყალბების ერთ ფაქტს თვითონაც წავაწყდით. ფონდში გლდანი-ნაძალადევის რაიონის მოქალაქის განცხადებაზე სახლის ავარიულობის მაჩვენებლად მეორე კატეგორია იყო მითითებული, თუმცა, როგორც თანამშრომლებმა შემდგომ გამოარკვიეს, სახლი პირველ კატეგორიას განეკუთვნებოდა. თავდაპირველად, მოქალაქის საბუთში ასეც ყოფილა მითითებული, მაგრამ საკუთარი თვალით ვნახეთ, ვილაცას მასში საწერკალმით "შესწორება" გაეკეთებინა.

როგორც ფონდში გვითხრეს, მსგავსი შემთხვევები უამრავია - ზოგჯერ საბუთში სახლის ავარიულობის მაჩვენებლად მეორე კატეგორიაა მითითებული. სინამდვილეში კი, სახლი მიწასთანაა გასწორებული და მესამე კატეგორიას განეკუთვნება. ან პირიქით, მესამე კატეგორია უწერია და, წესით, მეორე ეკუთვნის.

## პროვინციის ქალები და ჟურნალისტები

ირმა კახურაშვილი

ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციაში შემავალი ერთ-ერთი ჯგუფი - "ქალი და მედია" საინტერესო პროექტის განხორციელების "შუა გზაშია". ჯგუფის წევრები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში არიან მიმოფანტულნი და ჩვენს კოლეგა ჟურნალისტებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ რეალობაში შემოჭრილი ცნება "ტრენინგი" ბევრს აღიზიანებს, პროექტი წარმატებულად ხორციელდება.

თბილისში ახლახან დაბრუნებული ერთ-ერთი ლიდერი გალინა პეტრიაშვილი, რომელსაც საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ამბროლაურისა და ხაშურის ჟურნალისტებთან, მიიჩნევს, რომ მოკლევადიანი პროექტისადმი ინტერესმა მოლოდინს გადააჭარბა.

"ეს, ალბათ, იმიტომ მოხდა, რომ რეგიონებში ქალთა პრობლემა ვიწრო ჩარჩოებს სცილდება და მოიცავს უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს. რეგიონის ჟურნალისტებთან მუშაობამ დამანახა, რომ მათ მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა და ქალს საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლი მართლაც არ აკისრიათ", - ამბობს პეტრიაშვილი. იგი ადასტურებს, რომ ჯერჯერობით სუსტია თანამშრომლობა დედაქალაქის, რაიონების ჟურნალისტთა და "ენჯეოებს" შორის. სხვათა შორის, დღემდე ქალთა არასამთავრობოების კოალიციაში არც ერთი რეგიონული ორგანიზაცია არ არის გაწევრიანებული.

ამბროლაურთან შედარებით, ხონში ჩატარებულ ტრენინგებს გალინა პეტრიაშვილი დადებითად აფასებს. იქაურ მოსახლეობას საინფორმაციო ვაკუუმს უვსებს ორი ტელეარხი - "დია" და "თრიალეთი" და ყოველკვირეული გაზეთი "ხაშურის მოამბე". "ტრენინგს ესწრებოდა 20 ჟურნალისტი, აქედან - 5 მამაკაცი. განსაკუთრებით საინტერესო იყო მამაკაცებთან მუშაობა. ვიმედოვნებ, ჩვენი ლექციის შემდეგ, ისინი სუსტი სქესის პრობლემებს უფრო სერიოზულად გააცნობიერებენ", – მიიჩნევს პეტრიაშვილი.

გალინა პეტრიაშვილს გაცილებით მძიმე სიტუაცია დახვდა ამბროლაურში, სადაც ჟურნალისტებს არანაირი სამუშაო პირობები არ აქვთ. "ამბროლაურში მხოლოდ ერთი, ისიც ყოველთვიური გაზეთი "ამბროლაურის მოამბე" გამოდის. ჟურნალისტები ხელნაწერ მასალებს დასაბეჭდად ქუთაისში გზავნიან. მათი ხელფასი 25 ლარია. ისინი მოწყვეტილები არიან გარესამყაროს", – აცხადებს პეტრიაშვილი. საერთო ეკონომიკური და სოციალური სიდუხჭირის ფონზე აქ ქალთა პრობლემები განსაკუთრებულად მკაფიოდ არის გამოკვეთილი. თუმცა, ტრადიციული კულტურის პირობებშიც კი კარგად იგრძნობა, რამდენად ძლიერია ქართველი ქალის შინაგანი მოთხოვნილება. "ვფიქრობ, ამ პროექტის სახით, ჩვენ კიდევ ერთი პატარა ნაბიჯი გადავდგით ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, ყველანაირად ვეცდებით, ამბროლაურის ჟურნალისტებს სამუშაო პირობები გავუუმჯობესოთ, რადგან გენდერულ მოძრაობაში ისინი ჩვენს ერთ-ერთ მთავარ საყრდენ ძალას წარმოადგენენ", - აცხადებს პეტრიაშვილი. ახლო მომავალში ამუშავდება პროექტის მეორე ნაწილიც, რომელიც ეხება რეგიონის ჟურნალისტთა კონკურსში მონაწილეობას.

# „ბოევიკი„ ბაგებში

## ცნობილი კრიმინალის მკვლელობა მინისტრმა კონტროლზე აიყვანა

ინგა ალავიძე

შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ბრძანებით, ქვეყანაში არსებული საგანგაშო კრიმინალური სიტუაციისადმი მიძღვნილი პოლიციური სპეცრაუნდები, რომელმაც სტარტი თბილისში აიღო, ახლა რეგიონებსაც გადასწვდა. ერთმანეთის მიყოლებით ჩატარებული ამ ხმაურიანი პოლიციური ღონისძიებების შესახებ თავად პოლიციელები ასე ხუმრობენ: "კრიმინალებს სეკვესტრში ვაყოლებთ..."

თუმცა, გუშინწინ ბაგებში ჩატარებული ოპერაცია "უცხო პირთა" თანდასწრებით –ჟურნალისტების საჩვენებლად არ დაგეგმილა. ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის სამმართველოს მიერ გუშინწინ, გამთენიისას მოწყობილი პროფილაქტიკური ღონისძიება უფრო პოლიციურ სპეცრაუნდს წააგავდა.

ვაკე-საბურთალოს კრიმინალური პოლიციის უფროსის, ზურაბ ბაქრაძის განცხადებით, გუშინწინ დილით ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამორიგეოში შეტყობინება შევიდა. უცნობი მოქალაქის ინფორმაციით, ბაგების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დასახლების მაცხოვრებლებს ძილი დაუფრთხო ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში ქუჩაში დარბოდა, იგინებოდა და ავტომატიდან უმისამართოდ ისროდა.

სამმართველოს უფროსის ბრძანებით შექმნილი ორი სპეცჯგუფი შემთხვევის ადგილზე გავიდა. პოლიციელებმა დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ სახლს ალყა შემოარტყეს. უფრო ზუსტად, სახლის გვერდით მდებარე ნაგებობას, რომელიც კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტის, გიორგი ელიზბარაშვილის საძინებელი ოთახი იყო. ძაღლის ყეფაზე გაღვიძებული გიორგი ელიზბარაშვილი ოთახის ფანჯარასთან გამაგრებულმა პოლიციელთა ერთმა ჯგუფმა სიტყვიერად გააფრთხილა, არ ესროლა.

პოლიციელებსა და ელიზბარაშვილს შორის გამართული შეტაკება იმით დასრულდა, რომ გიორგი ელიზბარაშვილმა ოთახში შესულ ერთ-ერთ პოლიციელს ესროლა, საპასუხო ტყვია კი, რომელიც მას თავის არეში მოხვდა, სასიკვდილო აღმოჩნდა. მომაკვდავი გიორგი ელიზბარაშვილი მე-9 საავადმყოფოში პოლიციის მიერ გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების მანქანამ მიიყვანა. თუმცა, მისთვის პირველადი დახმარების გაწევაც ვერ მოასწრეს, იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. აი, ასეთია გუშინწინ ბაგებში შემდგარი "ბოევიკის" პოლიციური ვერსია. სხვათა შორის, ბაგების დასახლების მაცხოვრებელთა მტკიცებით, გიორგი ელიზბარაშვილს პოლიციელთათვის პირველს არ უსვრია, მას დაასწრეს. სწორედ იმ დროს ესროლეს, როცა პოლიციელთა რაზმს გაფრთხილება, არ ისროლოთო, დამთავრებულიც არ ჰქონდა.

ერთი სიტყვით, გუშინწინ დილით დაგეგმილი პოლიციური რაუნდი ჯერ დაწყებულიც არ იყო, რომ იგი გიორგი ელიზბარაშვილის მკვლელობით დასრულდა.

ვაკელი გიორგი ელიზბარაშვილი, რომელიც თბილისში "გიბონას" მეტსახელით იყო ცნობილი, კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი გახლდათ. 31 წლის ასაკში იგი უკვე 7-ჯერ იყო გასამართლებული – ყაჩაღობის, ქურდობის, მკვლელობის მცდელობის, ნარკომანიისა და სხვა დანაშაულებისთვის.

რამდენიმე წლის წინ გიორგი ელიზბარაშვილის სახელი დეზერტირების ბაზრის ყოფილი დირექტორის, ექსდეპუტატის, ლაერტი ზუბადალაშვილის შვილის მკვლელობასთან დაკავშირდა. ამ გახმაურებულ მკვლელობას იმ პერიოდში შექმნილი ვერისა და ვაკის "საძმოების" წევრების მკვლელობათა სერიალი გადაება. გიორგი ელიზბარაშვილი, რომელიც ვაკის "საძმოს" ლიდერი გახლდათ, ზუბადალაშვილის საქმეში მკვლელობის მცდელობაში დაადანაშაულეს და გაასამართლეს კიდეც.

გიორგი ელიზბარაშვილი ბოლოს ნარკოტიკების მოხმარებისთვის იხდიდა სასჯელს. როგორც ამბობენ, იგი აქტიური ნარკომანი იყო. არსებული ინფორმაციით, იგი ერთ-ერთი იმათაგანი გახლდათ, ვინც თბილისში რეკეტის ინსტიტუტს ჩაუყარა საფუძველი. შავი სამყაროს ავტორიტეტის სახელით ცნობილი "გიბონა" ჯიხურების სავაჭრო ქსელის, სამარშრუტო ტაქსების ბიზნესისა და თბილისის რამდენიმე პრესტიჟული სასტუმროს მფარველად სახელდებოდა.

მოკლული გიორგი ელიზბარაშვილის სახლიდან პოლიციამ "მაკაროვის" სისტემის უნომრო პისტოლეტი და "აკს"-ის სისტემის ავტომატი, 60 მჭიდით, ამოიღო.

გავრცელებული ინფორმაციებით, გუშინწინ პოლიციის მიერ ბაგებში დადგმული რაუნდი და მისი შედეგიც წინასწარ იყო დაგეგმილი.

სხვათა შორის, ჩვენს ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციით, ცნობილი კრიმინალის, "გიბონას" – გიორგი ელიზბარაშვილის მკვლელობის საქმე გუშინ შს მინისტრმა, კობა ნარჩემაშვილმა პირად კონტროლზე აიყვანა.

# ნარჩემაშვილის მორიგი რაუნდი

## 650-მა პოლიციელმა 11 ძებნილი აიყვანა და 25 ერთეული იარაღი ამოიღო

ზაზა წულაძე

***"ჩემს ოჯახს უცებ დაესხნენ თავს, დილის ხუთი ნახევარი იყო. ორი მანქანით იყვნენ, რვა კაცი, ნიღბებით, მეზობლის სახლთან გაჩერებულან. ჯერ ოჯახში შევარდნენ, სადაც ჩემს ორ ვაჟს, რძლებსა და ორ შვილიშვილს ეძინათ. ერთი ოთხი წლის არის, მეორე სულ პატარა - ხუთი თვის. აკვანში გვყავს. მესამე ბიჭს ეძებდნენ. სოსო რამდენიმე თვეა, ღამეს ბოსელში ათევს, ახლაც იქ იყო. ხმაურზე ადგა და გადახტა, ესროლეს და დაჭრეს. არ დამინახავს, ტყვია სად მოხვდა, ვეღარ მივუსწარი. სულ ცემა-ცემით წაიყვანეს. წასვლის წინ აივნის ქვეშ ერთი მჭიდი დაცალეს, ბავშვები ახლაც ვერ დავაწყნარე. მთელი სოფელი უთენია გარეთ ფეხშიშველა გამოვიდა, ერთი ამბავი იყო,"*** *– ასე დაიწყო გუშინდელი დილა ქვემოქვითელ არჩილ მეგრელიშვილის ოჯახში. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, გორის, გორის რაიონისა და ქარელის რაიონის ტერიტორიაზე გუშინ მთელი დღის მანძილზე მიმდინარეობდა ოპერაცია, კოდური სახელწოდებით - "ძებნილები, იარაღი, ნარკოტიკები და კონტრაბანდა". მორიგი სპეცღონისძიება დილის ხუთის ნახევარზე დაიწყო და მასში 650 პოლიციელი, შინაგანი ჯარის ნაწილი, სპეცრაზმი და ერთი ჯავშანტრანსპორტიორი იყო ჩართული.*

**"მთელი ღამის უძინარი ვარ, ყველანი ძალიან დავიღალეთ, ბიჭებმა საკმაოდ დიდი მუშაობა გასწიეს,"** – გვითხრა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა პაატა გომელაურმა, რომელიც ოპერაციის ხელმძღვანელი შტაბის წევრი იყო. შტაბი გორის შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობაში იყო განლაგებული და მას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ზურაბ ჩხაიძე ხელმძღვანელობდა.

**"გორის რაიონში ასეთი ღონისძიება ბოლოს, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1996 წლის მერე არ ჩატარებულა. მე მგონი, ძალიან კარგი შედეგები გვაქვს. ასეთი ღონისძიება აუცილებელი იყო, ხომ ხედავთ, კრიმინალური სამყარო რა დღეშია, გარეთ არ გაისვლება,"** – ოპერაციის შედეგებით კმაყოფილი იყო გორის შინაგან საქმეთა სამმართველოს ახალი უფროსი დავით ბუხრაძე, რომელიც სამი კვირაა, რაც ამ თანამდებობაზე დაინიშნა.



*შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი გორში.*



*ოპერაციის დროს დაკავებულები გორის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

650 პოლიციელისა და ნიღბიანი სპეცრაზმელების მიერ დაგებულ მახეში გუშინ 11 ძებნილი, ხუთი ავტომატი, ერთი კარაბინი, სამი გადაჭრილი თოფი, ერთი შაშხანა, ათი ხელყუმბარა, ერთი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი, ორი ყუმბართმტყორცნი, ორი ნაღმტყორცნი და დაუდგენელი რაოდენობის კონტრაბანდული ფქვილი გაება. **"ორ ძებნილს მკვლელობისთვის ვეძებდით, სამს - ქურდობისთვის, დანარჩენებს კიდევ სხვადასხვა დანაშაული აქვთ ჩადენილი, უმრავლესობას იარაღი ჰქონდა შენახული უკანონოდ. ყველანი საკუთარი სახლებიდან ავიყვანეთ, წინააღმდეგობა მხოლოდ 20 წლის სოსო მეგრელიშვილმა გაგვიწია. ის ქურდობისთვის იძებნებოდა, გაქცევა სცადა, არ დაგვემორჩილა, ვესროლეთ და ხელში დაიჭრა. საავადმყოფოში უკვე გვყავდა. ექიმის ნებართვით, ახლა წინასწარი დაკავების საკანში, სხვა დაკავებულებთან ერთად, იმყოფება,"** – გვაცნობა გორის კრიმინალური პოლიციის უფროსმა რეზო კლდიაშვილმა.

თერთმეტი ძებნილიდან დაკავების ფაქტს ერთადერთი დავით ტატიშვილი აპროტესტებს. მას 1997 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი მკვლელობა ბრალდება. **"რატომ დამიჭირეთ, გამაგებინეთ, როგორ უნდა მომეკლა 1997 წელს საქართველოში კაცი, როცა შვიდი წელი მოვიხადე ზაპოროჟიეში, უკრაინის ტერიტორიაზე მკვლელობისთვის. სამი თვის უკან გავთავისუფლდი და ჩამოვედი საქართველოში,"** – ათი წუთი უხსნიდა ტატიშვილი კრიმინალური პოლიციის უფროსს რეზო კლდიაშვილს. ტატიშვილის დაკავებას აპროტესტებს მისი ადვოკატი ზაზა გიგაურიც. **"მე ტატიშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ვითხოვ. ამ კაცს 97 წელს არავინ მოუკლავს, იმიტომ, რომ აქ ფიზიკურად არ იყო,"** – განაცხადა გიგაურმა. **"ყველაფერს გავარკვევთ, გამორიცხულია, ეს კაცი შემთხვევით დაგვეჭირა,"** – გვითხრა კლდიაშვილმა.

ოპერაცია თავად შინაგან საქმეთა მინისტრმა შეაჯამა, რომელიც 16 საათსა და 30 წუთზე ეწვია გორს და შედეგებს შთამბეჭდავი უწოდა. ნარჩემაშვილის მორიგი რაუნდი ამით დასრულდა. **"თუ საჭირო გახდა, სხვა რაუნდებიც გვექნება,"** – ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა მინისტრი.

# ნატახტარსა და ზუგდიდში დაკავებული იარაღის საქმეები გაერთიანდება

ინგა ალავიძე

ტყვარჩელის სასამართლომ სოხუმელ ლტოლვილს, თავდაცვის სამინისტროს მაიორს, გია მამარდაშვილს, რომელიც რამდენიმე დღის წინ ზუგდიდის საგუშაგოზე ძვიდარღირებული იარაღით - "სტრელა-2"-ით დააკავეს, სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

მამარდაშვილმა ზუგდიდის პროკურატურას პირველი ჩვენება დაკავების დღესვე ჩააბარა. მაიორის განცხადებით, იარაღი შემთხვევით იპოვა. კანონდამცველებმა დაკითხეს მამარდაშვილთან ერთად მანქანაში მყოფი მისი ნათესავი ქალბატონიც, პანკისელი ეთერ ალხანიშვილი. იარაღის შეძენის თაობაზე პროკურატურის მიერ დასმულ შეკითხვებს მან პასუხი ვერ გასცა.

ერთ კვირაში გია მამარდაშვილს, რომელიც იარაღის უკანონო შეძენა-გადაზიდვაშია ბრალდებული, ორთაჭალის ციხეში გადაიყვანენ. გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით, მამარდაშვილის საქმე გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის იმ გამომძიებლებმა ჩაიბარეს, რომლებიც ნატახტრის საქმეს იძიებენ. არადა, წესით, სამხედრო ოფიცრის, გია მამარდაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება მთავარ სამხედრო პროკურატურას უნდა ეწარმოებინა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მამარდაშვილის საქმის იმ ჯგუფისთვის გადაცემას, რომელიც ნატახტრის საქმითაა დაკავებული, სერიოზული საფუძველი ჰქონდა. ანუ, სავარაუდოდ, ამ ორ საქმეს ერთ საქმედ გაერთიანების პერსპექტივა ელის.

სამართალდამცველთა ვერსიით, ზუგდიდის საგუშაგოზე დაკავებულ და ნატახტრის საგუშაგოსთან ამოღებულ იარაღს შორის დამაკავშირებელი რგოლი, შესაძლოა, "ტყის ძმების" პარტიზანი მეთაურის, დათო შენგელიასა და შავი სამყაროს ავტორიტეტის, შაქრო კალაშოვის სახელები გახდეს. სწორედ ამ მიზეზის გამო მოხდა საქმის სამხედრო პროკურატურისთვის აცილება და გენერალური პროკურატურისთვის გადაცემა. სხვათა შორის, ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ვერსიას პროკურატურაში საკმაოდ სერიოზულად განიხილავენ.

გავრცელებული ინფორმაციით, სამხედრო მაიორის დაკავების ოპერაცია წინასწარ იყო დაგეგმილი. სპეციალურად ჩატარებულ რეიდზე გამოსული ძალოვანები გია მამარდაშვილის მანქანაში იარაღის არსებობის თაობაზე ინფორმაციას ფლობდნენ. სხვა შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის სამმართველოს უფროსის მოადგილეს მანქანის გაჩხრეკვას უბრალო ავტოინსპექტორი რომ ვერ შებედავდა, ფაქტია.

შეგახსენებთ, რომ ნატახტრის იარაღის საქმის ძიება თავის დროზე სწორედ სამხედრო პროკურატურამ დაიწყო და მოგვიანებით, გენერალური პროკურორის ბრძანებით, მის საგამოძიებო ნაწილს გადაეცა. გასულ კვირას გენერალური პროკურატურის სპეცკომისიამ, მთავარი სამხედრო პროკურორის მოთხოვნით, მისი უწყების საქმიანობის რევიზია დაიწყო. კომისიის მიერ შესასწავლ ბრალდებებს შორისაა კალაშოვის საქმის გაფუჭების ბრალდებაც.

# ციხიდან გაქცეული დამნაშავე მოსკოვში დააკავეს

მოსკოვში ქართველი დამნაშავე დააკავეს. დავით ზარნაძე, ციხიდან გაქცევის გამო, უკვე კარგა ხანია, იძებნებოდა. ასევე მოსკოვში, ოღონდ ორიოდ კვირის წინ, დააპატიმრეს მასთან ერთად ქუთაისის ციხიდან გაქცეული ბექა ნემსაძე. აღსანიშნავია, რომ ერთიც და მეორეც რუსეთის დედაქალაქში ყალბი პასპორტებით ცხოვრობდნენ. ზარნაძეს ვინმე ვიქტორ ლაღიძეზე გაცემული პასპორტი აღმოაჩნდა.

თავის დროზე ზარნაძე ყაჩაღობის ბრალდებით მოხვდა ქუთაისის მე-2 საპყრობილეში, სადაც მომავალი თანამონაწილეები: ბექა ნემსაძე, ზვიად სახანბერიძე და ილია მიქელაძე გაიცნო. ცხადია, არც ერთ მათგანს არ მოსწონდა ციხის გარემო და გაქცევაც ამიტომ გადაწყვიტეს. მათი გეგმა მარტივიც იყო და თავხედურიც: ოთხმა ახალგაზრდა დამნაშავემ მოტყუებით შეაღწია საპყრობილის უფროსის მოადგილის, ლევან ლევიძის კაბინეტში, იგი თვითნაკეთი დანების მუქარით მძევლად აიყვანა, ზეწრებით ხელები შეუკრა და საპყრობილის თანამშრომლებს ლევიძის სიცოცხლის ხელყოფით დაემუქრა. ბოროტმოქმედები საპყრობილის ცენტრალური კარიდან მძევალთან ერთად გაიქცნენ. მართალია, ლევან ლევიძე სულ რამდენიმე საათში გაათავისუფლეს, მაგრამ გაქცეულების დაკავება კარგა ხნის მანძილზე ვერ ხერხდებოდა. ჯერჯერობით ისევ იძებნებიან მიქელაძე და სახანბერიძე. დავით ზარნაძეს კი უახლოეს დღეებში საქართველოში ეტაპირება ელის.

# ვლადიკავკაზელი კრიმინალი თბილისში დააკავეს

თათია დავითაშვილი

ცნობილი ვლადიკავკაზელი კრიმინალური ავტორიტეტი, ოთხჯერ ნასამართლევი ვაჟა დუდაევი თბილისში მცხოვრები დედ-მამის მოსანახულებლად იყო ჩამოსული. იგი პოლიციამ მშობლების სახლშივე, კოსტავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავა. დუდაევს წინააღმდეგობა არ გაუწევია. მას იარაღიც კი არ აღმოაჩნდა. მსხვილმა კრიმინალმა ეს თბილისში მიმდინარე პოლიციური რეიდებით ახსნა – ქალაქში პოლიციელთა სიმრავლის გამო იარაღის ტარებას ვერიდებიო.

დაკავებულს ვლადიკავკაზის მილიცია კარგა ხანია, ეძებს. მას 2000 წლის 2 ოქტომბერს დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლის, შოთა ფილიევის მკვლელობა ბრალდება. თვით ფილიევი 1990 წლიდან განზრახ მკვლელობის ჩადენისთვის იძებნებოდა ნაძალადევის რაიონული პოლიციის მიერ. მოგვიანებით ქართველმა სამართალდამცველებმა შეიტყვეს, რომ ფილიევი ვლადიკავკაზის მილიციამ დაიჭირა. ამიტომ ქართველმა პოლიციელებმა მისი ძებნა შეწყვიტეს. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ იგი გაათავისუფლეს, სავარაუდოდ, დიდი ოდენობით ქრთამის გაღების შემდეგ. გათავისუფლებულმა ფილიევმა ბიზნესს მიჰყო ხელი. ვლადიკავკაზში იგი მეტად შემოსავლიან საწარმოებს – სპირტისა და ლიმონათის ქარხნებს ფლობდა. უკვე გაბიზნესმენებულმა ფილიევმა გაიცნო დუდაევი, რომელიც ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, ვინც ფილიევის დარეკეტებას ახერხებდა. დუდაევი მეწარმედ ქცეულ დამნაშავეს თავს დიდძალი თანხების გამოძალვის შემდეგაც არ ანებებდა. ერთ-ერთი გამოძალვის მცდელობისას კი მათ შორის სერიოზული შელაპარაკება მოხდა და დუდაევმა ფილიევი მოკლა. მკვლელობის მომენტში შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ დუდაევის მეგობრებიც, რომლებიც დღემდე იძებნებიან და გამოძიება მათი ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებს.

ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, დუდაევმა და მისმა თანამზრახველებმა ფილიევის გვამი დაწვეს.

ორი წლის მანძილზე ძებნილი დუდაევის დაკავების შესახებ უკვე ეცნობათ ვლადიკავკაზელ სამართალდამცველებს.

*სასამართლო დარბაზი*

# სასამართლო პროცესი შეურაცხადი განსასჯელის გარეშე

ხათუნა ჯანგირაშვილი

რამდენიმე თვის წინ უზენაეს სასამართლოსთან დატრიალებულ შემზარავ ოჯახურ ტრაგედიას საშინელი რეაქცია და დიდი მითქმამოთქმა მოჰყვა. მოულოდნელად მომხდარი მკვლელობის მომსწრენი მაშინვე ირწმუნებოდნენ, რომ ყოფილი ცოლისა და სიდედრის მკვლელი – 27 წლის კოტე დოლიძე ფსიქიურად შეშლილი იყო. იმ დღესვე ხალხში მკვლელობის მიზეზის სხვა ვერსიებიც გავრცელდა, რომლებიც, ძირითადად, ვარაუდებს ეყრდნობოდა. რამდენიმე თვის განმავლობაში წარმოებულმა გამოძიებამ კი უკვე თავისი თქვა და იმ ხალხის ეჭვები გაამართლა, რომლებსაც კოტე დოლიძე შეურაცხადად მიაჩნდათ.

ასათიანის სახელობის ფსიქიატრიული საავადმყოფოს საექსპერტო განყოფილების მიერ წინასწარი გამოძიებისას ჩატარებული დასკვნით, კოტე დოლიძე დაავადებულია ქრონიკული ფსიქიკური პარანოიით, ანუ შეურაცხადია.

ოჯახური ტრაგედია კი ასე დაიწყო:

კოტე დოლიძე და ვიტა ჯიმშელეიშვილი 1994 წელს შეუღლდნენ. ერთი წლის შემდეგ შეეძინათ ქალიშვილი, რომელთან ერთადაც რამდენიმე წლის განმავლობაში მოსკოვში ცხოვრობდნენ. თბილისში დაბრუნებულ ცოლ-ქმარს შორის ცოტა ხანში სიტუაცია დაიძაბა. ყოველდღიური კონფლიქტებითა და უსიამოვნებებით თავმობეზრებულმა ვიტა ჯიმშელეიშვილმა ქმარი მიატოვა და, შვილთან ერთად, საცხოვრებლად დედის ბინაში გადავიდა. ცოლ-ქმრის კონფლიქტში სიდედრიც აქტიურად ჩაერთო და ოჯახური სიტუაცია ნელ-ნელა კიდევ უფრო დაიძაბა.

მეუღლეზე განაწყენებულმა კოტე დოლიძემ ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიმართა, ცოლთან განქორწინებისა და მისთვის დედობის უფლების ჩამორთმევის სარჩელით. ხოლო ვიტა დოლიძემ, შეგებებული სარჩელით, მოპასუხისთვის – ქმრისთვის -- მამობის უფლების ჩამორთმევა მოსთხოვა მართლმსაჯულებას. ვაკე-საბურთალოს სასამართლომ კოტე დოლიძეს მცირეწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა – თვეში ასი ლარი დააკისრა. მეუღლისთვის დედობის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნა კოტე დოლიძეს სასამართლომ არ დაუკმაყოფილა, რის გამოც მან საოლქოს სააპელაციო პალატაში ახალი საჩივარი შეიტანა, რომლის მიხედვითაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა. სააპელაციო პალატის მიერ მიღებულმა იდენტურმა გადაწყვეტილებამ კოტე დოლიძე ახლა იმავე მოთხოვნით უზენაესის საკასაციო პალატაში მიიყვანა.

საშინელი მკვლელობა სწორედ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის საბოლოო გადაწყვეტილებას მოჰყვა. სამოქალაქო სარჩელით დაწყებული ოჯახური კონფლიქტი სასამართლოს შენობასთან მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულით დასრულდა. სასამართლოსგან უარით განრისხებულმა კოტე დოლიძემ, პროცესის დამთავრების შემდეგ, იქვე, უზენაესი სასამართლოს შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა მასთან უკვე კანონიერად განქორწინებული ცოლი და სიდედრი, მძიმედ დაჭრილი სიმამრი კი სიკვდილს გადაურჩა.

კოტე დოლიძე პოლიციამ მომხდარიდან რამდენიმე წუთში იქვე ახლოს, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში დააკავა.

ორი დღის წინ კოტე დოლიძე სასამართლო გამოძიებამ დახურულ პროცესზე დაკითხა. როგორც შეურაცხადი, მისი დასწრება სასამართლომ აუცილებლობად არ მიიჩნია და გუშინდელმა პროცესმა განსასჯელის გარეშე ჩაიარა.

ქალაქის პროკურატურამ, რომელმაც მკვლელობის საქმე გამოიძია, სასამართლოში გადაგზავნილი საბრალდებო დასკვნით, განსასჯელისთვის იძულებითი სამედიცინო მკურნალობა მოითხოვა. მოსამართლე იური ტაბუცაძემ საქმის დეტალები საეჭვოდ მიიჩნია და ყველასთვის მოულოდნელად დედა-შვილის მკვლელობის საქმე, განჩინებით, ხელახალი გამოძიებისთვის გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.

# ვისია ფუნიკულიორის პლატო

## „თბილისი სიტი“ მთაწმინდაზე კაზინოს აშენებას აპირებს

პირველი გვერდიდან

მთაწმინდის პლატოს შენობები სამოქალაქო ომის პერიოდში, სატელევიზიო ანძისთვის გამართული ბრძოლებისას დაზიანდა და გაიძარცვა. პლატოს მთავარი ნაგებობის - რესტორან "მთაწმინდა"-ს საწყობის კედელი "ბეტეერით" შეანგრიეს და იქიდან ადმინისტრაციის მიერ სახელდახელოდ გადამალული ავეჯი, ჭურჭელი და სხვა ძვირფასი ნივთები დაიტაცეს. პლანეტარიუმის ავეჯი იანვრის სუსხში გათოშილმა მეომრებმა შეშად დაჩეხეს. ომის დასასრულს გამარჯვებული, "ბეტეერებზე" ამხედრებული ოპოზიცია მოჭარბებული სიხარულისგან პარკის ნარგავებს ეკვეთა, ბრძოლის გაუნელებელი ჟინი კი ციყვების ხოცვით დაიცხრო.

მას შემდეგ ათი წელი გავიდა, პლატოს მთავარი შენობები კი არ შეკეთებულა. რესტორანი "მთაწმინდა" - სტალინის ეპოქის არქიტექტურის ნიმუში, რომელიც 60-იან წლებში კოკა იგნატოვის შედევრით დამშვენდა, დღესაც სავსეა ნამსხვრევებით და სამშენებლო ნაგვით.

პლატოს გაძარცული შენობების ფონზე, სრულიად საპირისპიროდ გამოიყურება მოვლილი პარკი, მოსასვენებელი სკამებითა და შადრევნებით, რომელიც წლის ყველა სეზონზე ცარიელია - მისასვლელი გზებისა და გართობა-დასვენებისთვის განკუთვნილი კომპლექსის გაჩანაგების მიზეზით, ფუნიკულიორის პლატო თითქმის ამოიშალა თბილისელთა მეხსიერებიდან.

მუნიციპალიტეტის მესვეურთა განცხადებით, ქალაქის ბიუჯეტს მთაწმინდის პლატოსკენ მისასვლელი გზების მოსაწყობად აუცილებელი თანხები არ გააჩნია. მერიის ბაგირგზების სამსახური სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად მსოფლიო ბანკიდან ცდილობს კრედიტის მიღებას.

თავად მთაწმინდის პლატო და რესტორნის შენობა ქალაქის თავკაცთა ნება-სურვილით გასხვისდა და დღეს კომპანია "მთაწმინდის პლატოს" საკუთრება გახლავთ.

1996 წელს დაფუძნებულ კომპანიას პლატოსთან დაკავშირებით გრანდიოზული გეგმები აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, კომპანიის მესვეურთა თვალსაწიერი კაზინოებისა და ბიზნეს-ცენტრების სფეროს ვერ სცილდება.

კომპანიის დამფუძნებლები არიან, ერთის მხრივ, სააქციო საზოგადოება "თბილისი სიტი", რომელმაც შვილობილი კომპანიის საწესდებო კაპიტალში ქონებრივი შენატანის სახით მთაწმინდის პლატო და რესტორნის შენობა ჩადო, მეორეს მხრივ კი, ვაშინგტონის შტატში რეგისტრირებული ფირმა "Bob Walsh Enterprise Inc.", რომელსაც მავანნი "თბილისი სიტის" მესვეურთა შავი ფულის გასარეცხ კომპანიად მიიჩნევენ.

სადამფუძნებლო ხელშეკრულებით, ბობ უოლშის ფირმას აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად თანხების მოზიდვა და რესტორნის, კაზინოსა და ბიზნეს-ცენტრების საექსპლუატაციოდ მომზადება ევალება, თავად სს "მთაწმინდის პლატოს" ხელმძღვანელებს კი, სამუშაოების დასრულების შემდგომ, - კომპლექსის საკუთრებაში აღება და მართვა.

კომპანიის დაფუძნებიდან რვა წელმა განვლო, მაგრამ ამ ხნის მანძილზე სახალხო სეირნობისთვის განკუთვნილი ტყე-პარკის ძვირადღირებულ გასართობ კომპლექსად გადაქცევა ვერ მოხერხდა. ამის მიზეზი რესტორნის შენობის პრივატიზაციასთან დაკავშირებით დაწყებული სასამართლო დავა გახლავთ: 1999 წელს სახაზინო საწარმო "მთაწმინდის პარკის" გენ. დირექტორმა, თემურ კიკნაძემ და რესტორნის ყოფილმა დირექტორმა, ივანე ასათიანმა სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების ინტერესების შელახვის გამო, ორივე საზოგადოების - "თბილისი სიტისა" და "მთაწმინდის პლატოს" რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვეს.

სს "თბილისი სიტი" 1993 წელს, საქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილებით დაფუძნდა - თბილისის ბრძოლების დროს დაზიანებული შენობების კერძო კაპიტალის მოზიდვის საშუალებით აღსადგენად. ამ პერიოდში ქალაქის მერი კოტე გაბაშვილი გახლდათ. სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად სოლიდური სახსრები იყო საჭირო, ომში ჩართულ ქვეყანას კი ბიუჯეტის კანონი არ გააჩნდა.

მერიამ ახლად დაფუძნებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალში, ქონებრივი შენატანის სახით, დედაქალაქის ცენტრალური ტერიტორიები ჩადო: თავისუფლების მოედანზე დამწვარი საცხოვრებელი სახლების ტერიტორია, სასტუმრო "თბილისი", "მხატვრის სახლი", ვორონცოვის მოედანი, მარჯანიშვილის ქუჩის ნაწილი - მოედნიდან ძველ უნივერმაღამდე, ფუნიკულიორის პლატო და რესტორანი "მთაწმინდა" - მთელი ეს ქონება საზოგადოებას ოცწლიანი სარგებლობის უფლებით გადაეცა.

"სიტის" დამფუძნებელთა სიაში, მუნიციპალიტეტის მოხელეთა გარდა, ფიგურირებენ პრეზიდენტის ძმისწული ნუგზარ შევარდნაძე, ცეკავშირის ყოფილი ხელმძღვანელი რესან კონცელიძე - შვილთან ერთად, "საქმინხილწყლის" ყოფილი ხელმძღვანელი გურამ ახრახაძე, ყოფილი ვიცე-პრემიერი, კონცერნ "კავკასიის" მფლობელი ამირან ქადაგიშვილი და სხვანი – ძირითადად ის ადამიანები, ვისაც სოლიდური კაპიტალი და მძლავრი სახელისუფლო კავშირები ჰქონდათ.

უნდა ითქვას, რომ "სიტის" დაფუძნების შემდეგ, ომის დროს გაპარტახებული ქონების მოვლა-პატრონობის სურვილი, ზემოჩამოთვლილ პირთა გარდა, მწერალთა ჯგუფსაც გაუჩნდა გიზო ნიშნიანიძის ხელმძღვანელობით. მათ მერიას მთაწმინდის პლატოს აღორძინების საზოგადოების შექმნის წინადადებით მიმართეს. პლატო და რესტორანი ამჯერად მწერალთა ორგანიზაციის მფლობელობაში უნდა გადასულიყო, მაგრამ საზოგადოების დაფუძნება ვეღარ მოხერხდა.

1995 წელს თბილისის ახალმა მერმა, ნიკო ლეკიშვილმა, მთაწმინდის პარკის გენერალურ დირექტორად მუსიკოსი თემურ კიკნაძე დანიშნა, რომელიც პრეზიდენტის სამდივნოს უფროსის, ცისანა ბერიძის მაზლი გახლავთ. ბ-ნი თემური თავის მნიშვნელოვან დამსახურებად პლატოდან სამხედრო ტექნიკის გატანასა და "წამლის" ხარშვით დაკავებული არაფორმალების ნაცვლად, პარკის ობიექტების დასაცავად შინაგანი ჯარის ნაწილის ჩაყენებას მიიჩნევს.

ლეკიშვილმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმად პლატოზე მდებარე შენობები ამჯერად "მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკის" ბალანსზე უნდა გადასულიყო, მაგრამ მორიგმა მერმა, ბადრი შოშიტაიშვილმა, თავისი წინამორბედის ყველა აქტი, რომელიც პარკთან იყო დაკავშირებული, გააუქმა (სხვათა შორის, ბადრი შოშიტაიშვილი წარმატებით უთავსებდა ერთმანეთს კანონით შეუთავსებელ საჯარო სამსახურსა და კერძო სამართლის სუბიექტის - "თბილისი სიტის" პრეზიდენტობას).

ცოტა ხანში, "სიტის" პრეზიდენტის სტატუსით, შოშიტაიშვილმა ხელი მოაწერა სს "მთაწმინდის პლატოს" სადამფუძნებლო ხელშეკრულებას, რომლის თანახმად პლატო და რესტორანი ახალ საზოგადოებას გადაეცა - თანაც საკუთრების უფლებით!





ბესო გულაშვილის ფოტოები

თითქმის იმავდროულად რეგისტრაცია გაიარა სახაზინო საწარმო "მთაწმინდის პარკმა", რომელსაც პარკის შენობები, რესტორნის ჩათვლით, სამეურნეო გამგებლობაში გადაეცა.

იმავე პერიოდში ხელმეორე რეგისტრაცია გაიარა "თბილისი სიტიმ", რის შედეგადაც საზოგადოებას ოცწლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემული სახელმწიფო ქონება საკუთრებაში დაუმტკიცდა - დედაქალაქის ცენტრალური ტერიტორიები, სრულიად უსასყიდლოდ, კერძო ხელში გადავიდა. სახელმწიფო, მუნიციპალიტეტის სახით, კომპანიაში მხოლოდ მეწილის სტატუსით დარჩა, რომელიც, წილის პროცენტის შესაბამისად, საზოგადოების მოგებიდან დივიდენდებს მიიღებს.

კონტროლის პალატამ "სიტის" დაფუძნებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებით ძალზე მკაცრი დასკვნა გააკეთა - სახელმწიფო ქონების უკანონო პრივატიზება, თუმცა, ხელისუფლებას პალატის დასკვნისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებას, "სიტისთან" მიმართებაში, ყურადღება არ მიუქცევია ერთი ძალზე მნიშვნელოვანი კანონდარღვევისთვისაც: პრივატიზაციის შესახებ კანონის თანახმად, პარკების გასხვისება აკრძალულია. სიტის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ "მთაწმინდის პლატო" არ გულისხმობს ტყე-პარკს, თუმცა, თემურ კიკნაძე ვარაუდობს, რომ სამომავლოდ "პლატოს" არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდება და პარკსაც მოიცავს.

1996 წელს, მოქიშპე ორგანიზაციებს შორის სარეგისტრაციო დოლის შედეგად, პლატოსა და რესტორანს ერთდროულად ორი მფლობელი აღმოუჩნდა: სახაზინო საწარმო "მთაწმინდის პარკი" და სააქციო საზოგადოება "მთაწმინდის პლატო". სამი წლის შემდეგ, პარკის დირექტორმა, თემურ კიკნაძემ და რესტორნის ყოფილმა დირექტორმა, ივანე ასათიანმა რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს "თბილისი სიტისა" და "მთაწმინდის პლატოს" გაუქმების მოთხოვნით. მოსარჩელეთა ინტერესების დაცვა კორძაძისა და სვანიძის საადვოკატო ფირმამ ითავა. დავამ სამივე ინსტანციის სასამართლო გაიარა და ორიოდ კვირის წინ უზენაეს სასამართლოში დასრულდა. სამივე ინსტანციის სასამართლოში თემიდას სასწორი "სიტისა" და მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გადაიხარა. კიკნაძის ადვოკატის, დიმიტრი გაბუნიას სიტყვით, მას პროცესის მოგების არანაირი ილუზია არ ჰქონია: "სიტიში" მძლავრი სახელისუფლო ინტერესებია, ამიტომ კომპანიების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას არც ველოდით. ფაქტია - სასამართლომ უკანონობა დააკანონა," - ამბობს გაბუნია.

"სიტისთან" ბრძოლაში კიკნაძეს ვერც საკუთარი რძლის სახელისუფლო კავშირებმა უშველა. მიუხედავად ამისა, კიკნაძე ფარ-ხმალს არ ყრის და "სიტის" წინააღმდეგ სასამართლო ბრძოლის მორიგი რაუნდისთვის ემზადება. ამჯერად - ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, კულტურის ძეგლთა რეესტრში შესული მთაწმინდის პარკი და რესტორნის შენობა პრივატიზაციას არ ექვემდებარება და მოვლა-პატრონობისთვის უკვე შპს-დ რეგისტრირებულ "მთაწმინდის პარკს" მფლობელობაში გადაეცემა. ხელშეკრულება, მხარეების უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრისას, ეყრდნობა კანონს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, დეპარტამენტის თანხმობის გარეშე იკრძალება ძეგლთა გადაკეთება და მიწის სამუშაოების ჩატარება, არადა, კომპანია "მთაწმინდის პლატოს" მესვეურები სასამართლო პროცესის დამთავრების შემდგომ უკვე თავიანთი იდეების განხორციელების, ანუ პლატოზე კაზინო-რესტორნების მშენებლობისთვის ემზადებიან.

უნდა ითქვას, რომ პლატოს მოწყობასთან დაკავშირებით არსებობს სხვა, ასევე სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული, მაგრამ უფრო მასშტაბური პროექტიც: მთაწმინდის პარკში 10 კვადრატული კმ-ის ფართზე თბილისური ლასვეგასის აშენება. ეს იდეა არქიტექტორ გიორგი ჩახვაძეს - საგზაო დეპარტამენტის ნიუ-იორკში პრემირებული შენობის, ე.წ. "კროსვორდის" ავტორს ეკუთვნის. ამ ჩანაფიქრის განხორციელებას, წესით, პარკის გაჩეხვა უნდა მოჰყვეს. შთამბეჭდავია პროექტის ღირებულებაც: 3 მილიარდი დოლარი, რაც, ჩვენი სინამდვილის გათვალისწინებით, ქართული ლას-ვეგასის იდეას უფრო არქიტექტურული უტოპიის ელფერს ანიჭებს. ასე რომ, უნდა ვივარაუდოთ, ტყე-პარკი გადარჩება, მაგრამ საკითხავია, კეთილმოწყობის შემდეგ რამდენად მისაწვდომი იქნება პარკში გართობა-დასვენება რიგითი მოქალაქისთვის?!

მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი დავით ოქიტაშვილი ამერიკელ ინვესტორთან აწარმოებს მოლაპარაკებებს პლატოზე რვაბილიკიანი ბოულინგ-ცენტრის ასაშენებლად.

პლატოს ამუშავებასთან დაკავშირებით შედარებით მოკრძალებული იდეები აქვს თემურ კიკნაძეს: ატრაქციონები და კაფე-რესტორნები. ისიც, მერიის მსგავსად, ინვესტორის მოყვანას აპირებს - ოღონდ, პარკის შენობების გარდა, საბაგიროსა და ფუნიკულიორის აღდგენის პირობით.

პლატოზე, მუნიციპალიტეტისა და "სიტის" პროექტების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც სათამაშო ბიზნესისა და სასტუმროების ფარგლებს ვერ სცილდება, მთაწმინდის პარკში გართობა-დასვენება, მომსახურების სიძვირის გამო, თბილისელთა უმრავლესობისთვის სრულიად მიუწვდომელი იქნება. აშკარაა - ხელისუფლება ძალღონეს არ ზოგავს მოსახლეობისთვის სუფთა ჰაერისა და სასეირნო ადგილების მოსასპობად, ასეთი ადგილების სასტუმროებისა და ძვირადღირებული გასართობი კომპლექსების დახურულ ზონებად გადასაქცევად: "კომკავშირის ხეივნის" შესასვლელში სასტუმროს აშენებენ, ოქროყანის სტადიონზე დამკვრელური ტემპით მიმდინარეობს მშენებლობა, ბაზალეთის ტბის ნაპირას კაზინოების კომპლექსი კეთდება. უახლოეს მომავალში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამა ქვეყნის ძლიერნი მისაკუთრებულ მთაწმინდასაც თავიანთი შეხედულებებისამებრ გადააკეთებენ. და რაც ყველაზე სამწუხაროა, ხელისუფალთა მსგავსად, თავად ხალხსაც აღარ ახსოვს, რომ მთაწმინდის პარკი მათი - ანუ ხალხის საკუთრებაა.

# რას გვპირდება ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი?

პირველი გვერდიდან

*პროექტით უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებების დაცვა, საგადასახადო ადმინისტრაცია მოქცეულია მკაცრ ჩარჩოებში, დეტალურადაა აღწერილი გადასახადის გადამხდელისა და საგადასახადო ადმინისტრაციის ურთიერთობის წესები და საგადასახადო ადმინისტრაციის ვალდებულებები. საგადასახადო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს არ ექნებათ არც შესაძლებლობა და არც მოტივი, გასცდნენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც დადგენილია კოდექსის პროექტით.*

*გადასახადის გადამხდელები მკაცრად ისჯებიან საგადასახადო ვალდებულებების თუნდაც მცირე დარღვევისათვის. სასჯელის სიმკაცრე განპირობებულია არა მხოლოდ ფისკალური მოტივებით, არამედ საერთო სამართლებრივი და მორალური პრინციპებით: სახელმწიფოს კონსტიტუციური ფუნქციების აღსრულების დაფინანსება არ შეიძლება იყოს გადასახადის გადამხდელთა მხოლოდ ერთი ნაწილის ვალდებულება.*

*თავის მხრივ, ადმინისტრაციის წარმომადგენლები მკაცრად ისჯებიან საგადასახადო გადასახადის გადამხდელის უფლებების შელახვისათვის. გადასახადის გადამხდელის წინაშე ფინანსური პასუხისმგებლობა ეკისრება თვით საგადასახადო ადმინისტრაციასაც. გადასახადის გადამხდელისა და საგადასახადო ადმინისტრაციის ფინანსური პასუხისმგებლობა თანაზომადია.*

*პროექტით გადამხდელის საქმიანობის შემოწმება დაიშვება მხოლოდ მისი თანხმობით, ან სათანადოდ არგუმენტირებული სარჩელის საფუძველზე - სასამართლოს ნებართვით, კონკრეტული შესამოწმებელი საკითხების მითითებით და შემოწმების ვადების დაწესებით. ეს გადამხდელს თავიდან აცილებს ადმინისტრაციის გაუთავებელ "ვიზიტებს", რომელსაც, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის გამოძალვის მიზანი აქვს.*

*გარდა ამისა, ეს არის ბინადრობისა და საქმიანობის ადგილის ხელშეუვალობის კონსტიტუციური პრინციპის დაცვისა და, დღევანდელ პირობებში, მეწარმეობის განვითარების აუცილებელი პირობა. შემოწმებისას მკაცრად ისჯება საგადასახადო ადმინისტრაციის მიერ თავისი ვალდებულებების დარღვევა, ხოლო შემოწმების შედეგად გადამხდელის მიერ გაღებული ხარჯები და შემოწმებით მიყენებული ზიანი ყველა შემთხვევაში ანაზღაურდება. ასეთ პირობებში საგადასახადო ადმინისტრაციას დაეკარგება გადასახადის გადამხდელის "შეწუხების" ხალისი.*

*მოქმედი კოდექსით აღიარებულია გადასახადის გადამხდელის არაკეთილსინდისიერების პრეზუმფცია; წინასწარ იგულისხმება, რომ გადასახადის გადამხდელი დამრღვევია. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარეობს გადასახადის გადამხდელისათვის მტკიცების ვალდებულების დაკისრების ნორმა.*

*პროექტით საწინააღმდეგო პრინციპია დადგენილი. ითვლება, რომ გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ვალდებულებებს ასრულებს კეთილსინდისიერად, თუ კანონმდებლობით დადგენილი წესით არ დამტკიცდება საწინააღმდეგო. შესაბამისად, მტკიცების ვალდებულება ეკისრება მოსარჩელეს, ანუ საგადასახადო ადმინისტრაციამ უნდა დაუმტკიცოს გადასახადის გადამხდელს, რომ მან არ გადაიხადა გადასახადი და დაარღვია სხვა საგადასახადო ვალდებულება. შესაბამისად, საგადასახადო ადმინისტრაცია კარგავს ფინანსური სანქციასაურავების გადამხდელისათვის დაკისრების უფლებას.*

*დღეს მოქმედი კოდექსით საგადასახადო დავების გადაწყვეტა მხოლოდ საერთო სასამართლოს კომპეტენციაა. მოუქნელი, ძვირადღირებული და ხანგრძლივი პროცესი აზარალებს როგორც გადასახადის გადამხდელს, ისე - სახელმწიფოს.*

*პროექტის შესაბამისად, იცვლება საგადასახადო დავების გადაწყვეტის სისტემა. დავის გადაწყვეტის უფლებამოსილება ენიჭება ნდობის საბჭოს (რომელსაც პარიტეტულ საწყისებზე ქმნიან მოდავე მხარეები), მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს და საერთო სასამართლოს. სხვადასხვა მეთოდით სტიმულირებულია დავის სწრაფად და სამართლიანად გადაწყვეტა.*

*მოქმედი კოდექსით საგადასახადო ტვირთი იმდენად მძიმეა, რომ არ არსებობს ლეგალური საქმიანობის მოტივაცია. დღეს არსებული პროექტით რჩება ოთხი გადასახადი: ა) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საშემოსავლო; ბ) დამატებული ღირებულების; გ) ქონების (მოიცავს მიწის, უძრავი ქონების, იურიდიულ პირთა ქონებისა და რეგისტრაციას დაქვემდებარებული სხვა მოძრავი ქონების გადასახადს) გადასახადები და დ) აქციზი.*

*საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების განაკვეთები შემცირებულია. ქონების გადასახადში შემოღებულია გადასახადის ზედა ზღვარი და ამ ფარგლებში ოდენობის დადგენის უფლება ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ფუნქციური დანიშნულების, ტერიტორიული, მოსახლეობის სიმჭიდროვისა და სხვა მაჩვენებლების საფუძველზე. ეს აძლევს საშუალებას ადგილობრივ თვითმმართველობას, აქტიური საქმიანობისათვის უფრო მარტივად და მყარ საფუძველზე დაყრდნობით დაგეგმოს თავისი ბიუჯეტი. ამ გადასახადით ადგილობრივი თვითმმართველობა პირდაპირაა დამოკიდებული საკუთარ ტერიტორიაზე ადამიანების მიერ მიღებულ შემოსავლებზე, მათ შესაძლებლობებზე. ეს თვითმმართველობას აძლევს სტიმულს, შეარჩიოს ისეთი საგადასახადო განაკვეთები, რომლებიც არც გადამხდელს დაჩაგრავს და არც თვითმმართველობის საქმიანობას ჩაშლის.*

*ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადში შემოღებულია ინდივიდუალური (10 პროცენტი, გამოქვითვების უფლების გარეშე) და საოჯახო დაბეგვრის (15 პროცენტი გამოქვითვების უფლებით) რეჟიმები. გამოქვითვები ეხება ოჯახის წევრთა საარსებო მინიმუმს, მკურნალობის, განათლების, დაზღვევის, საყოფაცხოვრებო კრედიტების და სხვა ხარჯებს.*

*დამატებული ღირებულების გადასახადში მოხსნილია ჩათვლის მექანიზმი (შესაბამისად - მკაცრი აღრიცხვის ანგარიშ-ფაქტურის საჭიროება). ყველა გადამხდელი ამ გადასახადს იხდის მხოლოდ მის მიერ დამატებული ახალი ღირებულებიდან, ხოლო განაკვეთია ამ ღირებულების 15 პროცენტი (არსებული 20 პროცენტის ნაცვლად). დღეს მოქმედმა და პროექტით შემოთავაზებულმა სისტემამ იდეალურ მდგომარეობაში ერთნაირი შედეგი უნდა მოგვცეს, მაგრამ დღევანდელი კოდექსით დღეს 16,67 პროცენტიანი ბრუნვის გადასახადია, ხოლო გადამხდელი პასუხს აგებს მისი მომწოდებლის მიერ ჩადენილ დარღვევებზე, ამიტომ ეზრდება საგადასახადო ტვირთი, რაც დამატებითი სტიმულია ბიზნესის "დაჩრდილვისთვის". შემოთავაზებული სისტემით გადამხდელს ეს პასუხისმგებლობა ეხსნება, საშუალება ეძლევა, იმოქმედოს კეთილსინდისიერად და დამოუკიდებლად.*

*პროექტით უარყოფილია გადასახადების მთელი რიგი, მათ შორის - სოციალური გადასახადი. პირდაპირ უნდა ითქვას: ეს არის ყველაზე მძიმე ტვირთი გადამხდელისთვის, ბევრი გაუგებრობისა და შემოსავლების დამალვის მიზეზი. შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება უნდა მოხდეს ბიუჯეტიდან სხვა გადასახადების ხარჯზე. ეს უფრო ეფექტურად უზრუნველყოფს პენსიების გაცემას. სპეციალური გადასახადების არსებობა არაფერს, გარდა კორუფციისა, არ იძლევა და პენსიონერებიც თითქმის ვერაფერს იღებენ.*

*და ბოლოს, საგადასახადო კოდექსის ახალი პროექტით ჩვენ გვსურს შევცვალოთ ბევრი რამ:*

*კოდექსის ამოქმედების შემდეგ მდგომარეობას გადასახადის გადამხდელი აკონტროლებს, ამის შესაძლებლობა მას უკვე გააჩნია.*

*უბრალო ადამიანებს კი დარჩებათ მეტი თავისუფალი სახსრები, რათა თვითონ უფრო ეფექტიანად განკარგონ ეს თანხები.*

*ადგილობრივი და უცხოელი ბიზნესმენები კმაყოფილნი უნდა დარჩნენ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებით, ცხოვრების გაადვილებით, საქმიანობის ლეგალიზაციის შესაძლებლობით და, საერთოდ, კერძო საქმის ადვილად წარმართვის პირობებით.*

*ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მოტივი კოდექსის ახალი მოდელის შექმნისა იყო ის, რომ უამრავი ქართველი უცხოეთში აკეთებს ფულს, რადგანაც იქ უკეთესი პირობებია. ჩვენი მიზანია, დავაბრუნოთ ისინი, შევუქმნათ მათ უკეთესი პირობები აქ - საქართველოში.*

*კოდექსის ერთ-ერთი უპირატესობაა მასში არსებული უამრავი ანტიკორუფციული დებულება, ქრთამის აღების, გამოძალვის პრევენციისა და შესაძლებლობის შემცირება. თავისთავად მცირე საგადასახადო ტვირთის არსებობა ქმნის იმის პირობებს, რომ გადამხდელს არ უღირდეს ინსპექტორის მოქრთამვა.*

კოდექსის პროექტის განხილვისას ისმის ორი მთავარი კითხვა, რომელთაც აქვე მოკლედ ვუპასუხებთ.

რა ეშველება ბიუჯეტს, ასე ხომ იქ ფული აღარ შევა?

ასეთ პირობებში როგორ იმუშავებს საგადასახადო ადმინისტრაცია?

პირველ კითხვაზე ასე ვუპასუხებთ:

აშკარაა, რომ დღეს გადასახადის გადამხდელი იხდის საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადის მცირე ნაწილს, დანარჩენს მალავს და იყენებს ქრთამისათვის, ადმინისტრირების გამკაცრება ვერ შეცვლის არსებულ მდგომარეობას. ამიტომ უმჯობესია, რომ გადასახადის გადამხდელმა გადაიხადოს თუნდაც ცოტა (ის, რის გადასახდელადაც იგი მზადაა), ოღონდ ლეგალურად, ოფიციალურად და ღირსეულად. საბიუჯეტო შემოსავლები ამით არ დაიკლებს, სამაგიეროდ, ასპარეზზე დავაბრუნებთ არალეგალებს, უცხოეთში გახიზნულებს და არსებული კოდექსით დაშინებულებს. ეს აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ეკონომიკა აღორძინდეს, ხოლო ბიუჯეტის შევსება ეკონომიკის განვითარების გარდაუვალი შედეგი იქნება.

მეორე კითხვაზე პასუხი უფრო მარტივია.

ვინც ახალი კოდექსით ვერ იმუშავებს, აშკარა იქნება, რომ მას არ გააჩნია სათანადო ინტელექტუალური შესაძლებლობა. ამიტომ მათ ნაცვლად საგადასახადო ადმინისტრაციაში უნდა მოვიდნენ (მაღალი ლეგალური ანაზღაურების პირობით) ის პირები, რომლებსაც გადასახადის გადამხდელთან ურთიერთობა მხოლოდ კანონის ფარგლებში შეეძლებათ.

ვინც ფიქრობს, რომ საგადასახადო კოდექსი (და, საერთოდ, კანონები) მხოლოდ ჩინოვნიკების ინტერესებისათვის არსებობს, ისინი, რბილად რომ ვთქვათ, ცდებიან. ბიუჯეტის შესრულებაზე მხოლოდ ჩინოვნიკები ღელავენ; ჩვენ კი ვთვლით, რომ პირველ რიგში გვჭირდება ეკონომიკური განვითარება, რასაც უზრუნველყოფს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი (რამდენიმე მომიჯნავე საკანონმდებლო აქტთან ერთად), ხოლო სავსე ბიუჯეტი, რა თქმა უნდა, იქნება ეკონომიკური განვითარების შედეგი.

ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი განთავსებულია ინტერნეტში: www.gedi.ge

www.24hours.ge
24
B



REUTERS



REUTERS



# ქართული „მორიელი" ინგლისში პარტნიორს პოულობს

## 11 სექტემბრის ექო „ფარნბოროს" ავიასალონზე

სოფიკო ოხანაშვილი

28 ივლისს დამთავრდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, ბრიტანეთის საერთაშორისო ავიასალონის, "ფარნბოროს" ტრადიციული ავიაგამოფენა. წინასწარმეტყველება გამართლდა: 2002 წელს გამართულმა ავიაშოუმ "ფარნბოროსათვის" უჩვეულოდ წყნარ სიტუაციაში ჩაიარა. ერთმა რუსმა ექსპერტმა, რომელიც ავიაგამოფენის გახსნას დაესწრო, "ფარნბოროს" საავიაციო-კოსმოსურ ავისალონს ასეთი შეფასება მისცა: "ღარიბულად, მაგრამ სუფთად." წლევანდელი გამოფენა ბრიტანულმა ტელეკომპანია BBC-იმ 2000 წლის ავიაშოუს სუსტ აჩრდილს შეადარა. ამას ავიაგამოფენის ორგანიზატორებიც ადასტურებენ. ასევე გამართლდა ის მოსაზრებაც, რომ 2000 წელს მიღწეული რეკორდი კვლავ რეკორდად დარჩებოდა (იმ წელს გამართული გამოფენის დროს 52 მილიარდი ამერიკული დოლარის ღირებულების კონტრაქტები გაფორმდა).

წელს "ფარნბოროს" საავიაციო-კოსმოსურმა გამოფენამ მსხვილი საქმიანი გარიგებების გარეშე ჩაიარა. მსოფლიოში სამოქალაქო თვითმფრინავების წამყვანმა მწარმოებლებმა – ამერიკულმა კომპანიამ Boeing-მა და ევროპულმა კონცერნმა Airbus-მა – სულ რამდენიმე თვითმფრინავი გაყიდეს. სამაგიეროდ, შოუს ორგანიზატორები სხვა მიღწევებით იმშვიდებდნენ თავს. მიუხედავად იმისა, რომ 2002 წლის ავიასალონმა ვერ გაიმეორა წინა გამოფენის რეკორდი, მან საზოგადოებას და პოტენციურ მყიდველებს საინტერესო სიახლეები შესთავაზა. ავიაგამოფენაში რამდენიმე თვითმფრინავის პრეზენტაცია მოეწყო. ახალი თვითმფრინავები, ძირითადად, საბრძოლო ტიპის იყო. მათ შორის ახალი Eurofighter Typhoon-ის პრეზენტაცია შედგა, რომლის წარმოება 2002 წლის აპრილში დაიწყო. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ წლევანდელ ავიაგამოფენაზე არც სამხედრო კონტრაქტების სიმრავლე იქნებოდა. მათი მოსაზრება გამართლდა კიდეც, თუმცა სამხედრო ქარხნებს უფრო მეტად გაუმართლათ, ვიდრე სამოქალაქო ავიაციას.

"ფარნბოროს" საავიაციო-კოსმოსურ გამოფენაზე საზოგადოებამ პირველად იხილა უმფრინავო თვითმფრინავები UCAV (Unmanned Combat Air Vehicles), რომლებსაც აშშ ავღანეთში წარმოებული საომარი ოპერაციების დროს იყენებდა (ვარაუდობენ, რომ ამ ტიპის თვითმფრინავებს არა ნაკლები აქტიურობით გამოიყენებენ ერაყში საომარი ოპერაციების განხორციელებისას).

ავიასალონზე წარმოდგენილი იყო სამოქალაქო ავიაციის სიახლეებიც. მათ შორის ავიაშოუს ერთ-ერთი ვარსკვლავი - კომპანია Airbus-ის გიგანტი A340, რომელიც ამერიკულ Boeing-747-400ER-ს უწევდა კონკურენციას.

ავიასალონის გახსნამდე იყო ცნობილი, რომ ორგანიზატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება სადემონსტრაციო ფრენების რაოდენობის შეზღუდვასთან დაკავშირებით. ავიასალონის უძველესი ტრადიციის თანახმად, საჩვენებელი ფრენა მხოლოდ ყველაზე საინტერესო თვითმფრინავებმა შეასრულეს. მათ შორის იყო Airbus A340, Eurofighter Typhoon-ი. ამ უახლესი თაობის გამანადგურებელმა ოფიციალური სახელწოდება Typhoon-ი სწორედ "ფარნბოროს" გამოფენაზე მიიღო. ეს თვითმფრინავები ავიასალონის ვარსკვლავები გახდნენ. მათ გამოჩენას დამსწრე საზოგადოება მქუხარე აპლოდისმენტებით ხვდებოდა.

მქუხარე ოვაციის თანხლებით ჩაიარა უკვე ვეტერანის, მაგრამ აქამდე თავისი ეგზოტიკურობით გამორჩეული გამანადგურებლის, "ხარიერის" სადემონსტრაციო ფრენამაც, რომელსაც ვერტიკალურად აფრენის და ჰაერში გაჩერების უნარი აქვს. აპლოდისმენტები დაიმსახურეს ბრიტანული კომპანიის, BBC Red Arrows-ის მფრინავებმა, რომლებმაც თვითმფრინავების მოყვარულებს "გამანადგურებლების ბალეტი" აჩვენეს.

ავიაშოუმ ერთი კვირის განმავლობაში, დაახლოებით, 250 ათას ადამიანს უმასპინძლა. ავიასალონი დამთვალიერებლებისათვის მხოლოდ ორი დღის განმავლობაში - შაბათ-კვირას იყო გახსნილი.

საერთაშორისო ავიასალონში მონაწილეობა არ მიუღია რუსეთის არც ერთ თვითმფრინავს. ის მხოლოდ სტენდების ჩვენებით შემოიფარგლა. "ინტერფაქსის" ინფორმაციით, კომპანია "სუხოი" "ფარნბოროს" გამოფენაზე რამდენიმე თვითმფრინავის წარდგენას გეგმავდა, მათ შორის, პოპულარული გამანადგურებელი SU-30-ც იგულისხმებოდა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს თვითმფრინავები ბრიტანეთში არ ჩაიყვანეს. ამის მიზეზი შვეიცარიული კომპანია "Noga" გახდა, რომლის ადვოკატები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ რუსეთს მათი კომპანიის 70 მილიონი აშშ დოლარი ვალი მართებს. ამის გამო შვეიცარიული კომპანია რუსული ტექნიკის დაპატიმრების უფლებას იტოვებს და რუსულმა მხარემაც გადაწყვიტა, არ გაერისკა.

"ფარნბოროს" საავიაციო-კოსმოსურ გამოფენაში პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მონაწილეობა მხოლოდ საქართველომ მიიღო, ყოფილი სოციალისტური ბანაკიდან კი – რუმინეთმა, რომელმაც ბრიტანეთის საერთაშორისო ავიასალონში "მიგ-21" წარმოადგინა.

"თბილავიამშენისა" და ებრაული კომპანია "ELBIT SYSTEMS"-ის ერთობლივი პროექტით მოდერნიზებული SU-25KM "SCORPION"-მა მეორედ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო ავიაგამოფენაში. SU-25KM "SCORPION"-ი პირველად შარშან გამართულ ლე-ბურჟეს საერთაშორისო ავიასალონში იყო წარდგენილი, სადაც რამდენიმე ასეული თვითმფრინავიდან მხოლოდ ოცდაათმა შეასრულა საჩვენებელი გაფრენა. მათ შორის იყო "SCORPION"-ი, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. SU-25KM "SCORPION"-ით დაინტერესდა რამდენიმე აფრიკული ქვეყანა, ჩეხეთი, სლოვაკეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები.

მიუხედავად იმისა, რომ, ლე-ბურჟეს ავიაგამოფენისგან განსხვავებით, წელს "ფარნბოროს" საავიაციო-კოსმოსურ გამოფენაში SU-25KM "SCORPION"-ი მხოლოდ სტატიკურ მდგომარეობაში იღებდა მონაწილეობას, საქართველოს მიერ წარდგენილმა მოიერიშე თვითმფრინავმა კვლავ დიდი მოწონება დაიმსახურა.

მიმდინარე წლის ბოლომდე, SU-25KM-ის მოდერნიზაციის თაობაზე, ქარხანა კიდევ ერთი რეალური კონტრაქტის გაფორმებას ელის. ეს შეთანხმება მიღწეულია ავიასალონში მონაწილე ერთ-ერთ ქვეყანასთან, რომელსაც "თბილავიამშენის" ხელმძღვანელობა ჯერჯერობით არ ასახელებს.



REUTERS




REUTERS

# პატარა ტბის დიდი მისია

თამარ მაისურაძე

კუს ტბის სეზონი გაზაფხულის პირველი მზიანი დღიდან იხსნება და შემოდგომის პირველ სუსხიან დღემდე გასტანს ხოლმე. სეზონზე, კუს ტბაზე ასული ძნელად თუ დაიჯერებ, რომ თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქიდან დასასვენებლად არის გასული; ან თუ დაიჯერებ, იფიქრებ, რომ ვინც დარჩა, აქ მოუყრია თავიო. მართლაც ასეა, კუს ტბა, შეიძლება ითქვას, შვებაა იმ ხალხისთვის ვინც ზაფხულში ქალაქიდან ვერ ახერხებს გასვლას. შედარებითი სიგრილე, მწვანე წყალში ბანაობა, ერთი სიტყვით დროის მოკვლა, თუ თავის შექცევა - ეს სიამოვნება 80 თეთრიდან იწყება. თუ საბაგიროთი იმგზავრებ, 40 თეთრი - ზევით, ერთი იმდენიც - ქვევით. ცალკე საკითხია, თუ რამდენად სანდოა 1965 წელს აშენებული საბაგირო, რომლის ვაგონებიც მთელი დღის განმავლობაში, თითქმის გაუჩერებლად დადიან წინ და უკან. საბაგირო დილის 10 საათიდან იწყებს მუშაობას და საღამოს 9 საათამდე ემსახურება კლიენტს. კუს ტბაზე კი ცხოვრება უფრო ადრე იწყება.

ძირითადთან ერთად, კუს ტბა ერთ სპეციფიურ მისიასაც ასრულებს. რა თქმა უნდა, ტბაზე კუს ვერსად წააწყდებით - აქ მზისგულზეა სოციალური სპექტრის ზაფხულის ერთი დღის მთელი პანორამა.

სირბილის მოყვარულთა და საკუთარ ჯანმრთელობაზე მზრუნველ ადამიანთა კატეგორია კუს ტბას დილას, ძალიან ადრე სტუმრობს. მათი ზემოთ ასვლის მიზანი მართლაც ვარჯიშია. სირბილის მოყვარულებს კვალდაკვალ (1 საათიანი შუალედით) ისინიც უერთდებიან, ვინც საკუთარი თუ სხვისი თვალის ასახვევად, ერთი სიტყვით დილიდანვე გასართობად ადის ზემოთ. აქ ვის არ ნახავთ, ახალგაზრდას თუ მოხუცს, ჩინიანს თუ უჩინოს, გამხდარს თუ მსუქანს. ზოგი დადის, ზოგი დარბის, ზოგი თვალს ახარებს, ზოგიც სუფთა ჰაერზე გამოდის" პახმელიაზე". ერთი შეხედვით, მდიდარის და ღარიბის გარჩევა ძნელია. თუმცა, დილის სტუმრებში საბაგიროს კლიენტები არ ურევია.

სპორტის მოყვარულებს თანდათან ისინი ცვლიან, ვისთვისაც თბილისის სიცხიდან კუს ტბაზე თავის შეფარება ოაზისია. თუ კუს ტბას შუა დღისკენ მიაშურებთ, ასვლისთანავე ავთო იკითხეთ. ავთო კუს ტბის მთავარი პერსონაჟია(იმედია, ბატონ გივი სიხარულიძეს არ ეწყინება), ყველაფერში გაგარკვევთ. "ავთო დაიძახეთ და ის მოგხედავთო, " – დაგვაკვალიანეს კუსტბელებმა. ავთოს ზედამხედველობაში არსებული ზღვის ველოსიპედით გასეირნება საათში 8 ლარი ღირს, ნავით გასეირნება 2 ლარით იაფი. შეზლონგი 1 საათით - 1 ლარი. იქვეა გამაფრთხილებელი ნიშანიც, რომელიც იუწყება, რომ ბანაობა მხოლოდ "პლიაჟის" ტერიტორიაზეა ნებადართული. დღის დამსვენებელთა ძირითადი ნაწილის მცირეწლოვანბავშვიანი დედები და ასაკოვანი ქალბატონები და ბატონები წარმოადგენენ. თუმცა, არც ახალგაზრდების სიმცირეს იგრძნობს კაცი. როგორც ჩანს, იმ ხალხს, ვინც კუს ტბა გამოაცოცხლა, მიზნად ხალხისთვის ზღვის ატმოსფეროს შექმნა ჰქონია დასახული. ერთი გიგანტური კუს ზომის ტბაზე, "პლიაჟის" მრავალსახეობაა. გინდა ქვიშაზე გაწოლილი გაირუჯები და თუ ფანტაზიას არ უჩივი, თავს ურეკში წარმოიდგენ, გინდა ქვებზე დაწვები და შესაბამისად აჭარაში ამოყოფ თავს, როცა ფულიც გაქვს, გურმანულ ფანტაზიებს ხომ მართლა შეასხამ ხორცს, ამისთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი.



ბესო ბულაშვილის ფოტო



მარიკა ამურველაშვილის ფოტო



ბესო ბულაშვილის ფოტო

სხვაგვარად, თუ სახლიდან საგზალს არ წაიღებ, ჩათვალე, რომ შიმშილით სული ამოგხდება. აქაურ ხვატს გადარჩენილს, იქაური ბარების ფასები დაგახვევს თავბრუს და უნებურად გაიხსენებ ერთნაირ საქონელზე ბაზრობის და "მორკინალის" ფასებს შორის სხვაობას. "პლიაჟზე" განლაგებულ ერთადერთ "ბუნგალო ბარში" ყველაზე იაფი ლარნახევრიანი ბუტერბროდია. თუ არჩევანს ამაზე შეაჩერებ, ოფიციანტი თავად გაფრთხილებს, ძალიან პატარაა არ გეყოფაო. დიდი, ექვსლარიანი ხაჭაპურია, თუმცა, არც იმხელაა, რამდენიმე კაცი დააპუროს. პატარა კოკა-კოლა ლარი ღირს. ალკოჰოლური სასმელებიდან ყველაზე იაფი 14 ლარიანი "დავითია", ყველაზე ძვირიანი – 600 ლარიანი ვისკი " ბლუ ლეიბლი". სიგარეტი "კენტი" – 5 ლარი ღირს, "ლაკი სთრაიქი" – 4 ლარი, "ვაისროი" – 2 ლარ ნახევარი... ამდენად, დღისით, საბაგიროთი ამოსული "პატოკი" ბარს გვერდს უვლის, სამაგიეროდ, მოგვიანებით, საღამოს, ბარში ზღვა ხალხი იყრის თავს. ეს უკანასკნელნი "საბაგიროს კლიენტებს" ცვლიან. საღამოს საათებში კი კუს ტბაზე შემდეგი ნაკადი, თბილისის ე.წ.ბოჰემა ადის. ნაცნობი სახეები, გამოჩენილი ადამიანები, ვინ აღარ იყრის თავს. ერთ მაგიდასთან სახელმწიფო ჩინოვნიკები სხედან, მეორესთან – გამოჩენილი მომღერლები. გადაჭედილია "ბუნგალო – ბარი". ოფიციანტები მომსახურებას ვერ აუდიან. თბილისის ბოჰემა, ბოჰემურად ატარებს დროს. კუს ტბაზე ქეიფი და დროს ტარება ღამის 3-4 საათამდე გრძელდება. ტბა სულ 3-4 საათით რჩება მარტო. მეორე დღეს კი პატარა ტბის დიდი მისია ისევ თავიდან იწყება.

# უკანასკნელი იმპერატორი

## მის ფეხსაცმელში თავს სექსუალურად გრძნობენ

თეა დვალი

ჰოლივუდის ვარსკვლავებით დაწყებული და ბრიტანული ცისფერსისხლიანებით დამთავრებული, ყველას ურჩევნია, პლანეტაზე Manolo Blahnik - ის ფეხსაცმელებით იაროს.

მანოლო ბლაჰნიკი - ფეხსაცმელების მწარმოებელი, რომელიც მთელ მსოფლიოს აცმევს, მრავალი ქალის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მამაკაცია. ამ მხრივ, მათ ქმრებს ასაღელვებლად არა აქვთ საქმე (თუ არ ჩავთვლით ბანკის ანგარიშს): ის, რასაც ბლაჰნიკი ქმნის მათი ცოლებისთვის, ყოველმხრივ ღირსეულია. ყველა ქალი, რომელიც ყურადღებით ადევნებს თვალს მოდის ცვლილებას, მათ შორის მადონა და გვინეტ პელტროუ, საჭიროდ მიიჩნევს, რომ ჰქონდეს მისი ერთი ქმნილება მაინც. ბევრი მათგანი ახერხებს ამას, განსაკუთრებით, სეილების დროს. მაგრამ არიან ისეთი ქალბატონებიც, რომლებიც ერთ ჯერზე 100(!) წყვილს ყიდულობენ.

"სინამდვილეში ეს მხოლოდ ამერიკაში ხდება", ისეთი ტონით ამბობს მანოლო, თითქოს ფეხსაცმელებზე რამდენიმე ათასი დოლარის დახარჯვის საშუალება, ტეხასისა და კალიფორნიისათვის ეროვნული გამოშტერების ტოლფასი ყოფილიყოს. ფაქტობრივად მისმა პროდუქციამ იმ სტატუსს მიაღწია, რომ "პრადას" ჩანთებთან და ყველაფერ იმასთან ერთად, რასაც "გუჩი" აწერია, აუცილებელი ნივთი გახდა თავმომწონე ქალბატონებისათვის, განურჩევლად მათი ასაკისა და ეროვნებისა. მისი ფეხსაცმელების შეძენა შეიძლება სიდნეიში, მანილაში და საერთოდ, მთელ მსოფლიოში.

ის ყოველთვის ემადლიერება ამერიკას, რადგან სწორედ ნიუ იორკში შეხვდა მოდის გურუს დაიანა ვრილენდს, რომელმაც პირველმა მიაქცევინა ყურადღება ფეხსაცმელებისთვის. პალომა პიკასოს რჩევით, მან თავისი რვეულები, კოსტიუმების და ფეხსაცმელების ჩანახატებით, დაიანას აჩვენა.

"მე მეცვა თეთრ-წითელ კვადრატებიანი ბამბის პიჯაკი. ნამდვილი მოსიარულე სუფრა ვიყავი. თანაც, წესიერად ვერც დავდიოდი, რადგან ჩაჭედილი ვიყავი ვიქტორიანული სტილის ფეხსაცმელში, რომელიც პატარა მქონდა და სერიოზულად მტკენდა ფეხს. ლაპარაკიც კი მიჭირდა". სამაგიეროდ ვრილენდი ლაპარაკობდა. მან გადახედა ჩანახატებს და თქვა: "ყმაწვილო, გააკეთეთ ფეხსაცმელები". მანოლომ დაუჯერა და არც უნანია.

ის ბათში ცხოვრობს, ლონდონთან; ფაბრიკები კი ჩრდილო იტალიაში აქვს. მუშაობისას ბიზნესმენის შორსმჭვრეტელობას უთავსებს ყველაზე ექსტრავაგანტულად რადიკალურ განცხადებებს, ისეთი განსხვავებული სფეროებიდან, როგორიც არის არქიტექტურა (ის აჯადოებს მას), ლიტერატურა (ის კითხულობს თითქმის ყველა ევროპულ ენაზე) და ფილმები (ბავშვობიდან გამოყოლილი სიყვარული). მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რბილი და გახსნილი კაცია, თავის ძვირადღირებულ და შრომატევად ბიზნესში არასოდეს არავითარ კომპრომისზე არ მიდის.

მისი მაღალი პროფესიონალიზმი საყოველთაოდ აღიარებულია, მაგრამ მხოლოდ მასთან დაახლოებულმა რჩეულთა ჯგუფმა იცის, თუ რა მახვილგონივრული და სტიმულის მიმცემი აზროვნების მანერა აქვს; თუ რა მდიდრული ლექსიკით და აღგზნებით ლაპარაკობს იდეაზე, რომელსაც იქვე უარჰყოფს, რადგან მისმა ნაყოფიერმა გონებამ უკვე ახალი შვა; და თუ რა იშვიათად ამთავრებს წინადადებას იმავე ენაზე, რომელზედაც ლაპარაკს იწყებს.

ის მთელი მსოფლიოსთვის მუშაობს და ძალიან ბევრს მოგზაურობს. 80-ან წლებში კელვინ კლაინთან მუშაობდა და ხშირად უხდებოდა ნიუ-იორკში ჩაფრენა თათბირებზე. ხშირად კი იქ ჩასული აღმოაჩენდა, რომ მისი იქ ყოფნა მხოლოდ ნახევარი საათით სჭირდებოდათ, რათა "ნაცრისფერი ზამშის ერთ-ერთი კერძო ტონალობა" განეხილათ. ასე რომ, იმავე დღეს ისევ "კონკორდით" ბრუნდებოდა ხოლმე ლონდონში.










ქალებს ურჩევნიათ პლანეტას ასეთი ფეხსაცმელებით აბიჯონ

მხარდასაჭერი ტურნეები ამერიკის გარშემო, ვიზიტები დედამისთან - კანარის კუნძულებზე, სადაც თვითონ დაიბადა, თვეობით მუშაობდა იტალიაში თავის ჯგუფთან ერთად, მოგზაურობა პარიზსა და ნიუ იორკში, ხანმოკლე დასვენებები ბათში - მისი ცხოვრების წესი, ახალგაზრდა კაცისთვისაც ძნელად გასაძლებია, არადა მანოლო უკვე 60 წლისაა.

"მე ცოტა ძილი მყოფნის", აღიარებს მანოლო, "სამი, ოთხი საათი საკმარისია ჩემთვის. ღამის ნახევარს კითხვასა და ძველი ფილმების ყურებაში ვატარებ. ერთადერთი ადგილი, სადაც ყოველთვის მძინავს, თვითმფრინავია". და რადგანაც თვე ისე არ გავა, სადმე გასაფრენი რომ არ იყოს, ეტყობა მაინც ახერხებს ძილს.

მისი ენერგია მართლაც აღსანიშნავია, იმის გამო, რომ, დაწყებული დიზაინიდან და ფეხსაცმლის დამზადებით დამთავრებული, ყველაფერს თვითონ ამზადებს, მას ასისტენტი არ სჭირდება. სამუშაო პროცესი იწყება ბათში, სადაც ის ხატავს ნიმუშებს ახალი კოლექციისათვის. ორიოდე საათში მზად აქვს 20 ახალი მოდელი. მუშაობისას ლაპარაკობს და წარმოსახვაში ხატავს ქალის პორტრეტს, რომელიც მის ფეხსაცმელს ჩაიცვამს: "ის დარეს-სალამიდან არის და პარიზში ჩავიდა თავისი დის სანახავად; მათ იყიდეს კოპლებიანი კაბა და შროშანები და ახლა სახლში ბრუნდებიან..." ის, როგორც წესი, ყოველი ფეხსაცმლისათვის ახალ პერსონაჟს ქმნის.

როცა ხატვას მორჩება, მანოლო ფეხსაცმლის ძირებზე გადადის. განსაკუთრებით დიდ დროს უთმობს ქუსლებს, რომელიც მისი საფირმო ნიშანი გახდა. და მხოლოდ მაშინ, როცა საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ზუსტად იმას მიაღწია, რაც უნდოდა, ის მოდელს იტალიაში აგზავნის წარმოებაში ჩასაშვებად. შემდეგ თვითონაც მიდის იქ და მთელ დღეებს ატარებს ფაბრიკაში, სადაც ამოწმებს, უხსნის და ამხნევებს თავის თანამშრომლებს.

ყველას უნდა მანოლოს უკანასკნელი ქმნილება ჰქონდეს, თუმცა, მისი დიზაინერული პოლიტიკა ისეთია, რომ ახალმა მოდელმა არ უნდა გამოიწვიოს წინამორბედის დაძველება. მას უყვარს, როცა ქალები წინა სეზონზე შეძენილ ფეხსაცმელს ატარებენ. ისინი მიდიან მასთან და სიამაყით ეუბნებიან: "მე ექვსი წელია გაუხდელად ვატარებ ამ ფეხსაცმელს და ისევ ახალივით გამოიყურება". სამოც წელს გადაცილებული ქალბატონები აღიარებენ, რომ მოსწონთ მანოლოს ფეხსაცმელი, "რადგან მათში თავს ისევ სექსუალურად ვგრძნობ".

მანოლო ამაყობს, რომ, ის რასაც იგი აკეთებს, ემსახურება არა მოდას, არამედ პიროვნულ სტილს. "ჩემი ფეხსაცმელი ხელს უწყობს ელეგანტურობას", ამბობს ის. "ასე რომ, გთხოვთ ნუ მოიხსენიებთ მას, როგორც მოდელს. მე ვერ ვიტან მოდას".

ალბათ ზედმეტია იმის თქმა, რომ მოდა აღმერთებს მანოლოს.


B-07

დავით ბუხრიკიძის სვეტი

## ზაფხული ცარიელი თეატრის გასამხნევებლად

წელიწადში ერთხელ, მორიგი გამყინვარებისა და უფულო თეატრალური სეზონის შემდეგ, დგება დრო, როცა ლოგიკურად უნდა მოგბეზრდეს მაღალი "სცენიური შტილი", გული აგირიოს აკადემიურმა ვნებებმა, ხოლო ზამთარში მონდომებით შეთხზული წერილები პრეტენზიულ სისულელედ მოგეჩვენოს. ზაფხული დგება და საქმიანი გარეგნული იერის მიუხედავად, გიხარია, რომ მთავრდება უსაგნო და არაფრისმთქმელი ექსპერიმენტები. სერიოზულ შეფასებებს მორიგი "ყოფნა-არყოფნის" შესახებ ყავლი გასდის და გსურს რაღაც ძალიან მსუბუქი. მაგალითად, ცივი მარტინი ლიმონით, ან დავიწყებული მარილის გემო ზღვაზე, რომელიც, ორი წელია, არ გინახავს; კონიაკის ნელი წრუპვით განელებული ცხელი ღამე, რომელსაც მოულოდნელად გააპობს შორეული სასტუმროს ნომრიდან ქარს წამოყოლილი გაეტანო ველოსო...

რასაკვირველია, გესმის, რომ ეს წარმავალი და ხანმოკლე სიხარულია, მაგრამ ამის გარეშე სექტემბრის თეატრალურ სეზონს "მწიფე" გემო არა აქვს. მერე, მოგვიანებით, როცა გამრჯე პარტ-ლიდერები აბობოქრდებიან, როცა ატყდება "სათელასო" წინასაზამთრო დებატები, დრო არ დარჩება მძაფრი საზღვაო შეგრძნებების გასაზიარებლად, ისევე როგორც, პლაჟზე მოყოლილი თუ გაგონილი სახელოვნებო ჭორების გასავრცელებლად. მანამდე კი ისარგებლე სიცარიელით, რომელსაც დრო თეატრს მიღმა გიტოვებს, ასე ვთქვათ, დაემორჩილე წყურვილის გრძნობას.

მერე რა, რომ სადღაც, ავინიონში თეატრალურ ექსპერიმენტებს აღმოსავლეთ-დასავლეთიდან ხელსახოცებივით იცვლიან, ხოლო ფესტივალის დირექტორი ბერნარ ფავრ`დარსიე, მთელი წლის განმავლობაში, ლამის, სანთლით დაეძებს ტალანტებს ბოლომდე გაუერთიანებელ ევროპაში. ვერ გეტყვით აქ რატომ ვერ ჩამოაღწია – ან გეოგრაფიაში მოიკოჭლებს, ან ჩვენი ახალგაზრდა რეჟისორების ტალანტის შესახებ აქამდე ვერაფერი შეიტყო. მოკლედ, იქ საზაფხულო-საფესტივალო მღელვარებაა, აქ კურორტებზე გახიზვნა და ვარსკვლავთა კერძო აგარაკებზე ბაღების მორწყვა. გაგანია აგვისტოში ზალცბურგში ექსპერიმენტულ "დონ-ჟუანს" დგამენ, ხოლო ედინბურგი თეატრალური "ლტოლვილებით" გაივსო. სამაგიეროდ, ბორჯომში ლიანა ისაკაძის არაკამერულმა და ორგანიზაციულმა ტალანტმა მრავალი მისი მეგობარი კამერული მუსიკის ასაჟღერებლად ჩამოიყვანა. და თუ ბორჯომის გამგებელი და მისი სტუმრები შონბერგის "გასხივოსნებულ ღამეს" მოისმენენ, ეჭვი არ არის, მომავალ წელს, სულ მცირე, ბერგის შესრულებას დათანხმდებიან.

საზაფხულო თეატრალური ფესტივალების ტრადიცია ჩვენში არასოდეს ყოფილა. არა მარტო იმიტომ, რომ ზამთარგადატანილ და სუფრების მიღმა განაწამებ ქართველ მსახიობებსა და რეჟისორებს დასვენების მძაფრი მოთხოვნილება აქვთ. მათ ესმით წარმავალობის ფასი და ცხოვრებას გამოგლეჯილი ჰედონისტური წუთები "თამაშად და უჩანთ მღერად". მაგრამ მთავარი მაინც ფესტივალის ორგანიზებაა, რომელსაც არა მხოლოდ ფულის კეთების ტრადიცია სჭირდება. ხოლო როდესაც მავანი თეატრალური ფესტივალის გამართვას მოინდომებს, აუცილებლად წააწყდება ერთი შეხედვით უცნაურ პრობლემას – რატომ?

მდიდარი თეატრალური ტრადიციის მიუხედავად, საქართველოში არ არსებობს საზაფხულო-საფესტივალო ცხოვრების კულტურა. თანამდევი რიტუალით, მაყურებლით, რიტმით, თავდავიწყებით. ეს კი ნიშნავს, რომ ნაქები მითი ქართველების თეატრისადმი ისტორიული მიდრეკილების შესახებ, უბრალოდ, გადაჭარბებულია. ან ქვეყანას, საამისოდ, სერიოზულზე მეტად უჭირს, ან თეატრი მხოლოდ გაზრდილობისა და პლუსის დაწერის საშუალებაა. რამდენიმე წლის წინათ წამოწყებული ხმაურიანი ფესტივალი "საჩუქარი", რომელიც მიხეილ თუმანიშვილის სახელს ატარებს, კარგი მაგალითია, როგორ იქცევა ნამდვილი იდეა სუროგატად. მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალი არ არის საზაფხულო, არ აკლია "თბილისობების" ხიბლი, საერთაშორისო ხმაური და მერიის მხარდაჭერა, საბოლოოდ, მაინც ფესტივალის ორგანიზატორთა ნაცნობ-მეგობრების, მსახიობებისა და ჟურნალისტების სექტანტურ თავყრილობად იქცა.

ვიდრე ვინმე თეატრზე თავგადაკლული ავინიონისა და ედინბურგის ალტერნატივას მოიგონებს საქართველოში, კარგი იქნება, მოსკოვის კლუბებში მოხეტიალე ევგენი გრიშკოვეცის მაგალითი გაიხსენოს. 36 წლის პოპულარული დრამატურგი, რეჟისორი, საკუთარი ტექსტის მთხრობელი და სპექტაკლების სცენოგრაფი, ივლისის ცხელ ღამეებში პაწაწინა სცენებზე მოსკოველებს საკუთარ შთაბეჭდილებებს უზიარებდა. მაგალითად, იმის შესახებ, რა ძნელია მონდომებით დაზეთო ველოსიპედი და შემდეგ ვერ "იკატაო"; იყიდო დიდი ხნის ნანატრი ხენდრო და მაცივარში აგიმჟავდეს; მთელი ზაფხული ელოდო სიცხეს და მერე პირველი თოვლი გენატრებოდეს... იმედია, ოდესღაც ჩვენთანაც აღმოცენდება საზაფხულო თეატრების პიონერული რიტორიკა. მაგალითად, ვინმე ჯეელი მოყვება, რა შეემთხვა სვანეთში მოგზაურობისას, როცა იქ პატრიოტული მოსაზრებით უცხოელი სტუმრები წაასხა, ან რა ელეგანტურად შეუცვივდნენ ფოთის თეატრში სულიერი მამები მსახიობებს და როგორ ამხილეს ისინი ურწმუნოებაში.

მანამდე კი შეგიძლიათ მშვიდად ინებივროთ ზღვაზე, წრუპოთ კონიაკი და გაიხსენოთ ბედნიერი წუთები, როდესაც საზაფხულო ესტრადაზე უნიჭო ვარსკვლავები შთაგონებით მღეროდნენ. ეს უფრო ბუნებრივიცაა და უპრობლემოც. სერიოზული თეატრი კი ზამთარს დავუტოვოთ, რადგან დიდი განცდისათვის მეტ სივრცეს ტოვებს. არა უშავს, თუ სიცხით გათანგულ თბილისში, დაბადების წინა დღეებს, რობერტ სტურუა ბეკეტის "გოდოს მოლოდინის" რეპეტიციებში ატარებს. თუ ავინიონი არ გველირსა, ის მაინც გველირსება, რომ ტოტალურ რემონტამდე რუსთაველის თეატრში პრემიერა გაიმართება. ჩათვალეთ, რომ ეს საზაფხულო ბათუმისა და ქობულეთის კომპენსაციაა.

# მუსიკა, ზღვა და სუბტროპიკები

## ბათუმი ალტერნატიული კულტურის ზეიმისთვის ემზადება



Ophex twin და ზემფირა ბათუმში ჩამოვლენ



REUTERS

ვერა ნეფარიძე

**"ზემფირა", "ჩიჩერინა", ნაიკ ბარზოვი, Ministry of Psychodelics – ბათუმს აგვისტოში თანამედროვე რუსული მუსიკის თანავარსკვლავედი ეწვევა. თუმცა, ასეთი სახელების მიუხედავად, აჭარის ყველაზე საპატიო სტუმარი მაინც ბრიტანელი Aphex Twin იქნება. ბათუმში თანამედროვე მუსიკის ნამდვილი ზეიმი, "სუბტროპიკი 2002" იწყება.**

კარგია, რომ საზაფხულო კულტურული არდადეგები მხოლოდ თბილისს შეეხო. მაშინ, როდესაც დედაქალაქის დასიცხული არტისტები და საკონცერტო დარბაზები სდუმან, გართობის მოყვარულთათვის მწვანე შუქი ადგილ-ადგილ მაინც ინთება: ათასში ერთხელ კუს ტბაზე "არტ-იმედი" მიიზიდავს თბილისელებს, ან რომელიმე მსხვილი კომპანია რამე იაფფასიანი შოუ-კონცერტით შეიქცევს მოსახლეობის მცირე ნაწილს. ვიდრე თბილისელებს ამგვარად შემოადნებათ დარჩენილი ცხელი თვეებახევარი, არც თუ შორეულ ზღვისპირეთში ამ ყველაფრისგან აბსოლუტურად განსხვავებული საზაფხულო არდადეგები მზადდება. ბათუმის ათდღიანი ფესტივალი, მესამე წელიწადია, ისევე იზიდავს ალტერნატიული მუსიკის მოყვარულებს, როგორც ბათუმის სანაპიროები დამსვენებლებს.

რამდენიმე თვის წინათ, ელექტრონული მუსიკით გატაცებული თბილისელები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, დაედგინათ გავრცელებული ჭორი, მართლა ჩამოდიოდა თუ არა თბილისში Aphex Twin, ადამიანი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიო ელექტრონული მუსიკის განვითარებაში. ახლახან გაირკვა, რომ ბრიტანელი მუსიკოსი, თბილისში არა და, ბათუმში ნამდვილად ჩამოდის, ფესტივალზე "სუბტროპიკი 2002".

ფესტივალი პირველად სამი წლის წინათ გაიმართა. მისი ავტორები, "აღორძინების დემოკრატიული კავშირის" ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან და ბათუმის მერიასთან ერთად, რუსული ჟურნალი Птюч-იც არის. პირველ ფესტივალზე, ძირითადად, რუსული მუსიკის მეტ-ნაკლებად დახვეწილი ვარსკვლავები მონაწილეობდნენ. მათ შორის ისეთი მსხვილკალიბრიანები, როგორებიც არიან: Агата Кристи, Маша и Медведи, Джуманджи. რუსებთან ერთად დისკოთეკებზე არგენტინელი, გერმანელი და ფრანგი დი-ჯეები მუშაობდნენ. შედარებით ნაკლებად პომპეზური იყო შარშანდელი "სუბტროპიკი", სადაც ჩვენთვის ყველაზე მეტად ნაცნობი სტუმარი, ნაიკ ბარზოვი იყო. წლევანდელი ფესტივალის პროგრამას თუ გადახედავთ, მიხვდებით, რომ ბათუმურმა "სუბტროპიკმა" ქართული სინამდვილის ფონზე, სხვა მასშტაბებს მიაღწია.

ფესტივალის წარმატება მხოლოდ დაუზოგავი ფინანსების დამსახურება არაა - უდავოდ აჭარის კლიმატური პირობების დამსახურებაცაა. ბათუმის უნიკალური სუბტროპიკული ბუნება და რბილი კლიმატი ზაფხულში სამუშაოდ ყველასთვის მისაღები პირობებია. მითუმეტეს, საყოველთაოდ ცნობილია, როგორი ენთუზიაზმით ჩამოდიოდნენ ყოველთვის ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები დასასვენებლად და დროის სატარებლად საქართველოს ზღვისპირეთში. თანაც, ბათუმი ერთადერთი ზღვისპირა ქალაქია საქართველოში, სადაც ბოლო დროს, მსგავსი გასართობებისთვის ფული არ ენანებათ (რაც, როგორც გავიგეთ, ქალაქის მერის თანამედროვე კულტურით გატაცების დამსახურებაა).

ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძველეს და საუკეთესო კურორტს, დასასვენებელი სახლებისა და სასტუმროების წყალობით, 20 ათასზე მეტი დამსვენებლის მიღება შეუძლია. ეს კი, თავისთავად, შესანიშნავი პირობაა ფესტივალისთვის, რომელიც 20-დან 40 წლამდე ასაკის ადამიანთა გემოვნებას ითვალისწინებს. ფესტივალის ესთეტიკა (მსუბუქი მუსიკა, კოქტეილი და ყოველდღიური დისკოთეკები სანაპიროზე), ორგანიზატორების აზრით, სრულად შეესაბამება მოდურ ტერმინს Easy living, რომელიც ითარგმნება, როგორც "უზრუნველი ცხოვრება".

ორგანიზატორების მოსაზრება, რომ ბათუმის "სუბტროპიკს" ანალოგი არ მოეძებნება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ალბათ, ცოტა გადაჭარბებულია. ამის დასამტკიცებლად, სულ ცოტა, თბილისში ლადო ბურდულის მიერ გამართული რამდენიმე ფესტივალიც კმარა, სადაც, იგივე რუსეთის აღიარებული ნამდვილი ვარსკვლავის, თუნდაც საშა სკლიარისა და მისი Ва-Банк-ის გარდა, სხვადასხვა ქვეყნის საინტერესო მუსიკოსებიც მონაწილეობდნენ. ვერ გავექცევით რეალობასაც, რადგან გასაგები მიზეზების გამო, ბათუმური "სუბტროპიკი" მეტი ვარსკვლავის შეკრებას ახერხებს. თუმცა, მგონია, რომ ეს უფრო ფინანსური უზრუნველყოფის თემაა.

"პროექტის ძირითადი მიზანი სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობას შორის თავისუფალი ურთიერთობებისათვის საუკეთესო პირობების შექმნაა. ფესტივალი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მუსიკოსების, კლიპ და იმიჯმეიკერების საქმიანი შეხვედრებისათვის" – ამბობენ ფესტივალის ორგანიზატორები. ახალი ურთიერთობები ბათუმში აუცილებლად კარგი მუსიკისა (და არა მხოლოდ მუსიკის) და კარგად მოწოდებული ხელოვნების სხვა ფორმების ფონზე ეწყობა. საამისოდ, მუსიკოსებისა და დი-ჯეების გარდა, ფესტივალში მხატვარ-დიზაინერებიც მონაწილეობენ.

წლევანდელი ფესტივალის მონაწილეებს რაც შეეხება, მათი დიდი ნაწილი, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ რუსეთიდანაა. ჩვენთვის კარგად ცნობილი ნაიკ ბარზოვის, "ზემფირასა" და "ჩიჩერინას" გარდა, ფესტივალს ეწვევიან: Ministry of Psychodelics (ჯგუფმა, თუ არ ვცდები, წინა ფესტივალზეც მიიღო მონაწილეობა), Речники – სანკ-პეტერბურგიდან და მათი თანამემამულე რამდენიმე დი-ჯეი; იმედია, მხოლოდ ჩემდა სამწუხაროდ, არაფერს მეუბნება გერმანელ (N.O. N.A და MC Chevy) და ამერიკელ (Johnny Fiasco) სტუმართა სახელები. სამაგიეროდ, ჩემთვის ძალიან დამაინტრიგებელი აღმოჩნდა ინტერნეტში მოძიებული მასალა ფესტივალის კიდევ ერთი მონაწილის, მოსკოვური თეატრის Black Sky White-ის შესახებ. "დაივიწყეთ, რაც კი იცოდით აქამდე თეატრის შესახებ და რაც კი აქამდე გინახავთ", ორი რუსი მსახიობი თეატრის პრეს-რელიზის მიხედვით, დაუვიწყარ და შთამბეჭდავ სანახაობას გვპირდება. ჩვენც, მეტი რაღა დაგვრჩენია, უნდა დაველოდოთ...

საქართველოს მუზეუმები

# ვინ გადაარჩენს მუზეუმს?!

ეკა გვახარია

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.
დაარსდა 1852 წელს.
შენობა აიგო 1913-1926 წლებში.
1941 წლიდან მეცნიერებათა აკადემიის სისტემაშია.
1947 წელს ეწოდა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელი.

მუზეუმი მოიცავს ჰუმანიტარულ (არქეოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, ნუმიზმატიკა) და საბუნებისმეტყველო (გეოლოგია, ბოტანიკა, ზოოლოგია) დარგებს. აქ ინახება არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ბუნებისა და მოსახლეობის მატერიალური კულტურის უძვირფასესი კოლექცია.

ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი მსოფლიო მნიშვნელობისაა და აქ არსებული ფონდების მიხედვით ერთადერთია კავკასიაში.

მუზეუმი დღეს უფუნქციოდაა დარჩენილი, აღარ ტარდება სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციები, შეუძლებელი გახდა ნივთების შესყიდვა. აქედან გამომდინარე, ვერ ხერხდება ფონდების შევსება, განახლება, აქ არსებული ნივთების ბედი კი გაურკვეველია. ექსპონატებისთვის აბსოლუტურად შეუფერებელი ტემპერატურული რეჟიმი ემატება მიწისძვრისგან საშინლად დაზიანებული კედლები, რომლებიც დღეს თუ ხვალ ჩამოინგრევა. ზამთრის შემდეგ გაუმთბარია დარბაზები (ზამთარში კი ტემპერატურა ნულ გრადუსზე ქვემოთ ჩამოდის). თანამშრომლებს უჭირთ სამსახურში სიარული, რადგან ხელფასი ტრანსპორტის ფულადაც კი არ ყოფნით.

" მუზეუმმა ერის აგიტაცია უნდა გასწიოს"- აღნიშნა მუზეუმის დირექტორმა ბატონმა ლევან ჭილაშვილმა, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან საგანძურის გარდა ყველა დარბაზი დაკეტილია, დენის პრობლემის გამო. სახელმწიფო მუზეუმის ელექტრო ენერგიის ვალი ოცი ათას ლარს შეადგენდა. თბილისის მერიამ გადაიხადა ხუთი ათასი. თვითონ მუზეუმს არანაირი სახსრები არ გააჩნია, ასევე ვერ ეხმარება მას მეცნიერებათა აკადემია. ამ ხნის მანძილზე არ გამოჩნდა კერძო პირი ან ორგანიზაცია, ვინც ქველმოქმედებას გასწევდა.

"მუზეუმი ჩვენ არ გამოგვირთავს" – აღნიშნა სოლოლაკის თელასის ბიზნეს-ცენტრის მენეჯერმა გიორგი ლეონიძემ – "შუქი თუ არ აქვთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მუზეუმი თვითონ ზოგავს ელექტროენერგიას".

ამის შესახებ მუზეუმის დირექტორმა ლ.ჭილაშვილმა აღნიშნა: "მხოლოდ პოლიციისათვის, სიგნალიზაციისათვის და საგანძურისათვის ვრთავთ დენს. მთავარი მიზეზი კი არის ის, რომ ელექტროენერგიის სრული გამოყენებით ვალი უფრო და უფრო გაიზრდება. გადამხდელი კი არავინაა. ამ ბოლო დროს ცოტა იმედი მოგვეცა, რადგან მერია გვპირდება, ათი ათასი ლარის გადახდას". თუმცა, როდის მოხდება ეს, ჯერჯერობით არ არის ცნობილი.

მუზეუმის მდგომარეობის შესახებ თავისი გულისტკივილი გამოთქვა უხუცესმა თანამშრომელმა, ბატონმა კოტე ჩოლოყაშვილმა: " სამოცი წელია აქ ვმუშაობ, მაგრამ ასეთი მძიმე სიტუაცია არასოდეს ყოფილა. მახსოვს, როდესაც გადაწყდა, რომ ეფექტურობისათვის დარბაზები ჩაებნელებინათ, ხოლო ექსპონატები სათითაოდ გაენათებინათ, მე გავიხუმრე, შუქი რომ ჩაქრეს, რას აპირებთ, დღის სინათლე რომ აღარ შემოდისთქო? დენის წასვლა იმ დროისათვის იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ ყველამ ბევრი ვიცინეთ. სამწუხაროდ ეს სიტყვები, ასეთი წინასწარმეტყველური თუ აღმოჩნდებოდა, არ მეგონა".

მუზეუმის არსებობის 150 წლის მანძილზე ამ ექსპონატებმა ბევრი სირთულე გადაიტანა.ბატონმა კოტე ჩოლოყაშვილმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ურთულესი დროც გაიხსენა, როდესაც თბილისის დაბომბვის შიშით საგანძურს მიწისქვეშა სამალავებში ინახავდნენ. დღეს კი, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, მათი გამოფენა ვერ ხერხდება და ნივთებს განადგურება ემუქრებათ, ელემენტარული პირობების არარსებობის გამო.

"არ გაგვაჩნია თანამედროვე აღჭურვილობა, ვერ მოხერხდა მუზეუმის კომპიუტერიზაცია,"– აღნიშნა მუზეუმის ერთერთმა თანამშრომელმა ბატონმა ა.გვახარიამ, - "გარდა ამისა, აუცილებელია კატალოგების გამოცემა, თუმცა ამ ყველაფერზე ოცნებაც კი შეუძლებელია."



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ყველაფერთან ერთად შემცირდა დამთვალიერებელთა რაოდენობაც: "ადრე თუ მნახველთა რიცხვი წელიწადში 300 ათასამდე იყო, ბოლო პერიოდში 15 ათასამდე შემცირდა. იყო დრო, როდესაც თითო ექსკურსიამძღოლი დღეში 15 ექსკურსიას ატარებდა" – გვითხრა მუზეუმის საექსკურსიო ბიუროს უფროსმა, ბატონმა გერმანე კაზალიკაშვილმა.

ასეთია, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დღევანდელი მდგომარეობა.

"ვინ უნდა ააშენოს ეს მუზეუმი?

ისევ ჩვენ უნდა ავაშენოთ, ჩვენის მცირე უნარითა და გამხდარი ჯიბით, სხვაგან ხაზინა ასეთ საქმეზე მილიონებს ხარჯავს... ამ საქმეში მთელმა ერმა უნდა მიიღოს მონაწილეობა..." – 1909 წელს ნათქვამი მიხეილ ჯავახიშვილის ეს სიტყვები დღესაც აქტუალურად ჟღერს. თუ მაშინ ეს ეხებოდა მუზეუმის შენობის აგებას, დღეს მის გადარჩენაზეა საუბარი.

მაისში, 150 წლის იუბილეზე, მუზეუმის დირექტორმა ბატონმა ლევან ჭილაშვილმა ტელევიზიით ისაუბრა ამ პრობლემების შესახებ, სამწუხაროდ, ერთადერთი ვინც გამოეხმაურა ამ მოვლენას, მხოლოდ - სკოლის მოსწავლეები იყვნენ, მათ საუზმის ფული შეაგროვეს მუზეუმის დასახმარებლად.

# "რედიოჰედი" ფესვებს უბრუნდება

## ჯგუფი ახალი ალბომის სამზადისში

მადი სერებრიაკოვა

გაზაფხულიდან მოყოლებული საინფორმაციო წყაროები და "რედიოჰედის" ფან-კლუბები აყალმაყალს ტეხდნენ ჯგუფის ახალი ალბომის მზადებასთან დაკავშირებით. "რედიოჰედის" რიგით მეექვსე სტუდიური ალბომის ზოგიერთი სიმღერის პრეზენტაცია 23-24 ივლისს ლისაბონში შედგა. საპრეზენტაციო გამოსვლები კი ესპანეთში გაგრძელდება.

"რედიოჰედის" პორტუგალიურ კონცერტს მთელი ცხრა თვე ელოდნენ ჯგუფის ევროპელი თაყვანისმცემლები. ამ ხნის მანძილზე ჯგუფის წევრები სტუდიაში იყვნენ "ჩაკეტილები" და ახალ, ათი სიმღერისაგან შემდგარ ალბომზე მუშაობდნენ.

"რედიოჰედის" ტური მხოლოდ ახალი ალბომის პრომოუშენს არ ემსახურება. კონტინენტელ თაყვანისმცემლებს მათ ძველი ჰიტები **I Might Be Wrong, Paranoid Android** და **Street Spirit** გაახსენეს. **Lift** -ს კი, რომელიც ძველი სიმღერაა, მაგრამ ადგილი ჯერ ვერც ერთ სტუდიურ ალბომში ვერ მოეძებნა - პატრონიც ვერ იცნობდა. მისი რიმეიქი გიტარისტ ედ ო`ბრაიენის იდეა იყო და იგი სიმღერის ვოკალურ პარტიაშიც იღებდა აქტიურ მონაწილეობას.

ახალ როლში შეიჭრა ჯგუფის ლიდერი და ვოკალისტი ტომ იორკი. იგი ხუთი ახალი სიმღერიდან სამში კლავიშებთან იდგა. "რედიოჰედის" ფანების საიტები ირწმუნებიან, რომ **There There, We Suck Young Blood** და **Myxomatosis** უკვე ნამდვილი ჰიტებია. თავად ჯგუფის წევრები ახალ ალბომს მთელი მათი შემოქმედების ძირითადი ტენდენციების გამაერთიანებლად მიიჩნევენ: "გვინდოდა მთელი ჩვენი ნაგავი (დედანში: განავალი) ერთად მოგვეგროვებინა"- აღნიშნავს ჯონი გრინვუდი.

უფრო კორექტულია ედ ო`ბრაიანი, რომელიც ალბომის გამოსვლამდე თავს იკავებს ცალკეული თრექების შეფასებისაგან: "ზოგჯერ წინასწარ ვაცხადებთ, რომ ახალი ალბომი პოპ-თან ან პროგრესული როკთან იქნება ახლოს, და მერე ყველაფერი უკუღმა ხდება ხოლმე".

ახალი ალბომი გრემ სტიუარტის მიერ იქნება ჩაწერილი. თავის დროზე მის ხელში გაიარა **Kid A**-მ და **Amnesiac**-მა. პროდიუსერი კი ჯგუფის მეექვსე არაოფიციალური წევრი ნაიგელ გოდრიჩი (Nigel Godrich) იქნება. როგორც ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, ახალი ალბომი ჯერ კიდევ **Amnesiac**-ის პრომო-კონცერტების დროს ჩაისახა, თუმცა, შემდეგ, კარგა ხანს, მუსიკოსები "სმენის დიეტაზე" იყვნენ, რათა საკუთარი თავის განმეორებისაგან დაზღვეულები ყოფილიყვნენ. ედ ო`ბრაიანი **Electric Soft Parade**-ის, **White Stripes**-ის და **the Strokes**-ის სმენამ გაიტაცა. მომავალ ალბომშიც, მისი აზრით, გიტარის ჟღერადობა უნდა იყოს წამყვანი: "გიტარის ასეთი საუნდი ჩვენს თაყვანისმცემლებს 1997 წლის შემდეგ აღარ ეხსომებათ". ტომ იორკი კი ძირითადად **Tim Buckley**-ის და **glitch**-ის სმენით იყო დაკავებული.

სავარაუდოდ, ახალი ალბომი პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვა. თუმცა, მას 2003 წლამდე არც უნდა ველოდოთ. ჯგუფის ევროპული ტურნე კი ესპანეთში გაგრძელდება, სადაც კონცერტები 3-იდან 7 აგვისტომდე გაიმართება.


ჯონ გრინვუდი


ტომ იორკი

# მსოფლიო მუსიკის ზეიმი დასრულდა

თეა დვალი

ბრიტანეთში მსოფლიო მუსიკის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი WOMAD (World of Music, Art and Dance) ფესტივალი გაიმართა. ფესტივალი იმითაცაა ცნობილი, რომ მას მუსიკის აღიარებული ვარსკვლავი, პიტერ გებრიელი პატრონობს.

"ვომედის" ფესტივალი წელს განსაკუთრებული იყო, რაც საინტერესო მონაწილეების სიმრავლემ განაპირობა. პარასკევს ფესტივალი საიუბილეო ტორტითა და ტანზანიელი მოცეკვავეების გამოსვლით გაიხსნა. სამი დღის განმავლობაში უძველეს ქალაქ რიდინგში, ერთდროულად შვიდ სცენაზე მიმდინარეობდა მსოფლიოს კულტურების სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა. ძირითადად - მუსიკით, მხატვრობით და ცეკვით.

WOMAD არაკომერციული ღონისძიებაა; მისი ძირითადი მიზანი ახალი საინტერესო მუსიკოსების, მხატვრებისა და მოცეკვავეების აღმოჩენაა. პირველი ფესტივალი ოცი წლის წინათ იმდენად უიღბლო გამოვიდა, რომ მის ავტორს, პიტერ გებრიელს, დანაკარგის ასანაზღაურებლად, 1977 წელს დაშლილი Genesis-ის აღდგენა და საკონცერტო ტურნეს მოწყობა მოუწია. მაგრამ, დროთა განმავლობაში ყველაფერი შეიცვალა. ოცი წლის განმავლობაში ფესტივალის კონცეფცია იცვლებოდა. თავიდან ის ინგლისში, ავსტრალიაში, იაპონიაში, ამერიკასა და სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში იმართებოდა. შემდეგ, "ვომედები" მომრავლდა და ხშირად, პარალელურად, მისი ეგიდით მსოფლიოს რამდენიმე ქალაქში ეწყობოდა სანახაობები. ფესტივალი საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა – ადრეული გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე.

წელს ბრიტანეთში ფესტივალი მეოცედ გაიმართა და ოცდაათი ქვეყნიდან სამოცამდე მუსიკოსი თუ ჯგუფი გამოვიდა. ჰედლაინერებს შორის იყვნენ: მშობლიური ალჟირიდან საფრანგეთში ემიგრირებული არაბი რაშიდ ტახა, რომელმაც ალჟირული პოპ-მუსიკა რეპს და ინდასტრიალს შეუხამა; რეგის აფრიკელი ვარსკვლავი, ალფა ბლონდი, რომელმაც სცენაზე მოღვაწეობის ოცი წლისთავი აღნიშნა (აღსანიშნავია, რომ ფესტივალის დირექციის თქმით, წელს აფრიკელი მუსიკოსის მიწვევაზე ბრიტანეთში ძალიან დიდი მოთხოვნა იყო). ფოლკლორი წარმოადგიეს: ჩრდილო-აფრიკულმა ჯგუფმა, Ladysmith Black Mambazo და სენეგალურმა Youssou N`Dour, რომლის ჰიტი ევროპულ ჩარტებში მოწინავე ადგილებით აღინიშნა. ჯგუფმა Echo & Bunnimen კი, რომელიც "ვომედის" პირველ ფესტივალზეც გამოვიდა, ოცი წლის შემდეგაც მიიღო ბრიტანეთიდან მიწვევა. აღსანიშნავია, რომ ფესტივალზე ანუშკა შანკარიც (რავი შანკარის შვილი) იღებდა მონაწილეობას.

"მუსიკა უნივერსალური ენაა, რომელიც ადამიანებს კრებს, აერთიანებს და რასიზმის უსუსურობას უსვამს ხაზს. ეს ფესტივალი საშუალებას აძლევს აუდიტორიას, მუსიკის საშუალებით უცხო ქვეყნების კულტურებს გაეცნოს" – ამბობს ფესტივალის ავტორი და სულისჩამდგმელი, პიტერ გებრიელი.



ამბები

## სეთის აკლდამის "ქსერო-ასლი"

ეგვიპტოლოგები ახალი, საინტერესო პროექტის განხორციელებას შეუდგნენ. მეცნიერები მაღალი რეზოლუციის ილუსტარციებისა და 3D რუქების გამოყენებით, სეთის აკლდამის ასლის აგებას ცდილობენ. "აკლდამის ახლანდელ მდგომარეობასთან შედარებით, აღდგენილი ვარიანტი გაცილებით უფრო სრულყოფილი იქნება. ჩვენი მიზანია, საზოგადოებას სამარხის დათვალიერების შანსი მივცეთ ისე, რომ მისი ორიგინალური ვარიანტი არ დავაზიანოთ", - აცხადებს პროექტის ხელმძღვანელი ადამ ლოუ.

სეთის აკლდამა ეგვიპტეში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ნაგებობაა, თუმცა დაზიანების საფრთხის გამო ის 80-იანი წლებიდან დაკეტილია. აკლდამა 1817 წელს ბელზონიმ აღმოაჩინა. მალევე სამარხში ნაპოვნი ნივთები მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში დაარიგეს. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, აკლდამის ასლი ორიგინალის მსგავსი იქნება. "ყველაფერი მილიმეტრების სიზუსტით გაითვლება. იატაკზე მიმოფანტული მტვერი, ტემპერატურა და სუნიც კი ისეთივე იქნება, როგორც ნამდვილ სამარხშია", - დასძენს ლოუ.

## სოროკინი: „არ ვაპირებ ამ აბსურდის თეატრში მონაწილეობას„

ერთი კვირის წინ "24 საათმა" უკვე გააშუქა ვლადიმირ სოროკინის გარშემო ატეხილი სკანდალი. ახლახან მწერალმა მის წინააღმდეგ აღძრული საქმის შესახებ ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. შეგახსენებთ, რომ სოროკინს პორნოგრაფიის გავრცელებაში ადანაშაულებენ. "ამ სამარცხვინო საქმესთან დაკავშირებით ჩვენების მიცემაზე უარი ვთქვი. ჩემი აზრით, ეს დამამცირებელია ჩემთვის, როგორც მწერლისთვის და მთლიანად რუსული ლიტერატურისთვისაც. აბსურდის თეატრში მონაწილეობის მიღების სურვილი არ მაქვს", - განაცხადა მან ჟურნალისტებთან საუბარში.

სოროკინის ადვოკატის ჰენრი რეზნიკის განმარტებით კი, მისმა კლიენტმა გამოიყენა კონსტიტუციური უფლება, რომელიც მოწმის იმუნიტეტს ეხება. უფრო ზუსტად, რუსეთის მოქალაქეს აქვს უფლება საკუთარი თავის, ნათესავებისა და ახლობლების წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარი თქვას. დუმილის არჩევა სოროკინის მხრიდან კონსტიტუციის სწორედ ამ მუხლის გამოყენებას ნიშნავდა.

მის წინააღმდეგ აღძრული საქმის გამო სოროკინმა ასეთი კომენტარი გააკეთა: "ლიტერატურა ველური თავისუფლებაა. მისი კასტრირება ლიტერატურის მოკვლას ნიშნავს". მისივე თქმით, პორნოგრაფია ლიტერატურაში არ შეიძლება იყოს: "პორნოგრაფია სხვა ადგილებში გვხვდება". სოროკინის ნაწარმოებში პორნოგრაფიულს ვერაფერს ხედავს მისი ადვოკატიც: "სოროკინის წიგნში მხოლოდ ტოტალიტარიზმის ზიზღი დავინახე", - დასძენს ის.

## ავღანელები 11 სექტემბრის გამოფენას ეცნობიან

დანგრეული მანჰეტენის ამსახველი ფოტოგამოფენა ქაბულშიც ჩაიტანეს. ექსპოზიცია, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტებზეა აგებული, ქაბულის ნაციონალურ გალერეაში გაიხსნა. პროექტი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და ნიუ იორკის მუზეუმის მხარდაჭერით განხორციელდა. ფოტოგრაფმა ჯოელ მეიეროვიცმა გამოფენისთვის 27-მდე ნამუშევარი შეარჩია. როგორც გამოფენისადმი მიძღვნილ ბუკლეტშია აღნიშნული, პროექტის მიზანია, ტერაქტების მასშტაბის ასახვა და საზოგადოების დარწმუნება, რომ ეს საფრთხე ნებისმიერი ქალაქისთვის არსებობს. ამიტომ ტერორიზმის განადგურება თითოეული ჩვენგანის მიზანი უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ ქაბულის გამოფენა ავღანელებს საშუალებას აძლევს ამერიკული ტერაქტების შედეგები პირველად იხილონ.

## სპირსი ბოდიშს იხდის

ბრიტნი სპირსის მსოფლიო ტურნე მექსიკაში წარმატებით დასრულდა. თუმცა, მოხდა პატარა ინციდენტი, რომლის გამოც მომღერალი იძულებული გახდა, მექსიკელებისთვის ბოდიში მოეხადა. საუბარია, შეურაცხმყოფელ ჟესტზე, რომლითაც ბრიტნიმ აბეზარი პაპარაცები მოიგერია. თუმცა, თითების კომბინაციით გამოხატული ეს ემოცია მექსიკელებმა საკუთარ შეურაცხყოფად მიიღეს და მომღერალს პასუხიც მოსთხოვეს. სპირსი იძულებული გახდა, განემარტა, რომ ისიც ადამიანია და ხანდახან გაბრაზების უფლება მასაც აქვს. თუმცა, საგანგებოდ აღნიშნა, რომ მისი ჟესტი მხოლოდ და მხოლოდ ფოტოგრაფებისთვის იყო მიზნული და არა მთლიანად მექსიკელ თაყვანისმცემელზე.

## შვარცნეგერი იუბილარია

დღეს ჰოლივუდში დიდი ზეიმია – არნოლდ შვარცნეგერი 55 წლის იუბილეს აღნიშნავს. თუმცა, არანაკლები ენთუზიაზმით აღნიშნავენ ამ თარიღს ავსტრიულ ქალაქ გრაცშიც – მიუხედავად იმისა, რომ შვარცნეგერს, უკვე დიდი ხანია, ჰოლივუდელი ჰქვია, ის თავის მშობლიურ ქალაქში ძველებურად უყვართ.

შვარცნეგერი გრაცში, 55 წლის წინ დაიბადა პოლიციელის ღარიბ ოჯახში. 18 წლის ასაკში ავსტრიის არმიაში იმ მიზნითაც ჩაეწერა, რომ ყოველდღიური ულუფა ჰქონოდა. შემდეგ ბოდიბილდინგმა გაიტაცა და ჯერ ევროპელ იუნიორებს შორის მოიპოვა გამარჯვებულის ტიტული, შემდეგ კი მისტერ სამყარო და მისტერ ოლიმპიც გახდა... მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. დღეს კი შვარცნეგერის ცხოვრებაზე, ალბათ, ერთი კარგი ჰოლივუდური ფილმის გადაღებაც შეიძლება. სანამ ამ იდეას ვინმე განახორციელებდეს, შვარცნეგერს სხვისი როლების თამაში უწევს. მისი ბოლო ნამუშევრებია: 2001-02 წლების "საერთო ზარალი" და "ტერმინატორი-3".

# მზადება კინემატოგრაფის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფილმის გადასაღებად

ნანა ბასილაშვილი

კინორეჟისორი ბაზ ლურმანი, რომელმაც სახელი "რომეო და ჯულიეტათი" და "მულინ რუჟით" გაითქვა, ახალ ფილმს იღებს ალექსანდრე მაკედონელზე.

მსოფლიო კინოს ისტორიაში დიდი შეჯიბრი მიმდინარეობს. გამოცხადებულია ტენდერი, რომლის პირობები ბოლომდე ჯერ კიდევ არაა გარკვეული. რამოდენიმე კინოკომპანია, ყველაზე წარმატებული და იღბლიანი პროდიუსერები, გამოჩენილი კინორეჟისორები, ყველა ამ ფილმის გადასაღებად ემზადება. თუმცა, ყველაზე უფრო რეალურია, რომ მსოფლიო დამპყრობელზე კინოპროდუქციას ბაზ ლურმანი შექმნის.

მსოფლიო კინემატოგრაფიის ვეტერანი, გამოჩენილი პროდიუსერი დინო დე ლაურენტი და რეჟისორი ბაზ ლურმანი ფილმ "ალექსანდრე დიდის" გადასაღებად ემზადებიან. ჯგუფი მუშაობის დაწყებას მომავალი წლის იანვარში აპირებს. ფილმს მაროკოში გადაიღებენ და ამაში მათ Universal Pictures-ი და Twentieth Century fox-ი დაეხმარებათ. ამავე დროს მათ დიდი დახმარება შესთავაზა მაროკოს მეფე მუჰამედ VI-მ, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, კინოს დიდი თაყვანისმცემელია. იგი მზადაა, საკუთარი ხარჯებით გააშენოს პავილიონები და მასობრივი სცენებისათვის ქვეყნის არმიიდან 1500 ჯარისკაცი გამოყოს.

ფილმის საწყისი ბიუჯეტი 140 მილიონ დოლარს შეადგენს. ასე რომ, საბოლოოდ, ეს ფილმი, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფილმი აღმოჩნდეს კინოს ისტორიაში.

აქამდე დიდი მხედართმთავრის ბიოგრაფიის ეკრანიზაციის მცდელობა ჰქონდა რეჟისორ ოლივერ სტოუნს. იგი გადაღებების დაწყებას უკვე 16 ოქტომბერს აპირებს. მთავარ როლში მან კოლინ ფარელი მოიწვია. მის პროექტს კომპანია Intermedia დააფინანსებს. გარდა ამისა, ფილმის გადაღების სურვილი რეჟისორმა მარტინ სკორსეზემაც გამოთქვა, რომელიც მაკედონელის როლს ლეონარდო დი კაპრიოს შესთავაზებს. თუმცა, მანამდე მას სურვილი აქვს გადაიღოს ფილმი ჰოვარდ ჰიუზზე, რომელშიც ასევე ითამაშებს "ტიტანიკის" მთავარი როლის შემსრულებელი. მათ შორის, ვინც მაკედონელზე ფილმის გადაღების სურვილი გამოთქვა, მელ გიბსონიც არის, თუმცა საამისოდ მან ფინანსები ვერ მოიძია.

ფილმის "კრავთა დუმილის" სცენარის ავტორის, ტედ ტალის ახალ სცენარს რიდლი სკოტი გაეცნო, მაგრამ იგი სხვა პროექტით დაინტერესდა. ასე რომ, ყველაზე კარგი შანსი ჯერ-ჯერობით ლურმანს აქვს. ბაზ ლურმანისთვის მაკედონელი ქარიზმატული პიროვნებაა, რომელმაც თავისი ომებით სამყარო შეცვალა.

რეჟისორი ბიუჯეტით მაინცდამაინც შეზღუდული არაა, ამიტომაც იგი კონცენტრაციას ისტორიის ეპიკურ ასპექტებზე აპირებს. "პეიზაჟების პოეზია, ფანტასტიკური ბრძოლები, სურათში წამყვან ადგილს დაიკავებს. ამჟამად ჩვენ ძალიან ვცდილობთ გავიგოთ, თუ რა გველის და ამავე დროს სწორედ ახლა გვჭირდება ყველაზე მეტად წარსულის გაკვეთილები"- ამბობს ბაზ ლურმანი.


ბაზ ლურმანი


პროდიუსერი დინო დე ლაურენტისი მეუღლესთან ერთად

ფეხბურთი

# ვერონი „ოლდ ტრაფორდზე" დარჩება



ხუან სებასტიან ვერონი REUTERS

ამას წინათ იტალიურ-ინგლისურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია – "ლაციო" და "მანჩესტერ იუნაიტედი" ბარტერულ გაცვლას აპირებენ. ვერონი რომში დაბრუნდება, ხოლო კრესპო და სორინი ნისლიან ალბიონს მიაშურებენო. ამ ბარტერის არგუმენტად ხუან სებასტიან ვერონის პერსონა სახელდებოდა.

კერძოდ ის, რომ ვერონმა ვერ მოინადირა "ოლდ ტრაფორდის" გულშემატკივართა გულები. მსოფლიო ჩემპიონატის წინ კი არგენტინელ პლეიმეიკერსა და "მანჩესტერ იუნაიტედს" შორის მდგომარეობა უფრო გართულდა. მოგეხსენებათ, ინგლისისა და არგენტინის ნაკრები გუნდები ერთ ქვეჯგუფში მოხვდნენ. სერ ალექს ფერგიუსონმა არგენტინელი ნახევარმცველი სათადარიგოთა სკამზე გაამწესა, ხოლო "მანჩესტერის" ფანები ვერონის მიმართ მწვავე და ხანდახან რასისტულ გამონათქვამებსაც არ ერიდებოდნენ.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ სერ ალექსს თავისი ფეხბურთელის დაცვა მოუწია. ვერონმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, ხოლო ფერგიუსონმა თავისი გამთამაშებლის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურა. "ვერონი დიდი ფეხბურთელია. ის "მანჩესტერ იუნაიტედს" ძალიან სჭირდება და ამიტომ ვიყიდეთ," – განაცხადა მაშინ სერ ალექსმა.

მას შემდეგ მდგომარეობა განიმუხტა. ინგლისმა არგენტინას მოუგო და ვერონსაც აღარავინ ერჩოდა, მაგრამ ინგლისურ-იტალიური მედია სწორედ ამ ამბებს გულისხმობდა, როცა აცხადებდა, რომ ვერონმა "ოლდ ტრაფორდელების" გულები ვერ დაიპყრო და აუცილებლად შეელევიანო. სინამდვილეში კი საქმე აბსოლუტურად სხვაგვარად წარმოჩინდა..

არავითარ ბარტერზე საუბარი არ არის და მიმომხილველების ვარაუდით, ეს ჭორი რომის "ლაციოს" აგორებულია. მიზანი? - მიჩქმალოს ფინანსური სიძნელეები, რომელიც კლუბს ბოლო პერიოდში თავს დაატყდა და რომლის გამოც შეიძლება სერია "ბ"-ში დააქვეითონ. ანუ საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს ვერონის შესაძენი თანხა აქვს, მაგრამ ფინანსური ოპერაცია საჭირო არ არის და არგენტინელის დაბრუნება ბარტერის საფუძველზე, შეიძლება.

ამის ვარაუდის საფუძველს თავად ხუან სებასტიან ვერონის აგენტი იძლევა. მან სასწრაფოდ უარყო ხმები ბარტერული გაცვლის შესახებ და მეტად საინტერესო განცხადება გააკეთა:

"ვერონი "ოლდ ტრაფორდზე" დარჩება – აი კრესპოს, სორინს, ან ორივეს ერთად კი, როგორც ჩანს, "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლა მოუწევთ. "ლაციოს" დღემდე არ გაუსტუმრებია "მანჩესტერ იუნაიტედის" ვალი, რომელიც მას ჰოლანდიელი იაპ სტამის ტრანსფერის გამო დაეკისრა. აღნიშნული წყვილი კი თავისუფლად შეიძლება ამ ვალის დასაფარად გამოდგეს."

# არც ერთი იყო შოტლანდიელი და არც მეორე იტალიელი

## კალაძემ მზადება არველაძის წინააღმდეგ თამაშით დაიწყო

პაატა თოთაძე

საფეხბურთო სამყაროში გამუდმებით იმაზე საუბრობენ, რომ ფეხბურთელებს ძალიან გადატვირთული კალენდარი აქვთ და სათანადოდ ვერ ახერხებენ დასვენებას. ამის დასადასტურებლად განვლილი მსოფლიო ჩემპიონატი მოჰყავთ, სადაც ევროპელებმა ვერ აჩვენეს საკადრისი თამაში იმის გამო, რომ ფეხბურთელები მეტისმეტად გადაღლილები იყვნენ. გადატვირთული კალენდარი თავისთავად ბევრ თამაშს ნიშნავს, ასე რომ, ფეხბურთის მოყვარულთ მოწყენის საშუალება ნამდვილად არ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ სხვანაირად კი ხდება. თითქოს დიდი დრო არაა გასული მუნდიალის დამთავრებიდან, მაგრამ ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივრები მის ნაკლებობაზე უკვე წუწუნებენ.

დღითი დღე სულ უფრო და უფრო მცირე დრო რჩება ეროვნული ჩემპიონატების დაწყებამდე, ამას საკლუბო ტურნირებიც დაემატება და გულშემატკივარსაც ეშველება. თუმცა, ამ პერიოდის დადგომამდე გუნდები ცდილობენ დარჩენილი დრო, შეჯიბრისთვის უკეთ მოსამზადებლად, მაქსიმალურად გამოიყენონ. უმეტესობას უკვე კარგა ხნის დაწყებული აქვს მოსამზადებელი ეტაპი, ზოგიც ახლა იწყებს.

შოტლანდიურმა "გლაზგო რეინჯერსმა", რომელშიც ქართველი ფორვარდი შოთა არველაძე თამაშობს, ქვეყნის ჩემპიონატისთვის მზადება თვის დასაწყისში დაიწყო, შუა რიცხვებში კი ამერიკაში გაემგზავრა და რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართა. გუნდის მწვრთნელის ალექს მაკლიშის თქმით, სწორედ ამხანაგურ მატჩებს უნდა გაერკვია იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომელთაც ფრიად რთული მისია – "სელტიკის" ჰეგემონიის დამხობა დაევალებოდათ. შოტლანდიელები - ჯერ ბრაზილიურ "სანტოსს", შემდეგ კი არგენტინულ "რივერ პლეიტს" გაეჯიბრნენ. წაგების მიუხედავად, მაკლიში შეგირდთა თამაშით კმაყოფილი დარჩა. მისი აზრი კი ჩვენთვის იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც იგი შოთა არველაძეს ეხება: "დამარცხების მიუხედავად, ბიჭებს ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშიათ. ბოლოს და ბოლოს ჩვენი მეტოქეები საქვეყნოდ ცნობილი და თავიანთ ქვეყნებში წარჩინებული კლუბები იყვნენ. განსაკუთრებით თავდამსხმელთა თამაშის გამოყოფა მინდა, სადაც ერთმანეთის მხარდამხარ არველაძე, კანიჯა, მოლსი, ფლო თამაშობენ. ტრავმის შემდეგ არველაძემ სრულად აღიდგინა ფორმა და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა".

"რეინჯერსისგან" განსხვავებით, იტალიურმა "მილანმა" გუშინ სწორედ მასთან ჩაატარა პირველი საწვრთნელი შეხვედრა. მატჩი სრულად ჩაატარეს კალაძემ – იტალიელთა შემადგენლობაში, არველაძემ - "რეინჯერსში." კარლო ანჩელოტიმ რამდენიმე წამყვანი მობურთალი მოისაკლისა, რაც გახდა კიდეც მიზეზი უპირატესობა მეტოქისთვის დაეთმო. ინძაგი და ამბროზინი იტალიაში დარჩნენ, ჰელვეგი და ლაურსენი ტრავმებს იშუშებენ, როკე ჟუნიორი კი ბრაზილიაშია და გუნდს 31 ივლისს შეუერთდება.

როგორც აღვნიშნეთ, მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, განსაკუთრებით პირველი ტაიმი, როცა სკოტებმა ორჯერ შეძლეს მეტოქის კარის აღება. თუმცა, ტაიმის მიწურულს, "მილანის" მაისურით პირველად მოთამაშე იონ დალ ტომასონმა ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. შესვენების შემდეგ თამაშის სურათი დიდად არ შეცვლილა, უპირატესობას კვლავაც მასპინძლები ფლობდნენ. შეხვედრის მიწურულს კი ბორიელომ აღიდგინა წონასწორობა. მასპინძელთა შეტევების მოგერიებაში დიდი როლი შეასრულა კახა კალაძემ, რაც მატჩის შემდგომ აღნიშნა კიდეც კარლო ანჩელოტიმ, აი მეტოქე მცველებს კი ძალიან გაუჭირდათ ანდრეი შევჩენკოს შეჩერება. მართალია, უკრაინელმა თავად ვერ მოახერხა გოლის გატანა, მაგრამ თანაგუნდელებს კი გაატანინა.

ანჩელოტისგან განსხვავებით, მაკლიში თამაშის ხარისხით, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილო დარჩა. მწვრთნელს განსაკუთრებით მცველთა თამაში არ მოსწონებია, ნახევარმცველებისა და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, თავდამსხმელების მიმართ ის უფრო მოწყალე იყო. "გაოცებული ვარ მცველთა თამაშით. წინა შეხვედრებში ისინი უფრო კარგად თამაშობდნენ და ამიტომ მათი ამჟამინდელი მოქმედების ახსნა მიჭირს. ყველაფერს მოგვიანებით გავარჩევთ და სათანადო დასკვნებსაც გამოვიტანთ. კიდევ კარგი, ნახევარდაცვამ და თავდასხმამ ითამაშა ნორმალურად, თორემ სასტიკად დავმარცხდებოდით", - აღნიშნა მაკლიშმა. მწვრთნელის აზრს თუ გავითვალისწინებთ, და კიდევ იმას, რომ სხვებისგან განსხვავებით, ის არველაძეს სრულად ათამაშებს, მაკლიში ჩვენებურს ბოლომდე ენდობა და მომავალ სეზონშიც მისი იმედი აქვს.



აკრობატიკა შოთა არველაძის შესრულებით

# ბრაზილიური თემიდა

### რივალდო რონალდოს წინააღმდეგ

მსოფლიო ფეხბურთის ახალი ინტრიგა – რივალდო რონალდოს წინააღმდეგ. ეს, ასე ვთქვათ, მილანურ-ბრაზილიური დერბი, წელს, როგორც მინიმუმ, ორჯერ შედგება და ბევრი გულშემატკივრის გულს აადგერებს. ყოველ შემთხვევაში, კლუბის ახალწვეულ რივალდოს ამის დიდი იმედი აქვს და მილანურ დერბის მოუთმენლად ელის.

"წარმოდგენაც კი არ შემეძლო, რომ ეს ფაქტი რეალობად გადაიქცეოდა, – ამბობს რივალდო, – თუმცა "სან-სიროს" ახალი ინტრიგა გულშემატკივართათვის სასარგებლო იქნება". ბრაზილიელი თავის ახალ კლუბს უახლოეს ხუთშაბათს შეუერთდება.

რივალდოს თქმით, "მილანში" გადასვლაზე უმთავრესი როლი მიუძღვით კლუბის ბრაზილიელ ლეგიონერებს – სერჟინიოს, როკე ჟუნიორს და დიდას. "მათ ბევრი ვესაუბრე და არჩევანთან დაკავშირებით ყველა ეჭვი მომეხსნა, – თქვა "ბარსელონას" ყოფილმა ვარსკვლავმა, – სხვა წინადადებებიც მქონდა, მაგრამ ღირსებისამებრ სწორედ "მილანმა" დამაფასა, როგორც მსოფლიო ჩემპიონი. მივხვდი, რომ კლუბი საკმაოდ თავმოყვარეა და ჩემი იმედი აქვს".

ბრაზილიელმა ისიც განაცხადა, რომ დიდი ხანია, სერია "ა"-ში თამაშზე ოცნებობს. ჯერ კიდევ 1996 წელს, "დეპორტივოს" ნაცვლად, ფეხბურთელი კინაღამ "პარმაში" აღმოჩნდა, რომელსაც ამ პერიოდში "მილანის" ამჟამინდელი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ავარჯიშებდა.

### რონალდომ სკოლარის უპასუხა

ვიდრე მილანური დერბი შედგება, "ინტერის" ბრაზილიელ ფორვარდ რონალდოს თავისი საქმეები აქვს მოსაგვარებელი. მას ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ნამდვილი დებატები გაუმართა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.

სკოლარის თქმით, მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებული თამაშის მიუხედავად, რონალდო ვერასოდეს გახდება ის, რაც იყო.

მწვრთნელის არგუმენტი ასეთია – ორი უმძიმესი ოპერაცია და ორი წელი ფეხბურთის გარეშე არ შეიძლება, უკვალოდ გაქრეს, თანაც რონალდოს წონასთან დაკავშირებით პრობლემები გაუჩნდა. ამიტომ ბრაზილიელი ვარსკვლავი 100 პროცენტით თავის გამოვლენას ველარასოდეს შეძლებს.

ასეთმა უცნაურმა დიაგნოზმა ფეხბურთის სპეციალისტთა გაკვირვება გამოიწვია. რონალდო ხომ რვა გატანილი გოლით მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

"ინტერის" ვარსკვლავმა გაკადნიერებულ მწვრთნელს თავისი ინტერნეტ-საიტის საშუალებით უპასუხა. მან უარყო სკოლარის მოსაზრება და განაცხადა: "თავს ისე ვგრძნობ, როგორც არასდროს. ენერგია 100 პროცენტით კი არა, 200 პროცენტით მაქვს მოზღვავებული. მინდორზე გამოვდივარ და ისე ვთამაშობ, რომ მატჩის დამთავრების შემდეგ ტკივილს არ ვგრძნობ. მსოფლიო ჩემპიონატზე სწორედ ამიტომ ვითამაშე კარგად.

უშუალოდ სკოლარის კრიტიკას რაც შეეხება, რონალდომ თქვა: "ფეხბურთის თამაშისას ერთ ჭეშმარიტებას წავაწყდი - ზოგიერთებისთვის წარმატება უკუჩვენებას იძლევა და ღირსეულად მოქცევა უფრო უჭირს, ვიდრე წარუმატებლობის შემთხვევაში".



რონალდო REUTERS



რივალდო REUTERS

# კარნევალე დააპატიმრეს

წარსულში ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი ანდრეა კარნევალე ნარკოტიკების გავრცელებისთვის დააკავეს. ოპერაციის მსვლელობისას, რომიდან პალერმომდე მონაკვეთში, 11 ადამიანი არის დაპატიმრებული.

კარნევალეს გარდა, დაკავებულთა შორისაა მსხვილი საქმოსანი და მეწარმე ალესანდრო მარტელო, რომელიც, მისი საწარმოს პრესცენტრის ინფორმაციით, იტალიის ეკონომიკის მინისტრის მოადგილესთან, ჯანფრანკო მიკესთან თანამშრომლობდა. თავის მხრივ, მიკე დაკავებულთან ყოველგვარ კავშირს უარყოფს. დაპატიმრებულთა სიაში პოლიციის აგენტის სახელიც ფიგურირებს. რომში იტალიის პროკურატურის პრესცენტრის ინფორმაციით, გამოძიება, რომელსაც შედეგად ცნობილი ადამიანების დაპატიმრება მოჰყვა, ერთი თვის წინათ დაიწყო.

# სპორტინგს" ნუნუ გომეში მოუნდა

ლისაბონის "სპორტინგი" ნუნუ გომეშით დაინტერესდა. გომეში ამჟამად იტალიის "ფიორენტინას" საკუთრებაა, გუნდისა, რომელიც გაკოტრების პირას მივიდა და თანახმაა, ყველა ფეხბურთელი გაყიდოს. ამიტომ პორტუგალიელებს იმედი აქვთ, რომ გომეში ძვირი არ დაუჯდებათ. ლისაბონური კლუბის ხელმძღვანელობა ნუნუ გომეშით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც გუნდის ლიდერმა, ბრაზილიელმა მარიო ჟარდელმა "სპორტინგის" დატოვების სურვილი გამოთქვა.

# "ეკვადორელი ბექჰემი" ბირმინგემში

ბირმინგემის "ასტონ ვილამ" კონტრაქტი გააფორმა ეკვადორის ნაკრების ნახევარმცველ ულისეს დე ლა კრუსთან. ეკვადორელში ბირმინგემელებმა შოტლანდიურ "ჰიბერნიანს" 1,75 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადეს. "ულისესი ეკვადორელი დევიდ ბექჰემია, ეკვადორული ფეხბურთის კაშკაშა ვარსკვლავი. დარწმუნებული ვარ, დე ლა კრუსი ჩვენს გულშემატკივრებს მოეწონებათ. მას შეუძლია, მთელი მარჯვენა ფრთა ჩაკეტოს. უაღრესად ძლიერი და სწრაფია. რაც მთავარია, კრუსი ორივე ფეხით კარგად ურტყამს", - განაცხადა "ასტონ ვილას" მწვრთნელმა გრემ ტეილორმა.

# ელგერა სამშობლოში დაბრუნდა

ესპანელი ნახევარმცველი ლუის ელგერა პირენეებზე დაბრუნდა. იგი იტალიურ "უდინეზეში" თამაშობდა, მაგრამ კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, რის გამოც ესპანურ "ალავესში", იჯარის წესით, გაანათხოვრეს. შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი ტრანსფერსაც ითვალისწინებს, თუ ბასკური "ალავესი" ამით დაინტერესდება. შეგახსენებთ, რომ ივან ელგერას ძმა "უდინეზეში" 2000 წელს "სარაგოსადან" გადავიდა.

# ლუის ვან გაალი: "რიკელმე პრობლემებს ქმნის"

დაბრუნდა ვან გაალი და დაიწყო "ბარსელონას" პრობლემები. ჰოლანდიელი სპეციალისტი ძალიან უცნაური კაცია.

ის ფეხბურთელებისგან უნივერსალიზმს ითხოვს და მათ მუდმივად გადააადგილებს. ამის გამო მოუხდა მას კონფლიქტი რივალდოსთან და "ბარსამაც" დაკარგა თავისი ვარსკვლავი.

როგორც ჩანს, უპრობლემო არც არგენტინელ რიკელმესთან ურთიერთობა იქნება. რიკელმე არგენტინული "ბოკა ხუნიორსიდან" "ბარსამ" სწორედ რივალდოს შემცვლელად შეიძინა. არგენტინელმა თავის კლუბში თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა პლეიმეიკერმა. ვან გაალმა კი მას მოედნის ცენტრში, მარცხენა ჰაუბეკის პოზიციაზე თამაში მოსთხოვა.

რიკელმე დაიბნა, თავისი ფუნქცია ვერ გაიგო და გუნდს დიდი პრობლემები შეუქმნა. "ბარსელონა" ამხანაგურ შეხვედრაში დამარცხდა საფრანგეთის "გრენიობლთან", რომელიც ქვეყნის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის ბინადარია და წლევანდელ სეზონში მე-16 ადგილზე გავიდა.

ვან გაალმა სწორედ რიკელმეს დააყარა ქოქოლა. "რიკელმე "ბოკაში" პლეიმეიკერის პოზიციაზე თამაშს შეეჩვია, - ამბობს ჰოლანდიელი მწვრთნელი, - მაგრამ "ბარსელონაში" მას ათი მეტრით მარცხნივ გადაწევა მოუწევს. "გრენიობლთან" შეხვედრაში რიკელმემ თავისი ამოცანა ვერ გაიგო და თანაგუნდელებს გამუდმებით პრობლემებს უქმნიდა, რადგან ისე ვერ ითამაშა, როგორც საჭირო იყო".

Tour de France

# ლანს არმსტრონგი: მე დავბრუნდები!

ლუჩანო ტაიოლი

მელუნი პარიზი
სპეციალურად "24 საათისთვის"

ყველაფერი საოცრად ნაცნობი და ჩვეულებრივი იყო იმ დღესაც. ჩამოქვეითებული პელოტონი ეტაპის ხელმძღვანელის ნიშანს ელოდებოდა. წინა რიგში ჩვეულებისამებრ იდგნენ ტურის ლიდერები სხვადასხვა ნომინაციებში. მზეზე ბრჭყვიალებდა მწვანე, წითელხალებიანი, თეთრი და, რაღა თქმა უნდა, ყვითელი - ტურ დე ფრანსის ყველაზე ლამაზი, ყველაზე კაშკაშა და ყველაზე მნიშვნელოვანი ფერი.

ტრადიციულად მძიმედ, ნება-ნება დაიძრა პელოტონი. თუმცა, ეს იყო და ეს. ასე ტაატით განაგრძო ვეებერთელა ქარავანმა პარიზისკენ მიმავალი გზა. აღარც ტემპი, აღარც შეტევა, აღარც გამქცევები თუ რეკლამის მოსურნე ცალკეული ავანტიურისტები.

ასეც იქნება პარიზამდე. იქ კი, ელისეს მინდვრებზე, უკვე მერამდენეჯერ გახურდება უკანასკნელი ჯილდოსთვის ბრძოლა.

ტრადიციულად, პარიზული ეტაპისთვის ტურს ყველა პრობლემა მოგვარებული აქვს. ამჯერად ასე არ მოხდა. ამჯერად გასარკვევი დარჩა, ვის დარჩებოდა საუკეთესო სპრინტერის ტიტული. პრეტენდენტი ორი იყო: ექვსგზის გამარჯვებული ერიკ ზაბელი და ამავე ტიტულზე საკუთარი და საკმაოდ ამბიციური პრეტენზიების მქონე ავსტრალიელი რობი მაკ'ივენი.

სხვა დანარჩენი მშვენივრად მოთავსდა დღესასწაულის ჩარჩოში. ეს ნელი, საზეიმო სვლაც, ეიფელის, ლუვრისა და ტრიუმფალური თაღის მიდამოებში თეატრალიზებული სპორტული ქროლვაც და, ბოლოს დაჯილდოების ცერემონიალი.

რა თქმა უნდა, იყო ფინიშიც, ნამდვილი, დაძაბული, ისეთი, რომ გამარჯვებული კარგა ხანს ვერაფერს პასუხობდა გარსშემოხვეულ ჟურნალისტებს. გამარჯვებული კი - იმ დღეს, ალბათ, ყველაზე ბედნიერი - მაკ'ივენი იყო. საუკეთესო სპრინტერის ტიტულს ადრესატი და ადგილსამყოფელი შეეცვალა - რობი მაკ'ივენი, ავსტრალია.

ტურ დე ფრანსი ველომრბოლთა ოლიმპიური თამაშებია თავისი სახელდახელოდ მოწყობილი ოლიმპიური სოფლებით, ბევრი გამარჯვებულითა და ბევრი რეკორდით, სამიათასკილომეტრიანი, ყოველგვარი მოძრაობისგან თავისუფალი გზით, და მერე რა გზით - ერთ გადაკერებულ ადგილს რომ ვერ ნახავ მიუვალ მთებსა და ტყე-ღრეში. ტურს ყოველდღე ორი ვერტმფრენი და ათჯერ მეტი მოტოციკლი, კიდევ უფრო მეტი ავტომობილი ემსახურება.

ტურ დე ფრანსი არნახული ვნებების წყაროა - სიხარული და იმედგაცრუება, ყოველდღიური წვრილმანები, ყოფითი ამბები - მთელი ეს უზარმაზარი ქარავანი ხომ სამი კვირის მანძილზე გზაში - ავტობუსებსა და მანქანებში ცხოვრობს. სამწუხაროდ, არც ტრაგედიებია იშვიათი. დიდი შავი და მძიმე ლაქა გააყოლა ტურს შვიდი წლის ბავშვის ტრაგიკულმა სიკვდილმა. სამწუხაროდ, ტურმა ბევრი ამისთანა მწარე სიკვდილი იცის და, ალბათ, იმიტომაც ამბობენ - თუ ერთხელ მაინც გაიარე ეს გზა ბოლომდე, ერთხელ უკვე გიცხოვრიაო.

ერთ-ერთ პირველ წერილში გზის პირას აღმართულ ობელისკებზე ვწერდი. ისე არ დასრულდება ტური, რომ ერთ ასეთ ობელისკს მაინც არ ჩაუაროს-მეთქი. წლეულსაც ჩაუარა და მკითხველთან ერთად აუცილებლად უნდა გავიხსენო 1995 წელს პორ დ'ასპეს წვეროდან დაშვების დროს დაღუპული იტალიელი ფაბიო კაზარტელი.

ტურ დე ფრანსი ცხოვრებაა, თავისი კარგითა და ცუდით, ამაღლებულითა და არც ისე სასიამოვნო გასახსენებელით. ტურ დე ფრანსზე ფეხს იდგამენ სპორტსმენები, ფრთიანდებიან და მერე, უკვე ვეტერანები, გულისტკივილით ემშვიდობებიან ამ საოცარ ტურნირს.

და, აი, იმათი დროც დადგა. ფრანგი ლორან ჟალაბერისა და გერმანელი ერიკ ზაბელის. ორივეს სისხლში აქვს გამჯდარი ტურის ყველაფერი კარგი და ყველაფერი ცუდიც. დღეს ორივეს თანაგრძნობა სჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ ერთმა მაჟორულ ტონალობაში დაასრულა კარიერა, მეორეს კი შვიდი წლის მანძილზე პირველად მოეცარა ხელი. ორივეს სჭირდება თანაგრძნობა, რადგან ორივე ტოვებს დიდ სპორტს, ორივე ემშვიდობება ტურ დე ფრანსს.

ეს ცხოვრებაა. ასეთია ტურ დე ფრანსი.

მაგრამ, აი, სახელდახელო კვარცხლბეკი პირდაპირ ტრიუმფალური თაღის ფონზე.

თანამედროვეობის ორი სახელოვანი ველოსიპედისტი. ოთხგზის ჩემპიონი ლანს არმსტრონგი და მთის მეფე ლორან ჟალაბერი.


არმსტრონგი და ჟალაბერი მონაგართან
REUTERS

ცოტა ხნის შემდეგ კი საოცარი სისწრაფით ამუშავდნენ ფოტო და ტელეობიექტივები:

დიდ სპორტსმენთა მხრებზე და კისერზე უდარდელად მოკალათებულიყვნენ წითელხალებიანი სამი პატარა ჟალაბერი და ასევე სამი ერთი ციცქნა არმსტრონგი.

ტექნიკური შედეგები

XX ეტაპი. მელუნი - პარიზი. 144 კმ.
1. რობი მაკ'ივენი ("ლოტო", ავსტრალია) - 3 სთ. 30 წთ. 47 წმ.
2. ბადენ კუკი (FDJ, ავსტრალია) - იგივე დრო
3. დამიან ნაზონი ("ბონჟური", საფრანგეთი) - იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**
1. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) - 82 სთ. 05 წთ. 12 წმ.
2. ხოსება ბელოკი ("ონსე", ესპანეთი) - +7 წთ. 17 წმ.
3. რაიმონდას რუმსასი ("ლამპრე", ლიტვა) - +8 წთ. 17 წმ.

**მთის მეფე**
1. ლორან ჟალაბერი (CSC ტისკალი, საფრანგეთი) - 262 ქულა
2. მარიო აერტსი ("ლოტო", ბელგია) - 178
3. სანტიაგო ბოტერო ("კელმე", ესპანეთი) - 162

**გუნდური**
1. ონსე - 246 სთ. 36 წთ. 14 წმ.
2. US პოსტალი - +22 წთ. 49 წმ.
3. CSC ტისკალი - +30 წთ. 17 წმ.

**საუკეთესო სპრინტერი**
1. რობი მაკ'ივენი ("ლოტო", ავსტრალია) - 280 ქულა
2. ერიკ ზაბელი ("ტელეკომი", გერმანია) - 261
3. სტიუარტ ო'გრეიდი ("კრედიტ აგრიკოლა", ავსტრალია) - 208

**ყველაზე აქტიური ველომრბოლი**
1. ლორან ჟალაბერი (CSC ტისკალი, საფრანგეთი) - 100 ქულა
2. ფრენკ რენიე ("ბონჟური", საფრანგეთი) - 50
3. ტორ ჰუშოვდი ("კრედიტ აგრიკოლა", ნორვეგია) - 35

**საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლი**
1. ივან ბასო ("ფასა ბარტოლო", იტალია) - 82 სთ. 24 წთ. 30 წმ.
2. ნიკოლას ვოგონდი (FDJ, საფრანგეთი) - +13 წთ. 26 წმ.
3. კრისტოფ ბრანდტი ("ლოტო", ბელგია) - +48 წთ. 32 წმ.

საწყლოსნო სპორტი

# ტრამპლინიდან სენსაცია გადმოხტა

გიგა გურასაშვილი

ქალთა შორის სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულად ხტომაში ელექტროტაბლოზე აკიაფებულ საბოლოო შედეგს ახლდა როგორც გაოცება, ისე სიხარული. უხაროდათ ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ გერმანელებს. წუხილი და დარდი ეტყობოდათ რუსებს.

შეიძლება ითქვას, ასპარეზობის მეოთხე დღეს სენსაციის მოწმენი გავხდით, რადგან ფავორიტად ყველა რუსთა ტანდემს მიიჩნევდა, მაგრამ მასპინძლები სხვაგვარად ფიქრობდნენ. თანაც, გაახსენდათ, რომ ჩემპიონატის ნახევარი ისე გაილია, ერთხელაც არ აჟღერებულა გერმანიის ჰიმნი.

მართალია, გერმანელებს ზოგადად არაერთი ტიტული მოუპოვებიათ წყალში ხტომაში, მაგრამ ვერავინ იფიქრებდა, თუ დიტე კოციანისა და კონი შმალფუსის წყვილი სიდნეის ოლიმპიური თამაშებისა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონებს, ასევე მსოფლიო თასის მომგებ ვერა ილინასა და იულია პახალინას რუსულ დუეტს დაამარცხებდა.

"იმით, რომ მედალი მოვიპოვეთ, ბედნიერები ვართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვერცხლი გვაკმაყოფილებს. მართალია, გერმანელები კარგად გაისარჯნენ, მაგრამ ყველაფერი ბარსელონას მსოფლიო ჩემპიონატზე გამოჩნდება", - იმედიანადაა ილინა.

თანაგუნდელისგან განსხვავებით, უფრო თამამი ჩანდა პახალინა. მისი აზრით, გერმანელთა ჩემპიონობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ევროპაში საუკეთესოები არიან. ამასთან, იმედი აქვს, რომ სხვებიც ასე ფიქრობენ.

ნაკლებ პრეტენზიულები ჩანდა მარია მარკონისა და ტანია კანოტოს ბრინჯაოსანთა იტალიური წყვილი. ამას თავისი მიზეზიც აქვს.

"ჩვენ ბერლინში საპრიზო ადგილის დასაკავებლად ჩამოვედით. ძალიან გვინდოდა, ნავსი გაგვეტეხა. საბედნიეროდ, ეს შევძელით. ჩვენს მიერ მოპოვებული ბრინჯაო იტალიელ წყალში მხტომელ ქალთა შორის პირველი ევროპული ჯილდოა", - ნადავლით კმაყოფილია კანოტო.

მეორე ბერლინური ოქრო ჩამოიკონწიალა ჰოლანდიელმა ედიტ ვან დიიკმა. 10 კილომეტრზე ღია წყალში ასპარეზობისას 29 წლის მოცურავე 600 მეტრის შემდეგ ძლივს დაუსხლტა მეტოქეებს, მაგრამ როდესაც ფინიშის ხაზისგან ასი მეტრილა აშორებდა, ტრაექტორია დაკარგა და მარშრუტიდან გადაუხვია.

საბედნიეროდ, დროზე მოეგო გონს და ჩემპიონობა ორ საათში, 6 წუთსა და 20 წამში მოიპოვა.

"რთული იყო პაექრობა, რადგან 25 კილომეტრზე ასპარეზობის კვალი კვლავაც მეტყობოდა. ფინიშისკენ კი ტივტივასაც ველარ ვხედავდი და ლამის ჩავფლავდი", - განაცხადა ჰოლანდიელმა.

მასპინძელთა ფავორიტმა ანგელა მაურერმა და მისივე თანაგუნდელმა ბრიტა კამრაუმ, შესაბამისად, კვარცხლბეკის მეორე-მესამე საფეხურები დაიკავეს.

ტექნიკური შედეგები
**ვაჟები**
ღია წყალი 10კმ.
1. ვლადიმირ დიაჩინი (რუსეთი) - 1:55.27
2. ევგენი კოშკაროვი (რუსეთი) - 1:55.29
3. ლუკა ბალდინი (იტალია) - 1:56.04

**სინქრონული ცურვა. ჯგუფური**
1. რუსეთი
2. ესპანეთი
3. იტალია


ესპანური სინქრონულობა
REUTERS

NBA

## ტიხონენკო „დენვერში" მიდის

მოსკოვის ცსკა კვლავინდებურად დაინტერესებულია გუნდის ექსმწვრთნელის ვალერი ტიხონენკოს პერსონით. რუსი სპეციალისტი კონტრაქტით ამერიკელებთან არის დაკავშირებული და ნბა-ში მოღვაწეობს. მომავალ სეზონში ტიხონენკო ნბას-ს ერთ-ერთ კლუბში, "დენვერ ნაგეტსში" იმუშავებს. ამ კლუბში ტიხონენკო, სავარაუდოდ, ორ წელიწადს დარჩება, სტაჟირებას გაივლის, კვალიფიკაციას კიდევ უფრო აიმაღლებს, შემდეგ კი მოსკოვში დაბრუნდება და ცსკა-ში გააგრძელებს საქმიანობას.

## კოლინზი „იუტაში" რჩება

"იუტა ჯაზის" გიგანტმა თავდამსხმელმა ჯერონ კოლინზმა თანხმობა განაცხადა "იუტასთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე. ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ კლუბმა კოლინზს ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. რა სახის გასამრჯელოს მიიღებს კალათბურთელი "ჯაზმენებისგან" უცნობია.

კოლინზი "იუტაში" მოხვედრამდე "სტენფორდში" თამაშობდა. "იუტამ" ახალგაზრდა ფორვარდი გასული წლის დრაფტის მეორე ეტაპზე აირჩია. კოლინზმა "იუტაში" კარგად ითამაშა. თითო მატჩში 6,4 ქულას აგროვებდა და 4,2 მოხსნას ასრულებდა.

## ჰარპრინგი „ფილადელფიას" აღარ სჭირდება

"ფილადელფიამ" ყოველგვარი ვალდებულებებისგან გაათავისუფლა ფორვარდი მეტიუ ჰარპრინგი, რომელიც თავისუფალ აგენტად იქცა. "ფილადელფიას" ყოფილი თავდამსხმელით განსაკუთრებით დაინტერესებულია "ჩიკაგო ბულზი" და, გამორიცხული არ არის, ჰარპრინგი მალე ჩიკაგოში გადაბარგდეს.

ჰარპრინგი "ფილადელფიაში" შარშან მივიდა "კლივლენდთან" განხორციელებული ტრეიდის შემდეგ. მან "ფილადელფიას" რიგებში 81 მატჩი ჩაატარა, საშუალოდ თითო შეხვედრაში 11,8 ქულა და 8,1 მოხსნა დააგროვა.

კრივი

## კლიჩკოებმა წიგნი დაწერეს

ცნობილმა უკრაინელმა პროფესიონალმა მოკრივეებმა ვლადიმირ და ვიტალი კლიჩკოებმა ლიტერატურულ ასპარეზზე სცადეს ბედი. ძმები ამჟამად ჰამბურგში ცხოვრობენ. ამ ქალაქის მცხოვრებლებს ძმებმა თავისი ნაწარმოები – "ჩვენი წიგნი ფიტნესის შესახებ" წარუდგინეს.

ავტორთა თქმით, ამ წიგნის მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის ქადაგებაა. "რეგულარულად ვარჯიშის შემთხვევაში მამაკაცებს წიგნი კარგი ფიზიკური ფორმის შენარჩუნებაში დაეხმარება - არ გასუქდება და დაკუნთული სხეულით თავს მოიწონებს", – ამბობს 26 წლის ვლადიმირ კლიჩკო.

წიგნში ჩადებულია მამაკაცის სილამაზის კლიჩკოსეული რეცეპტი, რაც, ძმების ვარაუდით, მამაკაცს მანდილოსნის თვალში უაღრესად მომხიბვლელად წარმოსახავს. კლიჩკოების რეცეპტი გამძლეობას, ძალას, სისწრაფეს, კოორდინაციასა და მობილურობას ემყარება. ყველა მოძრაობა შესაბამისი ილუსტრაციით არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება მოკრივეებს, ამჟამად ისინი კარგ სპორტულ ფორმაში არიან. მიუხედავად იმისა, რომ უფროსმა ძმამ, 31 წლის ვიტალიმ, ორი კვირის წინათ რთული ოპერაცია გადაიტანა, პრეზენტაციაზე მან სპორტული ფორმის შთამბეჭდავი დემონსტრირება მოახდინა.

კლიჩკოების წიგნის პრეზენტაციას გერმანულ პრესაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ჟურნალ "შტერნში" პრეზენტაციის ამსახველი, ილუსტრირებული დიდი პუბლიკაცია დაიბეჭდა – პირველ გვერდზე ვლადიმირ კლიჩკოს გიგანტური სხეულის წარმოდგენით.

მძლეოსნობა

## ახალი მსოფლიო რეკორდი

ბელარუსმა სპორტსმენმა ქალმა ალესია ტუროვამ მსოფლიო რეკორდი დაამყარა პოლონეთის ქალაქ გდანსკში მიმდინარე მძლეოსნობის ტურნირზე. მან 3000 მეტრზე თარჯრბენში მიიღო მონაწილეობა და ეს დისტანცია 9 წუთსა და 16, 51 წამში დაფარა.

სათხილამურო სპორტი

## არასათხილამურო ტრავმა

შაბათს ოსლოში ოპერაცია გაუკეთეს ოთხგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, ნორვეგიელ მოთხილამურეს ტომას ალსგორდს, რომელიც ვარჯიშზე დაშავდა, მაგრამ არა სათხილამურო ტრასაზე.

ალსგორდი თავის თანაგუნდელებთან ერთად ველოსიპედით ბრუნდებოდა ოსლოში, როცა ჯაჭვი გაწყდა, უკანა ბორბალში ჩაეხვია და სპორტსმენი ველოსიპედიდან გადმოვარდა. ალსგორდს მარჯვენა ხელი და მუხლი ეტკინა.

ოპერაციამ კარგად ჩაიარა. 30 წლის მოთხილამურე უკვე სახლში გადაიყვანეს, სადაც ის ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იქნება. აღსანიშნავია, რომ ალსგორდი ნორვეგიის ნაკრების მთავარი იმედია და მისი ფორმაში არყოფნა ნორვეგიელებისთვის დიდი დანაკლისი იქნება.

## ტრამპლინის ფული გაქრა

ტურინის ოლიმპიურ კომიტეტში სკანდალი მოხდა. პიემონტის მხარის პოლიციამ ერთ-ერთ ოლიმპიურ სააგენტოში მოკვლევა ჩაატარა და თანხების არამიზნობრივი გახარჯვა დააფიქსირა.

ტურინში 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს და ქალაქგარეთ ახალი სათხილამურო ტრამპლინიც ამის გამო შენდება. ახლა სწორედ ამ მშენებლობის ხელმძღვანელს მოუწევს პოლიციისთვის ახსნა-განმარტების მიცემა, თუ სად გაქრა ამდენი ფული. ტურინის მუნიციპალიტეტი და პოლიცია აცხადებენ, რომ ყველა ზომას მიიღებენ, რათა ამგვარი დარღვევები აღარ განმეორდეს.



# რომანი კორტესის ფლამენკოს ფონზე



ნაომი კემპელი და ხოაკინ კორტესი

REUTERS

მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის ბულვარულ პრესასთან ურთიერთობები გაარკვია, ნაომი კემპბელი საკუთარ ცხოვრებაზე ღიად ალაპარაკდა და ძველი რომანიც განაახლა. დღეს მას კვლავაც ფლამენკოს ვარსკვლავის, ხოაკინ კორტესის საზოგადოებაში ხედავენ. ოთხი წლის წინ კი მათი რომანი სკანდალებით გამოირჩეოდა - კანარის კუნძულებზე სუპერმოდელმა თავის მოკვლაც კი სცადა. თუმცა, გონდაკარგულ კემპბელს შინ მიუსწრეს და საავადმყოფოში გააქანეს. კორტესი-კემპბელის რომანი ჰარმონიულობით არც ამჯერად გამოირჩევა. წყვილი ერთად კუნძულ კვიპროსზე შენიშნეს, მაგრამ რამდენიმე დღეში ნაომი უკვე რომში იყო და მხურვალედ ლოცულობდა ეკლესიაში. ასეა თუ ისე, კორტეს-კემპბელის წყვილმა სიყვარულს კვლავაც მისცეს შანსი და საინტერესოა, რა გამოუვათ მათ ამჯერად, მით უფრო, რომ ფსიქოლოგიური სტრესები და პრობლემები კარიერაში არც ერთ მათგანს აღარ აწუხებს: კემპბელი წარმატებით გამოდის მოდის საზაფხულო კვირეულებზე, ხოლო ნარკოტიკების მოხმარებაზე ხმამაღლა საუბრობს.

შარშანდლიდან გამოყოლილი წარმატებით ტკბება ხოაკინ კორტესიც: 2001 წელი ფლამენკოს მეფედ აღიარებულმა მოცეკვავემ, ლათინური მუსიკის ფესტივალ "ვინია დელ მარზე" გამოსვლით დაიწყო. აღსანიშნავია, რომ მთელი 45 წლის განმავლობაში ამ ღონისძიებაში არც ერთ მოცეკვავეს არ მიუღია მონაწილეობა. ეს წარმატება 28 თებერვალს ახალი შოუს "პურა პასიონის" დადგმით გაგრძელდა. რამდენიმე დღეში კი ბარსელონას "ტეატრო ტივოლიში" კორტესმა კიდევ ერთი ახალი შოუ, "ლაივ" ჩაიტანა. ეს სპექტაკლი მსოფლიოს სხვადასხვა თეატრებში დღესაც იდგმება და დიდი წარმატებით სარგებლობს.

წარმოშობით კორდოველი კორტესის სახელი ფლამენკოს სამყაროში 1992 წლის შემდეგ დამკვირდა, როცა ის პარიზში, ელისეს თეატრში გამოვიდა და საკუთარი კომპანია "ხოაკინ კორტესის ფლამენკოს ბალეტი" შექმნა. სანამ ნაომი კემპბელის რჩეული გახდებოდა, მან პედრო ალმოდოვარის ყურადღება მიიქცია – რეჟისორმა ის ფილმში "ჩემი საიდუმლოს ყვავილი" მიიწვია. მოგვიანებით კორტესმა კარლოს საურას "ფლამენკოშიც" ითამაშა. 1995 წელს კი გამოვიდა მისი ახალი დადგმა "პასიონ გიტანა" (ბოშური ვნება), რომლის გარდერობიც თავად ჯორჯო არმანიმ შექმნა. შოუს ევროპაში უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ის ერთადერთი საცეკვაო დადგმა გახდა, რომელმაც 45 წლიანი არსებობის მანძილზე სპოლეტოს (იტალია) პრესტიჟული ფესტივალი დახურა. ერთი წლის შემდეგ ხოაკინ კორტესმა კიდევ ერთი რეკორდი მოხსნა – ის გახდა პირველი ესპანელი მოცეკვავე, რომელმაც ნიუ იორკის Radio City Music Hall-ში იცეკვა... ბუნებრივია, ნაომი კემპბელი მთელი ძალებით შეეცდება ფლამენკოს მეფის შენარჩუნებას.

# ზაფხული ბრიტანეთშიც არსებობს

ბრიტანეთს წლის ყველაზე ცხელი დღეები უდგას. უკვე რამდენიმე დღეა, ტემპერატურა ცელსიუსის 32 გრადუსს აღწევს. ასეთი მაჩვენებლი მთელი წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა. ბრიტანელებიც დროს არ კარგავენ და მალიორკასა თუ მალტას მაგივრად, "ბრიტანულ" მზეს ეფიცხებიან. შაბათ-კვირას ბორნმუთის პლაჟზე, 7 ათასი შეზლონგიდან ცარიელი არც ერთი არ დარჩა. პლაჟებისკენ დაძრული ბრიტანელების გამო, უელსიდან დევონამდე, დორსეტიდან კორნუელამდე და ლონდონიდან ბრაიტონამდე გზები საშინლად გადაიტვირთა. ცენტრალურ ლონდონში ცელსიუსის 31 გრადუსი ტემპერატურა წინათაც დაფიქსირდა, მაგრამ სიცხის მიუხედავად, ბრიტანელებს მზე მაინც არ ეღირსათ. გუშინ კი მზეც და სიცხეც მათ ერთად დაუდგათ. თუმცა, ზაფხულის შეგრძნება ირლანდიისა და შოტლანდიის რიგ ქალაქებში არ ჰქონიათ: იქ ცელსიუსის 16 გრადუსზე მაღალი ტემპერატურა ჯერ არ დაფიქსირებულა.

## სკანდინავიური კროსვორდი



N-56 გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხი

**თარაზულად:** მანგუსტი; რემა; აპორტი; მიტრო-პოლიტი; შნო; სურვილი; ციკანი; კინო; იასპი; სიონი; ინდაური; ჯეკ; კონკია; ბიგ; კრიმანჭული; რომა; უტა; გიშერი; ვოლვო; ალიბი;. პირანია; წრე; აბატი; იუნგა.

**შვეულად:** პაპირუსი; ერბო; ოშკი; გერშვინი; კუპონი; ინკასო; პოლო; პური; ჭანჭური; აიალა; სკუტერი; ცილა; პროტეინი; ცნობა; პერისკოპი; გეი; უნარი; ალტი; ტაისონი; დროშა; რიო; ფიალა; მელ; საუბარი; ნაპირი; ლი; იგი.

## TV პროგრამა 30 ივლისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 "კომუნიკატორი"
10.40 ბრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ბრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 პერეკრიოსტოკი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "კაპიტან კორელის მანდოლინა"

### პირველი არხი

08.00 ბუნების ხიბლი
08.25 სერიალი "კობრა"
09.20 მულტსერიალი "მამილო კასტორის ამბები"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.00, 15.00, 20.00, 00.45 მოამბე
12.15 სერიალი "ბობონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოპატრული
13.00 სერიალი "მშვიდობით მეოცე საუკუნევ"
14.05 ლერერის შოუ
15.15 ქართ. ფილმი "დღეს ღამე უთენებია"
17.05 ბ. შხვაცაბაია
17.30 "მოდი ვიცეკვოთ"
17.45 "ერთი თეთრიც ფულია"
18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "ბობონები ქარში"
19.10 სიტყვა კაზმული
19.40 ბასტი - ბუბუ
21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 "ტალანტები და თაყვანისმცემლები"
22.20 მხ.ფ. "ჩალის ქუდი"
00.25 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
01.15 სერიალი "კობრა"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "აქამდე და შემდეგ"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "კეი ლარგო"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 "სალონი"
14.00, 23.00 სერიალი "მოქალაქე უფროსო"
15.20 კურსები კომპიუტერის შემსწავლელთათვის
18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმაუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
00.15 მხ.ფ. "ტიტანი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "ლიფტის მარცხნივ"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.15 ბურთი და მოედანი
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ.ფ. "სადაც მდინარე მიედინება"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
19.30 ბურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "ნადირთა მბრძანებელი"
22.30 ძველი კინო "ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"
00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.00 მუსიკალური ათეულის განმეორება
11.45 "ჩაძიროზანა" განმეორებით
13.15 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "მაიმუნის ძვალი"
19.00 მუსიკა
20.00 კლიპები შეყვარებულთათვის პირდაპირ ეთერში
22.00 ევრო-რუსული ათეული
23.00 "ბრავო" მხ.ფ. "ბრძნობა მინესოტას მიმართ".
01.30 "ღამურა" მხ.ფ. "ქალაქური ლეგენდები".
03.30 ნონ-სტოპი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ფილმი-ზღაპარი "ჰაჩიპუჩი"
11.00 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული ფილმი "ჩამავალი მზე"
12.40 კომედია "ნიღაბი"
14.20 ფილმი-კატასტროფა "შტორმი"
16.15 მულტფილმი "პრინცესა გედი "
17.25 მხატვრული ფილმი "ოდისეა" 2 ნაწილი
19.00, 22.00, 00.00 "დღეს"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30 კომედია "საამური ცხოვრება"
21.15 დოკუმენტური ფილმი
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "რა არ ხდება"
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.10 მელოდრამა "წითელი და შავი" 2 ნაწილი
03.30 დრამა "ცირკი დაიწვა და ჯამბაზები გაიფანტნენ"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადა" მე-15 სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-15 სერია
10.15, 13.15, 14.45, 17.10, 18.45, 22.05, 23.45, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური"
11.15 მხ.ფ. "უფსკრული"
13.30, 21.10 დისქავერი
14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
15.00 მხ. ფილმი "მორი ტური"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადა" მე-16 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-16 სერია
18.50 მხ.ფ. "განდევნილი"
22.15 მხ.ფ. "მოცეკვავე"
00.40 მხ.ფ. "სასახელო ბიჭები".

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.05 "ბედნიერი ერი"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.30 მოკლედ... სპორტი
10.35 "ავტოტრეკინგი"
11.25 მულტსერიალი
11.45 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
12.05 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.10 "სახლიდან გაუსვლელად"
12.40 მუსიკალური ბიორითმი
13.05 დისნეი და მისი მეგობრები
13.25 "სახლიდან გაუსვლელად"
13.55 ამინდის პროგნოზი
13.55 ჰოროსკოპი
14.00 სპორტი
14.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.00 ანონსი
18.05 ამინდის პროგნოზი
18.10 პრესა
18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
18.30 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.40 მუსიკალური ტაიმაუტი
21.05 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.10 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.35 მოკლედ... სპორტი
21.45 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
21.55 "სახლიდან გაუსვლელად"
22.25 მხ.ფილმი "ჰუძონელი ძერა".
23.55 პრესის მიმოხილვა
00.15 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.05 მუსიკალური ბიორითმი
01.25 მხ.ფ. "მეფე სოლომონის საგანძური".
03.00 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15 "Шутка за шуткой"
11.10 "НЕУДЕРЖИМЫЙ"
12.05 "Ералаш"
12.15 Что да как
12.35 Дисней-клуб: "Любимчик"
13.15 "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.15 "Народ против"
15.00, 22.35 Сериал "СКАРЛЕТТ"
16.20 Чемпионат Европы по водным видам спорта. .
17.00 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.55 "САМОЗВАНЦЫ"
19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
20.15 х.ф. "ВОРИШКИ"
22.00 Время.
23.40 "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
00.35 "Сати" 01.00 Ночное "Время"
01.15 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ"
02.05 "Чиловек ниоткуда"

### РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь"
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 14.20 Афиша
07.40 Дорожный патруль
08.10, 09.40, 14.10 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
09.15 Колоссальное хозяйство
09.30 Вести. Дежурная часть
10.10 "ЖАРА В ЛОС-АНЖЕЛЕСЕ"
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 "КАМЕНСКАЯ". Фильм первый "
13.25 "Что хочет женщина"
14.30 Сериал "ГРОСС ПОЙНТ"
15.25 Лучшие матчи чемпионата мира по футболу
17.30 Сериал "ДРУЗЬЯ-5"
18.20 Футбол. Чемпионат России. "Зенит" - "Спартак"
20.00 х.ф."ВОРОВКА
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.35, 00.20 Вести-Москва
21.55 "КАМЕНСКАЯ". Фильм первый
23.00 х.ф." ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, ЖЕЛТЫЕ ИРИСЫ ".
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф."МУЗЫКАНТ"
02.00 х.ф."ДЖОКЕР"

### НТВ

06:00 "СЕГОДНЯ УТРОМ"
08:50 "ПОЛИЦЕЙСКИЕ: ПРЕДВЕСТНИК СМЕРТИ"
10:00, 13.00, 15.00,17.00, 20.00, 23.00 СЕГОДНЯ
10:25 "ВНИМАННИЕ: РОЗЫСК!"
11:10 "РАСТИТЕЛЬНАЯ ЖИЗНЬ" с Павлом Лобковым
11:40"ВКУСНЫЕ ИСТОРИИ"
12:20 "КРИМИНАЛ"
12:55 "КУРОРТНЫЙ РОМАН" сериал
14:05 "ПРИНЦИП "ДОМИНО" ток-шоу. Сегодня:
15:25 "КРИМИНАЛЬНАЯ РОССИЯ : РОСТОВСКИЕ ОБОРОТНИ". 2-я серия
16:30 "ЗОЛОТО ЮГРЫ" приключенческий фильм.
17:35"РОЖДЕННЫЙ ВОРОМ" боевик
18:40 "КРИМИНАЛ"
19:35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал.
20:45 "ЗОЛОТО ЮГРЫ"приключенческий фильм.
22:35 "СКОРАЯ ПОМОЩЬ-4"сериал. США
23:30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"сериал. Сегодня - "ИЩУ РАБОТУ С РИСКОМ"
00:35 "О, СЧАСТЛИВЧИК!"Азартная игра
01:15 "УБЕЖИЩЕ" триллер.

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"


## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.
"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.




იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში